საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიტრა
მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 ნოემბერი ოთხშაბათი 2013
№274 (14 190) ფასი 80 თეთრი

# ამისულაშვილი ნაკრებიდან წავიდა

ფეხბურთელზე ასეთი ირონიული გამონათქვამი არ უნდა კეთდებოდეს



...პირველი არ ვარ, ვინც საქართველოს ამ ნაკრებიდან ასე მიდის და ღმერთმა ქნას, ბოლო ვიყო...

ქეცბაიას პირში ვეტყვი, რა პრეტენზიებიც მაქვს მასთან, ტელევიზიით ყვირილს კი ნამდვილად არ ვაპირებ

ინტერვიუ ალექსანდრე ამისულაშვილთან 2



## ევროპული ლეგიონი შეივსო



ჰეთ თრიკი: კრიშტიანო რონალდომ იბრაჰიმოვიჩს პირადი დუელი 3:2 მოუგო 8-9

● ამხანაგური მატჩები

## ფურია ბაფანამ დაიფრინა, გერმანია ინგლისს უემბლიზე მიუხტა 9



ინგლისი-გერმანია 0:1



## დარასელია ზუგდიდში დაინიშნა

დებიუტი ვიტ ჯორჯიასთან 3

ანონსი

დღეს ლელოს სტუმარი ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი **მანუჩარ მაჩაიძე** იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამისულაშვილი ნაკრებიდან წავიდა



## თავმოყვარე ადამიანი ვარ და ქეცბაიას პირში ვეტყვი, თუ რა პრეტენზიებიც მაქვს მასთან, ტელევიზიით ყვირილს კი ნამდვილად არ ვაპირებ

**თემურ ქეცბაიას სატელევიზიო შეხვედრა ჟურნალისტებთან რეზონანსული გამოდგა. ცხადია, ყველას საკუთარი აზრი აქვს საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელზე და ზოგს ეს შეხედულება კიდევ უფრო გაუმძაფრდა გუშინწინდელი სატელევიზიო ტოქშოუს შემდეგ. შეხვედრა რთული გამოდგა, ჟურნალისტთა უმეტესობამ კითხვის თუ კითხვების ნორმალურად დასმა ვერ მოახერხა, ყვირილსა და ხელების ქნევაში გაჯიბრება კი ნამდვილად არ არის მედიელის საქმე. მთავარი, რა თქმა უნდა, ეროვნული ნაკრების ინტერესებია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ქვეყნის მთავარ გუნდს კიდევ ერთი გამოცდილი ფეხბურთელი გამოაკლდება - 31 წლის ალექსანდრე ამისულაშვილი, ვისზეც ქეცბაიამ გუშინწინდელ ტოქშოუში აუგად ისაუბრა. გუშინ „კრილია სოვეტოვის“ მცველს რუსეთში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ. მაშ ასე, „ლელოს“ კითხვებს ამისულაშვილი პასუხობს.**

**- ალბათ, უყურეთ თემურ ქეცბაიას სატელევიზიო შეხვედრას ჟურნალისტებთან. ნაკრების მწვრთნელმა კონკრეტულად თქვენზეც ისაუბრა. რა კომენტარს გააკეთებდით ამ თემაზე?**

- რა კომენტარი უნდა გავაკეთო?! თურმე, ყველაფერი ჩემი ბრალი ყოფილა. რაც შეეხება ქეცბაიას ნალაპარაკებს ჩემზე, ასეთ რამეს რა აზრი აქვს, როცა ვისზეც ლაპარაკობ, იქ არ არის და პასუხს ვერ გაგცემს? რაც მან ჩემზე ილაპარაკა, ამაზე აუცილებლად გავცემ პასუხს, ოღონდ მაშინ, როცა პირისპირ შევხვდები.

> “ ...უშეცდომო არავინაა და იქნებ, მეც დამიშვია შეცდომები ნაკრებში თამაშის დროს, მაგრამ ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი... ”

**- ლაპარაკი იყო ბიზნესკლასით მგზავრობაზეც...**

- ...როცა ქეცბაიამ ჩემზე თქვა, ვითომდა, მოვითხოვე ბიზნესკლასით მგზავრობა - რა ზღაპრებს ჰყვება?! ფეხბურთის ფედერაციაში ალბათ არის სათანადო დოკუმენტები, რითიც შეიძლება იმის გარკვევა და დამტკიცება, სინამდვილეში რა და როგორ იყო. მე არაფერი მომითხოვია. მხოლოდ ერთხელ აგვილო ფედერაციამ ბიზნესკლასის ბილეთი, ისიც იმიტომ, რომ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, სამარა-ასტანის რეისით ყაზახეთში ერთი დღით გვიან ჩავედი. სხვა შემთხვევაში, ბიზნეს-კლასისთვის ფულს საკუთარი ჯიბიდან ვამატებდი და არავის საქმე არ არის, ჩემს ფულს რაში დავხარჯავ. მგზავრობის თემაზე ერთადერთი თხოვნა ის იყო, რომ გადაჯდომების გარეშე, პირდაპირი რეისით მოვხვედრილიყავით დანიშნულების ადგილზე.

**- ესპანეთთან შესარჩევის ბოლო მატჩისთვის ნაკრებში არ ჩამოხვედით. ქეცბაიამ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს ამაზეც ილაპარაკა. როგორია ამასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია?**

- ესპანეთთან მატჩი 14 ოქტომბერს იყო, მანამდე კი რუსეთის ჩემპიონატში ვითამაშე, მატჩის მერე ფეხი ამტკივდა, ექიმმა მითხრა, 7-8 დღე უნდა დაისვენოო, ეს პერიოდი კი 12-13 ოქტომბერს მთავრდებოდა და ამიტომაც ვერ მოვახერხე ნაკრებში ჩამოსვლა, 20 ოქტომბერს რუსეთის ჩემპიონატის ტურში კი ვითამაშე. ალბათ, გახსოვთ, ზურაბ ხიზანიშვილი რომ ვერ ჩამოვიდა ლუქსემბურგთან ამხანაგური მატჩისთვის და ამის შემდეგ ქეცბაიამ მას კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა. როგორ შეიძლება, ასეთი ეჭვიანობა ყველაფერზე, როცა ერთ საქმეს ვაკეთებთ?!

**- ნაკრები და ამისულაშვილი - რა პერსპექტივას ხედავთ?**

- იმის შემდეგ, რაც ქეცბაიამ ჩემზე ილაპარაკა, მის გუნდში თამაშს ვეღარ შევძლებ. ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს!

**- ქეცბაიასა და ჟურნალისტების შეხვედრაზე ასეთი რამეც მოვისმინეთ - ფეხბურთელებმა ნაკრებით გაიკეთეს კარიერაო...**

- სადღაც, ნალჩიკის „სპარტაკში“ თამაშობდაო - ეროვნული ნაკრების მწვრთნელის მხრიდან ასეთი აგდებული ტონით ლაპარაკი არ შეიძლება! ყველას არ უთამაშია „ნიუკასლში“, მაგრამ ამის გამო ფეხბურთელზე ასეთი ირონიული გამონათქვამი არ უნდა კეთდებოდეს. ისე კი, საინტერესოა, რომელმა ფეხბურთელმა გაიკეთა კარიერა ქეცბაიას გაწვრთნილი საქართველოს ნაკრებიდან? თურქული „ქაისერისფორიდან“ რუსეთში რომ დავბრუნდი, ნაკრები აქ არაფერ შუაში იყო. რადგან ვთამაშობდი საქართველოს ეროვნულ გუნდში, ესე იგი, ამას ვიმსახურებდი. უშეცდომო არავინაა და იქნებ, მეც დამიშვია შეცდომები ნაკრებში თამაშის დროს, მაგრამ ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი.

> “ ...პირველი არ ვარ, ვინც საქართველოს ამ ნაკრებიდან ასე მიდის და ღმერთმა ქნას, ბოლო ვიყო... ”

როცა „კრასნოდარის“ ფეხბურთელი ვიყავი, სერიოზული ტრავმა მივიღე და რკინები ჩამიდგეს, მერე ოპერაცია უნდა გამეკეთებინა ამ რკინების ამოსაღებად, მაგრამ ნაკრებს ავსტრიაში ამხანაგური მატჩი ჰქონდა თურქეთთან და ამის გამო გადავდე ეს ოპერაცია. 14 ოქტომბერს ესპანეთთან თამაში რომ არ მნდომოდა, ფინეთთან მეორე ყვითელ ბარათს „ავიკიდებდი“ და ასეთნაირად გამოვტოვებდი ალბასეტეს მატჩს. ნაკრებში ახალი თაობა წამოვიდა და ხშირად სვამენ კითხვებს - რატომ არ ჩამოდიან ახალგაზრდა ფეხბურთელები ნაკრებშიო? გუნდში ეჭვები არ უნდა არსებოდეს, ფეხბურთელს ნაკრებში ჩამოსვლა და თამაში უნდა უხაროდეს.

**- როგორც უნდა იყოს, ფაქტია, რომ ქეცბაიამ თქვენზე საქვეყნოდ ილაპარაკა არცთუ სასიამოვნო რაღაცები...**

- თავმოყვარე ადამიანი ვარ და ქეცბაიას პირში ვეტყვი, თუ რა პრეტენზიებიც მაქვს მასთან. ტელევიზიით ყვირილს კი ნამდვილად არ ვაპირებ.

**- უთანხმოება თუ კონფლიქტი სხვა გუნდებშიც მომხდარა, თუმცა ხანდახან მათი მოგვარებაც ხერხდება. ამ შემთხვევაში ამის შანსი არ არსებობს?**

- 16 წლისამ დავიწყე პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა და მთელი ამ ხნის განმავლობაში არავისთან მომსვლია კონფლიქტი, მათ შორის - არ ქეცბაიასთან, მაგრამ მწვრთნელი ასეთ რაღაცებს რომ იტყვის ჩემზე, ასეთ კაცთან ველარ ვიმუშავებ. პირველი არ ვარ, ვინც საქართველოს ამ ნაკრებიდან ასე მიდის და ღმერთმა ქნას, ბოლო ვიყო. ნაკრების ფეხბურთელებს მთელი გულით ვუსურვებ წარმატებებს...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკრებს მიღმა დარჩენილნი

ათასჯერ გაგონილი და თქმული - მწვრთნელის საქმიანობა პირველ რიგში გუნდის შედეგით ფასდება და თუ შედეგი კარგია, ვერავინ ვერ დაძრახავს მწვრთნელს იმის გამო, ამა თუ იმ ფეხბურთელს რატომ უშვებს გუნდიდან.

ახლა ალექსანდრე ამისულაშვილმა დატოვა ეროვნული ნაკრები და ჩვენთან ინტერვიუში თქვა კიდეც, პირველი არ ვარ, ვინც ამას აკეთებსო.

მოკლედ, ზოგი თვითონ მიდის და ზოგსაც უშვებენ, ეს ყველაფერი კი იწვევს კამათს, რაც სავსებით ბუნებრივია.

თემურ ქეცბაიას მიაჩნია, რომ წინა შესარჩევში მის გაწვრთნილ ნაკრებს უკეთესი შედეგი ჰქონდა წინასთან შედარებით. ეს მისი აზრია.

ვინ, რატომ და როგორ ჩამოშორდა ქეცბაიას გაწვრთნილ ნაკრებს - ვფიქრობ, არ უნდა იყოს უინტერესო ამ ყველაფრის მოკლე მიმოხილვა, მით უმეტეს მაშინ, როცა გუნდი ახლახან ამისულაშვილმაც დატოვა.

## გოგიტა გოგუა



როგორც მწვრთნელები ამბობენ, მას რთული ხასიათი აქვს. იყო დრო, გოგუა საქართველოს ნაკრებისთვის ერთობ მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გახლდათ, თუმცა ეროვნულ გუნდში მყარად ფეხი ვერ მოიკიდა. პირველი უთანხმოება თუ კონფლიქტი გოგუას კლაუს ტოპმიოლერთან მოუვიდა.

არ შევსწრებივარ იმას, თუ რა ინციდენტი მოხდა თემურ ქეცბაიასა და გოგუას შორის, მაგრამ რაღაც რომ მოხდა, ფაქტია. რა დაკარგა საქართველოს ნაკრებმა გოგუას არყოფნით? შესაძლოა, ბევრიც არაფერი, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, გოგუამ ფეხბურთის თამაში არ იცისო.

## ლევან კობიაშვილი



აქ ყველაფერი ნათელია - ქეცბაიამ ისე ჩამოაშორა ნაკრებს ღვაწლმოსილი ფეხბურთელი, გული ძალიან ატკინა და ეს ყველაფერი ეტიკეტის დაცვის გარეშე მოხდა. ეს ამბავი ქეცბაიას ნეგატივში ეთვლება. კობიაშვილმა საქართველოს ნაკრების დღევანდელი მწვრთნელის საქმიანობას „ბლეფი" უწოდა. ქეცბაიას კომენტარი ამ ყველაფერზე უცნობია, ყოველ შემთხვევაში, მე არ მომისმენია.

## ალექსანდრე იაშვილი



აქაც იმავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რაც კობიაშვილთან მოხდა, ოღონდ, განსხვავება იმაშია, რომ იაშვილი ქეცბაიაზე მწვავე განცხადებებს არ აკეთებს.

## დავით სირაძე



ამ თავდამსხმელს ეროვნულ ნაკრებში 8 გოლი აქვს გატანილი. ის ახლა ნალჩიკის „სპარტაკში" თამაშობს და მიმდინარე სეზონში რუსეთის პირველ დივიზიონში ოდენ ერთი გოლი აქვს შეგდებული. სირაძეს უცხოურ გუნდებში ბევრი ბურთი არც არასდროს გაჰქონდა, თუმცა ნაკრებში არაერთი მნიშვნელოვანი გოლი აქვს გატანილი: თურქეთთან, უკრაინასთან, შოტლანდიასთან, ესტონეთთან, მალტასთან...

აქ, ალბათ, უფრო გემოვნების საკითხია. ფაქტია, სირაძეს ნაკრებში გოლის გატანა შეუძლია.

## ლევან ყენია



ყენიას და ქეცბაიას კონფლიქტზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ქეცბაიამ ერთ-ერთ ინტერვიუში ლამის გამოლანძღა ეს ფეხბურთელი. „ცივი წყალი დალიოს" - ეს ფრაზა კი მანამდე ყენიამ გააჟღერა „ლელოსთან" ინტერვიუში. ყენიაზე ვერავინ იტყვის, უნიჭო ფეხბურთელიაო, თუმცა ქეცბაიას ყველა საკითხზე თავისი შეხედულება აქვს. ყენია ნაკრებში აღარ თამაშობს.

## ზურაბ ხიზანიშვილი



ლუქსემბურგთან ამხანაგურ მატჩზე არ ჩამოვიდა და ქეცბაიამ მას კაპიტნობა ჩამოართვა. დაძაბულობა ამით არ დასრულდა, სტუმრად ბელარუსთან მატჩის შემდეგ რა უთხრა ქეცბაიამ ხიზანიშვილს, ჩვენთვის ზუსტად უცნობია. მწვრთნელს ვეტერანი მცველი არ გაუშვია ნაკრებიდან, გადაწყვეტილება თავად ზურაბმა მიიღო, თუმცა მიზეზებზე მკაფიოდ და გახსნილად ჯერაც არ უსაუბრია. ფინეთთან მატჩის წინ ხიზანიშვილი ნაკრების ავტობუსში არ ავიდა.

## ალექსანდრე ამისულაშვილი



ჟურნალისტებთან გუშინწინდელ შეხვედრაზე ქეცბაიამ მასზე კარგი არაფერი ილაპარაკა და გვაქვს უფლება, ვივარაუდოთ, რომ მანამდეც აღარ მოიაზრებდა მას ნაკრებში დამდეგი შესარჩევისთვის.

დავით თავართქილაძე

ახალი მწვრთნელი

# დარასელია ზუგდიდში დაინიშნა

„ზუგდიდმა" უკანასკნელი პერიოდის გაურკვევლობას ბოლო გამოუჩნდა. კლუბის პრესსამსახურის ცნობით, საკუთარი განცხადების საფუძველზე დირექტორის პოსტიდან წასულ **მალხაზ ჭეჟიას** ქალაქის საკრებულომ თხოვნა დაუკმაყოფილა. გუნდის მთავარ მწვრთნელად კი **გიორგი დარასელია** დაინიშნა, რაც ვერსიის სახით „ლელომ" რამდენიმე დღის წინ გამცნოთ. გუშინვე, 44 წლის სპეციალისტმა „ზუგდიდში" პირველი ვარჯიშიც გამართა. დარასელიას დებიუტი „ვიტ ჯორჯიასთან" მორიგი ტურის მატჩში ექნება, მანამდე კი კლუბი მას ოფიციალურადაც წარადგენს.

მართალი გამოდგა „ლელოს" ის ინფორმაცია, რომ **კობა წიტაიშვილის** კლუბის დირექტორად დანიშვნა საეჭვო იყო - გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელი დარასელიას ასისტენტად დანიშნეს და არა - დირექტორად.

დარასელიას საფეხბურთო წრეებში წარდგენა არ სჭირდება, უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ ისრაელიდან დაბრუნების შემდეგ ის გორის „დილას" ჩაუდგა სათავეში, საიდანაც რუსეთში გადაინაცვლა და ხაბაროვსკის „სკა ენერგიას" დამრიგებელი გახდა...

რაც შეეხება **სერგო გაბელაიას**, რომელიც გადადგომამდე ყოფილმა დირექტორმა მწვრთნელ-კონსულტანტად დანიშნა, მიღწეული შეთანხმების შედეგად კლუბსა და ამ სპეციალისტს შორის კონტრაქტი გაწყდა.

„ლელო" კომენტარისთვის გაბელაიას დაუკავშირდა: *„მომხდარი გაუგებრობა იყო და გამწვავების არავითარი სურვილი არ მაქვს. სალაპარაკოც არაფერია. უბრალოდ, გუნდში ვითარება შეიცვალა და ჩემი დარჩენა არ გამოდიოდა. ეს იყო და ეს. „ზუგდიდის" ადმინისტრაციას მაინც მეგობრულად დავშორდი. მოსულებიც ჩემი მეგობრები არიან და წასულებიც, მეგობრებადვე დავრჩით. მათ წარმატებას ვუსურვებ".*



გიორგი დარასელიას დებიუტი ვიტ ჯორჯიასთან შედგება

მერაბ მამულაშვილი

U19

# ნაკრების ფეხბურთელები შესარჩევს აფასებენ...

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გავიდა. ვასილ მაისურაძის გაწვრთნილებმა ლამაზი და შემტევი ფეხბურთი აჩვენეს და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ გონიერი მწვრთნელის ხელში, ბრძოლას აზრი გაცილებით ძლიერ საფეხბურთო ქვეყნის ნაკრებებთანაც აქვს. გუნდის წევრებს განვლილი ეტაპის შეფასება ვთხოვეთ...**

**სანდრო გურეშიძე**, ცენტრალური მცველი:

- გამარჯვებაზე არანაკლებ ის ფაქტი მახარებს, რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდა - გუნდი ერთსულოვანი და შეკრულია, თანამედროვე ფეხბურთს ვთამაშობთ და ერთ ლიდერზე დამოკიდებულები არ ვართ. განსაკუთრებით კი ჰოლანდიასთან გამარჯვებამ გამახარა. ტრაბახში არ ჩამომართვათ და, მჯეროდა, რომ გავიმარჯვებდით. ამის იმედს ჩვენი თამაში მაძლევდა. მაგრამ ჰოლანდიის ჯგუფში ჩარჩენა მაინც მოულოდნელი იყო. ამ ქვეყნის ნაკრებები ყოველთვის მსოფლიოსა და ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების ფავორიტები არიან, ბევრჯერ გასულან ფინალებსა და ნახევარფინალებში და მათი წარუმატებლობა თბილისური შესარჩევი ეტაპის სენსაცია იყო. მაგრამ პირადად მეც და ბიჭებმაც გული მოვიოხეთ, ევროპის ჩემპიონატზე მათთან მსაჯის შეცდომების გამო დაუმსახურებლად წავაგეთ და ახლა რევანში ავიღეთ - ჩვენ ამის უნარი და კლასი აღმოგვაჩნდა.

**ნიკა ჭანტურია**, ცენტრალური ნახევარმცველი:

- ჰოლანდიასთან სრულფასოვანი რევანში ავიღეთ. დამეთანხმებით, რომ უპირატესობას მთელი თამაშის განმავლობაში ჩვენ ვფლობდით. მეორე ნახევარში უფრო მეტი კონცენტრაცია შევძელით და თავადაც ნახეთ - ცალკეულ ეპიზოდში ჰოლანდიელები დათრგუნვილები იყვნენ. ისინი აზრიანი შეტევის განხორციელებას ვეღარ ახერხებდნენ. მიმაჩნია, რომ ჩვენი მოგება ლოგიკური და დამსახურებული იყო. გუნდი ვითარდება. ელიტრაუნდშიც წარმატებით უნდა გამოვიდეთ.

**გიორგი აბურჯანია**, საყრდენი ნახევარმცველი:

- თამაშის შემდეგ ვერც ვიხსენებდი, მეორე გოლი ჰოლანდიელებს როგორ გავუტანე. იმ დროს ისეთ აზარტში ვიყავი, ყველაფერი ინსტინქტურად გავაკეთე. ერთი ის მახსოვს, რომ პასს ვაკეთებდი, ბურთი ისევ მე დამიბრუნდა და კარში რომ შევარდა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო. წინ ელიტრაუნდია. რა თქმა უნდა, კარგია, პირველ ადგილზე რომ გავედით და ჰოლანდია დავამარცხეთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნაკლოები ვართ. ერთ ადგილზე გაჩერება და კმაყოფილება არაფერს გვარგებს. თითოეული ჩვენგანი ელიტრაუნდამდე კარგად უნდა მოემზადოს, ფორმაში რომ ვიყოთ და კვლავ ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდეთ. თუმცა, შეკრული გუნდი გვყავს, იმედია, ამ წარმატებას არ დავჯერდებით და გულშემატკივრებს მომავალშიც გავახარებთ.

**ილია კერძევაძე**, ცენტრალური თავდამსხმელი:

- გამარჯვება და პირველ ადგილზე გასვლა ყოველთვის სასიხარულოა. მაგრამ უფრო ბევრს ნიშნავს, როცა ამას ჰოლანდიის ჯგუფში ახერხებ, მას ამარცხებ და მესამე ადგილზე ტოვებ. ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ჩვენს გვსურდა, სწრაფად და გუნდურად ვთამაშობთ და შედეგიც ლოგიკურია. ახლა მთავარია, ელიტრაუნდისთვის კარგად მოვემზადოთ.

**ლუკა კიკაბიძე**, შემტევი ნახევარმცველი:

- ჰოლანდიასთან მოგება აქამდე ვერც ერთმა ქართულმა ნაკრებმა ვერ მოახერხა და მიხარია, ნავსი რომ გავტეხეთ. ისეთი რევანში ავიღეთ, ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდი. გახარებული ვარ და მადლობას ვუხდი ყველა თანაგუნდელს, რადგან ნაკრებში ერთსულოვნებაა - წარმატებას ამის და სწორი თამაშის ხარჯზე მივაღწიეთ.

**გიორგი პაპუნაშვილი**, ცენტრალური ნახევარმცველი:

- პირველი ბარიერი წარმატებით დავძლიეთ. უელსსა და მოლდოვასთან შეხვედრებში წარმატების შემდეგ გამიჩნდა იმედი, რომ ჰოლანდიასაც დავამარცხებდით და მიხარია, რომ ასეც მოხდა. ჩვენი გუნდის ძალა ისაა, რომ მოედანზე ყველა ბოლომდე იხარჯება. დამატებითი სტიმული გულშემატკივრის უდიდესი თანადგომა იყო, რასაც ყოველთვის ვგრძნობდით.

მერაბ მამულაშვილი



ლეგიონერები


ლევან კობიაშვილი (მარცხნივ)

# ლევან კობიაშვილი: ინტერი? ახლა მხოლოდ ჰერტაზე ვფიქრობ

**ბაქოში „ინტერისა“ და „სუმგაითის“ ამხანაგურ მატჩს ბერლინის „ჰერტას“ ქართველი ლეგიონერი ლევან კობიაშვილი დაესწრო. ის აზერბაიჯანში მეგობარს, ალექსანდრე იაშვილს სტუმრობდა. „ინტერის“ ოფიციალურმა საიტმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და ლევანთან ინტერვიუ ჩაწერა.**

**- ლევან, როგორ მოხვდით ბაქოში?**

- მე აქ ჩემს მეგობრებთან ვარ, ალექსანდრე იაშვილი მოვინახულე. მასთან დიდი ხანია, ვმეგობრობ. ერთად ვთამაშობდით „დინამოსა“ და „ფრაიბურგში“ და დიდი ხანი ერთად ვიცავდით ეროვნული ნაკრების ღირსებას. ჩვენ ერთმანეთთან ძმებივით ვართ. 3-დღიანი შვებულება მომცეს და გადავწყვიტე, ის მეგობართან ერთად გამეტარებინა.

**- როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე აზერბაიჯანმა?**

- ბოლოს 10 წლის წინ ვიყავი აქ და ბევრი რამ შეცვლილა, მომწონს. ქალაქი ძალიან გალამაზდა და ბევრი საინტერესო ადგილია მოსანახულებლად. ფეხბურთში განხორციელებულა ცვლილებებიც - ბაქოში სტადიონები შენდება და აქ ბევრი კონკურენტუნარიანი კლუბია.

**- რა იცით აზერბაიჯანულ ფეხბურთზე? ალბათ, იაშვილი გიყვებოდათ...**

- ნაკრებზე ბევრი არაფერი ვიცი, თუმცა ჩემპიონატის შესახებ ბევრი რამ გამიგია. „ინტერის“ თამაშებს თვალყურს ვადევნებ, თქვენს გუნდს კახა ცხადაძე ხელმძღვანელობს, რომელთანაც ასევე მეგობრული ურთიერთობა მაქვს. „ინტერის“ სხვა ფეხბურთელებსაც ვიცნობ. მოკლედ, თქვენ გგულშემატკივრობთ.

**- როგორ მიდის საქმეები „ჰერტაში“?**

- ბუნდესლიგაში კარგი პოზიცია გვიკავია. სეზონის ბოლოს კონტრაქტი მისრულდება.

**- იქნებ შემდეგ იაშვილს შემოუერთდეთ?**

- ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ახლა მხოლოდ „ჰერტაზე“ ვარ კონცენტრირებული. რა იქნება მომავალში, ჯერ არ ვიცი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გურამ კაშია: თუ ლიდერობის შენარჩუნება გვინდა, ფორვარდი უნდა ვიყიდოთ

VOETBAL INTERNATIONAL-თან საუბარში „ვიტესის“ ქართველმა კაპიტანმა **გურამ კაშიამ** განაცხადა, რომ არნემულმა კლუბმა სასწრაფოდ უნდა დაიმატოს ფორვარდი, თუ წარმატებით თამაშის გაგრძელება სურს.

*„მაიკ ჰავენაარი ძალიან კარგი ფეხბურთელია, ის ბევრს იბრძვის „ვიტესისთვის“, მაგრამ ჩვენ, ფაქტობრივად, შეტევის ცენტრში მისი ალტერნატივა არ გვყავს. ეს კი, რაც დრო გავა, უარყოფით შედეგს გამოიღებს. ამიტომ ზამთრის პაუზის დროს კლუბის ახალმა მფლობელებმა იქნებ იყიდონ კარგი ცენტრფორვარდი, ან იქნებ, იჯარით მოიყვანონ ვინმე“*, - განაცხადა კაპიტანმა.

კაშია „ვიტესში“ 2010 წლიდანაა. მან განაცხადა, რომ დიდებული შეგრძნებაა, როცა გუნდი პირველ ადგილზეა: *„რამდენჯერ მიფიქრია, ნეტავ როდის შეძლებს „ვიტესი“ პირველობას-მეთქი“*, - იხსენებს საქართველოს ნაკრების მცველი.

„ვიტესის“ თავკაცი **პეტერ ბოში** აცხადებს, რომ ბრაზილიელი **ჯონათან რეისი** კი არის ჰავენაარის ალტერნატივა, მაგრამ ის ჯერ არნემშიც იმყოფება.

„ვიტესი“ 24 ქულით ლიდერობს. მომდევნო ტურში ქართველთა გუნდი „იგლზს“ სტუმრობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


გურამ კაშია

ზესტაფონი

# ქომაგები იბრძვიან, ზესტაფონი იგებს

„ზესტაფონის“ ქომაგები ქალაქის გამგეობასთან შეიკრიბნენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზეც მივიდნენ. მიზეზი - გაურკვეველია, როგორ უნდა იარსებოს „ზესტაფონმა“ 2014 წლის 1 იანვრიდან.

შეგახსენებთ, რომ **ილია კოკაიამ**, ამ კლუბის მფლობელმა და პრეზიდენტმა, ახლახან დატოვა პოსტი. გადადგომამდე, მან პირობა წაუყენა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** - თუ თანამდებობიდან არ წახვალ, სამ დღეში მე წავალ „ზესტაფონიდანო“. კოკაიამ სიტყვა შეასრულა და კლუბს მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე სამყოფი ბიუჯეტი დაუტოვა.

ვნახოთ, რა რეაქცია მოჰყვება „ზესტაფონის“ გულშემატკივართა მცდელობას, რომ საკუთარი ქალაქის გუნდს მიეხედოს. მანამდე კი „ზესტაფონმა“ ამხანაგური შეხვედრა ითამაშა - მარტვილის „მერანი“ 6:1 დაამარცხა. მარგველთაგან გოლები **გიორგი ჭანკოტაძემ** (2), **ოთარ კვერნაძემ** (2), **მიხეილ სარდალიშვილმა** და **ავთო ენდელაძემ** გაიტანეს, მარტვილელთაგან კი თავი **თემურ ფარულავამ** (11-მეტრიანით) გამოიჩინა.

„ზესტაფონი“: **კვასხვაძე** (**მახათაძე**, **55**), **კუტალია** (**რობაქიძე**, **46**), **კაჭკაჭიშვილი**, **რენე ფერეირა** (**ენდელაძე**, **46**), **გაგოშიძე**, **აჯურუ** (**ჭანტურიშვილი**, **46**), **კანდელაკი** (**შარიქაძე**, **46**), **რეკრუკი** (**ჭანკოტაძე**, **46**), **რაყამაშვილი**, **სამუშია** (**სარდალიშვილი**, **46**), **ლომია** (**კვერნაძე**, **46**).

ეროვნულ ჩემპიონატში კი **გია გეგუჩაძის** „ზესტაფონი“ უახლოეს შეხვედრას 24 ნოემბერს, ქუთაისში „ტორპედოსთან“ გამართავს.

**დავით თავართქილაძე**

## არშემდგარი ტრანსფერი

# კოვალევსკის მესამედაც არ გამოუვიდა

„ლელოს“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ ჯერ კიდევ სექტემბრის ბოლოს, „გურიას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე **რომან პოკორას** დანიშვნამდე, გუნდში სინჯებზე **ანტონ კოვალევსკი** მიიწვიეს. მაშინ პოკორას ასისტენტმა **დავით მახარაძემ** გვითხრა, რომ უკრაინელ შემტევ ნახევარმცველს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ამ ტრანსფერს, თითქოს, ხელს ისიც უწყობდა, რომ კოვალევსკის პოკორაც კარგად იცნობდა, მისი ყოფილი კლუბი კი, ბელაია ცერკოვის „არსენალი“, დაიშალა და თავისუფალი აგენტი გახდა. მახარაძე ამბობდა - კოვალევსკის, სავარაუდოდ, განაცხადში მალე შევიყვანთო...

მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. კლუბის სატრანსფერო მენეჯერის, **ბექა კვიციანის** თქმით, „გურიაში“ კოვალევსკის ჩარიცხვა მოულოდნელი პრობლემის გამო ვერ განხორციელდა.

*„კოვალევსკის ყოფილი კლუბი, რომელიც დაიშალა, სამოყვარულო იყო და ლოგიკურად, მისი ტრანსფერის დარეგისტრირება ადვილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მოულოდნელ პრობლემას წავაწყდით - თუ პროფესიული კლუბის მოთამაშეს თავისუფალი აგენტის სტატუსი აქვს, მისი ტრანსფერის განხორციელება ნებისმიერ დროს შეიძლება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოყვარულის შემთხვევაში შეზღუდვებია - ფიფას წესებით, ასეთი კლუბის მოთამაშის ტრანსფერი მხოლოდ ზამთრის და ზაფხულის შესვენებებზე თუ დამტკიცდება. კოვალევსკის გადმოსვლა ამიტომ ვერ გაფორმდა და უკრაინელს მცირე ხნის წინათ სამშობლოში დაბრუნება მოუხდა“*, - ამბობს კვიციანი.

ანტონ კოვალევსკიმ საქართველოში მესამედ სცადა ბედი და მესამედაც წარუმატებლად: 2008 წლის დასაწყისში ის რუსთავის „მეტალურგში“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი პისკოვეცმა** ჩამოიყვანა და გუნდს თანამეგობრობის თასზე დაეხმარა. მაშინ ის თანამემამულე **ომელიანოვთან** ერთად თამაშობდა და ამ წყვილმა საკმაოდ კარგი შეტევის ხაზიც შექმნა. უკრაინელმა გუნდი ტურნირის შემდეგ დატოვა, მაგრამ მარტში ორი თვით დაუბრუნდა. ახლა კოვალევსკი მესამედ გვესტუმრა და კვლავ უკან გაბრუნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ლევან მახარაძე, უცნობი ქართველი უკრაინის პრემიერლიგაში

## ოქრიაშვილისა და თარგამაძის თანაგუნდელის კერპი ჯონ ტერია

უკრაინის პრემიერლიგის მე-9 ადგილზე მყოფ „ილიჩივეცში“, სადაც იჯარის წესით თამაშობენ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები, **თორნიკე ოქრიაშვილი** და **დავით თარგამაძე**, კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდა - **ლევან მახარაძე**.

მახარაძე ახალგაზრდა (20 წლისაა) და ტანმაღალი (189 სმ) მცველია, რომელსაც მოქალაქეობის გრაფაში სამწუხაროდ, უკრაინა უწერია, თუმცა ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამ ასაკში ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

მახარაძეს ძირითად გუნდში ჯერ არ უთამაშია ოფიციალური მატჩი, თუმცა ის ახლახან გამოჩნდა ამხანაგურ შეხვედრაში „ზორიას“ წინააღმდეგ და ჩვენი ყურადღებაც მაშინ მიიპყრო. მას 4-ნომრიანი მაისურაც მისცეს. ფაქტია, მისმა გუნდმა კარი მშრალად შეინახა, თავად კი პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო.

17 ნოემბერს ლევანი კიდევ ერთხელ გამოჩნდა, მან „ილიჩივეცისა“ და დონეცკის „მეტალურგის“ 21-წლამდელთა გუნდების სპარინგში ითამაშა (1:1).

აღსანიშნავია, რომ „ილიჩივეცის“ გუნდი დუბლშემადგენლობების ჩემპიონატში პირველ ადგილზეა 27 ქულით. ბოლო ტურში მას გოლიც გაუტანია „ტავრიას“ წინააღმდეგ, რის გამოც ოფიციალურ საიტთან მცირე ინტერვიუ დაიმსახურა

*„როცა მცველის პოზიციაზე თამაშობ, არცთუ ხშირად გაქვს გოლის გატანის შანსი. მოხარული ვარ, რომ გავიტანე, რა თქმა უნდა, ეს სტანდარტი ვარჯიშებზე დახვეწილი იყო. მოხარული ვარ, რომ პირველ ადგილზე ვართ, თუმცა წინ კიდევ II წრეა“*, - განაცხადა მახარაძემ, რომელსაც ნელ-ნელა ძირითად გუნდსაც აჩვევენ, ასე რომ, არ არის გამორიცხული II წრეში მან უკვე პრემიერლიგაში ითამაშოს.

ლევან მახარაძემ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ფეხბურთში მისი კერპი **ჯონ ტერია**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ლევან მახარაძე

# სასიამოვნოდ მოულოდნელი

## ანანიძე სეზონის სენსაციების სიმბოლურში

SOCCER.RU-მ გამოაქვეყნა რუსეთის პრემიერლიგის სასიამოვნო მოულოდნელობათა სიმბოლური ნაკრები, რომელშიც **ჯანო ანანიძეც** მოხვდა.

*„აქეს, აქეს მინიატიურული ქართველი პლეიმეიქერი, მაგრამ კარპინის სქემებში მას ადგილი მაინც ვერ მოუძებნეს. აი, მიოდრაგ ბოჟოვიჩმა კი მალევე აღმოაჩინა ანანიძის ტალანტი. ჯანოს უკვე აქვს სათამაშო პრაქტიკა, ის თამაშობს ისე, თითქოს ძალზე გამოცდილი ფეხბურთელია. მან სასიამოვნოდ გაგვაკვირვა, თუმცა ბევრს ეს სჯეროდა კიდევაც, იცოდნენ, რომ ჯანო კარიერაში წინ გადადგამდა ნაბიჯს“*, - ვკითხულობთ გამოცემის აზრს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაც არ აფიშირებულა...

# ვაჟა ჟვანია: ძველი დრო აღარ არის, ვეტერანები დაფასდნენ

ცოტა ხნის წინ, ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, საიდანაც შევიტყვეთ, რომ სახელგანთქმული ფეხბურთელი **ნუკრი კაკილაშვილი** მძიმედ ავად არის და უცხოეთში გადაუდებელ ოპერაციასთან ერთად ფინანსური დახმარებაც ესაჭიროება.

- რა დატვირთვა აქვს საქართველოს ვეტერანთა კავშირს, თუ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ვეტერანები დასახმარებლად სხვას მიმართავენ და საერთოდ, ეხმარებიან თუ არა იმ ადამიანებს, ვისაც არა მხოლოდ ქართული ფეხბურთის, არამედ, ქვეყნის წინაშე აქვთ დამსახურება?

მაგალითად, ახლახანს „სპორტ-ექსპრესი“ წერდა, რომ კიევის „დინამომ“, „შახტარმა“, „დნიპრომ“, „სპარტაკმა“, მოსკოვის „დინამომ“ და სხვა პოსტსაბჭოურმა პოპულარულმა კლუბებმა დამსახურებულ ვეტერანებს სოლიდური ხელფასები დაუნიშნეს. რა ხდება ამ მხრივ საქართველოში?

ამ კითხვით „ვეტერან ფეხბურთელთა კავშირისა“ და „ვეტერან ფეხბურთელთა საქველმოქმედო ფონდის“ თავმჯდომარეს **ვაჟა ჟვანიას** დავუკავშირდით:

*„ამ თემაზე ლაპარაკი მერიდებოდა, მაგრამ ეს კითხვა რომ დაგებადათ, გამოდის, ხალხისთვის ბევრი რამ უცნობია. „ვეტერანთა კავშირი“ და ჩვენი საქველმოქმედო ფონდი ტყუილად არ არსებობს. სათქმელიც უნდა ითქვას. ადრე ჩვენი ვეტერანები მართლაც მძიმე მდგომარეობაში იყვნენ და მათზე თითქმის არავინ ზრუნავდა. მაგრამ ბოლო რამდენიმე წელიწადია, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ფეხბურთის ფედერაცია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, თბილისის მერია, ჯგუფი „ქართუ“ და თბილისის „დინამო“, დიდი დამსახურების მქონე ფეხბურთელების დასახმარებლად ძალიან ბევრს აკეთებენ. ფეხბურთის ფედერაცია საკუთარ თავზე იღებს მათ იუბილეებს, ოპერაციებსა თუ ყველაზე არასასიამოვნო ამბების ხარჯებს. მაგალითად, ნუკრი კაკილაშვილის ოპერაციისთვის 69 500 ლარი გადაირიცხა. ისიც სათქმელია, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა და თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა რომან ფიფიამ დამსახურებულ ვეტერანებს სოლიდური პენსიები დაუნიშნეს. ამ კატეგორიაში სულ 35 კაცი შედის. ზვიად სიჭინავა, რომან ფიფია, რეზო არველაძე, ლევან ყიფიანი, ჯგუფი „ქართუ“ და თბილისის მერია ცნობილ ფეხბურთელებს გვერდში დაუდგნენ, მაგრამ ამ ყველაფრის აფიშირებას ერიდებიან. არადა, თითოეული მათგანი, მინიმუმ, 1 000 ლარს მაინც იღებს. მეამაყება, რომ დღეს ეს ხალხი მართლაც დაფასებულია. ცოცხალ ლეგენდებს გაფრთხილება სჭირდებათ“*, - გვითხრა ჟვანიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები


რიკი ჰერბერტი

## ზელანდია უთავოდ რჩება

ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რიკი ჰერბერტი** მექსიკასთან პლეი ოფის საპასუხო თამაშის დასრულების შემდეგ პოსტიდან წასვლას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ოკეანელებმა 13 ნოემბერს მეხიკოში პირველი მატჩი 1:5 დათმეს და მათგან ბრაზილიის საგზურის მოპოვებას უკვე აღარავინ ელის. ნაწნევი სირცხვილის შემდეგ 52 წლის სპეციალისტმა ჟურნალისტებთან მომავალზე საუბარი არ ისურვა, თუმცა ორშაბათს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ჰერბერტმა მათ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ნ თვით ადრე ოფიციალური წერილით აცნობა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ. ამასთან მწვრთნელი შეგირდებს მოუწოდებს, რომ საპასუხო შეხვედრას მაქსიმალურად მობილიზებულნი შეხვდნენ და გამარჯვებისთვის იბრძოლონ.

## პროგნოზი დამძიმდა

რამდენიმე დღეა, ტოტენჰემელ **კრისტიან ერიქსენზე** წერა გვიწევს. უკვე გაცნობეთ, რომ ტრავმირებული დანიელის გამო კლუბი ფიფასგან კომპენსაციას ელოდება და რომ ნორვეგიელებთან მიღებული დაზიანების გამო 21 წლის პლეიმეიკერს ახალ წლამდე მოუწევდა დასვენება. თუმცა დეტალური სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ მედიკოსების პირველადი პროგნოზი არ გამართლდა. ფეხბურთელის მდგომარეობა ბევრად უფრო მძიმეა. მას მინიმუმ 3 თვე მოუწევს უფეხბურთოდ ცხოვრება. **ანდრე ვილამ ბოაშს** ნახევარდაცვის ცენტრში **ლუის ჰოლტბისა** და **ერიკ ლამელაზე** შეუძლია დაყრდნობა, თუმცა დანაკარგის სიმძიმეს ეს მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეამსუბუქებს.

## სატრანსფერო ხმები ქალაქში

„დეილი ექსპრესის" ინფორმაციით, „ქუინზ პარკის" შემდეგ „ელჩეს" 20 წლის ფორვარდის **კარლეს ხილის** გადაბირება „მანჩესტერ სიტიმაც" მოისურვა. „ელჩეში" ფეხბურთელი იჯარით თამაშობს, კონტრაქტი კი 2016 წლის ზაფხულამდე „ვალენსიასთან" აკავშირებს. ცნობილია მისი სავარაუდო სატრანსფერო ფასიც: 6.7 მილიონი ფუნტი. ფეხბურთელის სადებიუტო სეზონს პრიმერა დივიზიონში წარმატებულს ვერ ვუწოდებთ, რადგან 12 შეხვედრაში ჯერ გოლი არ გაუტანია. „ვალენსიას" პრეზიდენტის **ამადეო სალვოს** თქმით, მიუხედავად სერიოზული ფინანსური პრობლემებისა, ის ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებს.

ლევან ბიბილაშვილი


კარლეს ხილი

ვეტერანი

# რიისე სამშობლოში ბრუნდება

„ფულჰემის" 33 წლის მცველმა **იონ არნე რიისემ** არ გამორიცხა, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე „ლილესტრიომთან" გააფორმოს კონტრაქტი. ვეტერანი ნორვეგიელი სამშობლოდან შორეულ 1998 წელს წავიდა უცხოეთში სათამაშოდ, კონკრეტულად ინგლისში კი 9 წელი აქვს გატარებული. ნოსტალგიის გარდა მას სხვა მიზეზიც აქვს ამ ნაბიჯის გადასადგმელად. „ლილესტრიომში" ის უმცროსი ძმის, 30 წლის **ბიორნ ჰელგე რიისეს** გვერდით ითამაშებს.

*„უცხოეთში ცხოვრების ნახევარი გავატარე და მგონი დადგა დრო სახლში დასაბრუნებლად. ახალი კლუბი ახალი გამოწვევა იქნება ჩემთვის. ვგრძნობ, რომ 4-5 წელი კიდევ შემიძლია ფეხბურთის თამაში,"* - თქვა ფეხბურთელმა, ვინც ეროვნულ გუნდში 110 მატჩის ჩატარების შემდეგ საერთაშორისო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება.

ლევან ბიბილაშვილი



იონ არნე რიისე

ამბები



ნეიმარი

## ბაიერნმა ნეიმარი ვერ გარისკა

მიუნხენის „ბაიერნის" ლეგენდამ **ჯოვანი ელბერმა** განაცხადა, რომ რეკორდმაისტერი მისი თანამემამულის **ნეიმარის** შეძენაზე ჯერ კიდევ მაშინ ფიქრობდა, როცა ეს უკანასკნელი 16 წლის გახლდათ, მაგრამ...

*„ნეიმარი უკვე უმაღლეს დონეზე თამაშობდა და სხვა თანატოლებისგან აშკარად გამოირჩეოდა. თუმცა საკონტრაქტო პირობების გამო, ის ძალიან ძვირი ფეხბურთელი გახლდათ. „ბაიერნი" საკმაო ხანს ფიქრობდა მის შეძენაზე, მაგრამ საბოლოოდ გადაიფიქრა. არ იყო არანაირი გარანტია, რომ იგი ასევე გააგრძელებდა და გუნდმა დიდი ფულის გადახდა ვერ გარისკა. ამის შემდეგ, მიუნხენელებმა საერთოდ უარი თქვეს ბრაზილიაში ვოიაჟებსა და იქიდან ახალგაზრდა ფეხბურთელების ჩამოყვანაზე, ერთეული გამონაკლისების გარდა"* - განაცხადა ელბერმა.

## ტიაგო სილვას სამეული

ბრაზილიის ნაკრებისა და პსჟ-ს კაპიტანმა **ტიაგო სილვამ** ის სამეული გაგვიმხილა, რომელსაც „ოქროს ბურთის" გამოკითხვაში ხმა მისცა. პირველ ადგილზე, მიუხედავად ბრაზილიელობისა და **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** მეგობრობისა, მას არგენტინელი **ლიონელ მესი** გაუყვანია, მეორეზე - იბრა, ხოლო მესამეზე - **კრიშტიანო რონალდო**.

ტიაგო სილვამ საინტერესო კომენტარი გააკეთა: *„ბრაზილიელების არჩევა რომ შემძლებოდა, პირველ ადგილზე ნეიმარს ჩავწერდი, ხოლო მეორეზე საკუთარ თავს. თუმცა არ შემეძლო და ამიტომ, უცხოელებს შორის ავირჩიე. 2013 წელს კრიშტიანო რონალდოს არც ერთი ტიტული არ მოუგია, ამიტომ მას საუკეთესოდ ვერ დავასახელებდი"*.

## ვის აირჩევს იბრაჰიმი

ამ წუთას ჯერ კიდევ „მანჩესტერ სიტის" საკუთრებაში მყოფი **აბდისალამ იბრაჰიმი** სულ მალე თავისუფალი აგენტი გახდება და „ქალაქელებს" 22 წლის ფეხბურთელისთვის უთქვამთ - ახალი კლუბი თავად მოძებნეო. მსურველები წარმოშობით სომალელ ნორვეგიელს ნამდვილად არ აკლია - „არსენალი", „ევერტონი", „ჰალი", „კრისტალ პალასი" და „სელტიკი". გეტყვით, რომ ნიჭიერმა ნახევარმცველმა „სტრომსგოდსეტის" შემადგენლობაში, სადაც იჯარის წესით თამაშობდა, ახლახან დასრულებული ნორვეგიის ჩემპიონატი მოიგო.

## ინტერი კამბიასოს ემშვიდობება?

**ესტებან კამბიასო**, რომელიც 2004 წლის მერე, მილანის „ინტერის" წევრი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა, შესაძლოა, ამ სეზონის ბოლოს გუნდიდან წავიდეს. მოგეხსენებათ, „ნერაძურიში" ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა. 33 წლის არგენტინელს გუნდთან მოქმედი კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულში ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. როგორც მისი ძმა და აგენტი **ფედერიკო** ამბობს, განიხილება „რივერ პლეიტში" დაბრუნების საკითხი. იქ კამბიასომ 2001-2002 წლების სეზონი გაატარა, 12 გოლიც კი გაიტანა და „კლაუსურა" მოიგო.

გიორგი კაკაბაძე



ესტებან კამბიასო

ამბები



ფილ ჯონსი

## ჯონსი იუნაიტედსაც დააკლდება

ჩილეს ნაკრებთან ინგლისმა საზარდულის ტრავმის გამო „მანჩესტერ იუნაიტედის" 21 წლის ცენტრალური მცველი **ფილ ჯონსი** დაკარგა. ფეხბურთელი იძულებული გახდა, სამკურნალოდ კლუბის ბაზაზე დაბრუნებულიყო. „დეილი მეილის" ცნობით, ის უახლოესი 10 დღის განმავლობაში ვერ ითამაშებს. ეს ნიშნავს, რომ ჯონსს 24 ნოემბერს „კარდიფთან" XIII ტურისა და 27-ში ჩემპიონთა ლიგაში „ლევერკუზენთან" მატჩები გაუცდება. სამაგიეროდ, 1-ელ დეკემბერს ის „უაით ჰართ ლეინზე" „ტოტენჰემთან" თამაშს შეძლებს.

ლევან ბიბილაშვილი

## ქაბული მილანში

იტალიური „მილანი" **იუნეს ქაბულის** დამატებას აპირებს. 27 წლის ფრანგს „ტოტენჰემში" სათამაშო პრაქტიკა არ აქვს და თან ლონდონელებთან კონტრაქტი ზაფხულში ეწურება. ამიტომ, მის უფასოდ დაკარგვას „დეზებს" ქაბულის იანვარში თუნდაც სიმბოლურ ფასად გაყიდვა ურჩევნიათ. შეგახსენებთ, რომ იანვრიდან „როსონერიში" ითამაშებს ვალენსიელი **ადილ რამიც**. გუნდის კიდევ ერთი ფრანგი მცველი კი **ფილიპ მექსეა**.

## ცბიერი პრეციოზი

**ლუკა ანტონელის** „ჯენოასთან" კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულში ეწურება და „გრიფონე" 26 წლის მცველის უფასოდ დაკარგვის საფრთხეშია. მიუხედავად ამისა, გენუელთა პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზი** ჯიუტობს და „ნაპოლის" შემოთავაზებულ 4,8 მილიონ ევროზე უარს ამბობს. როგორც ამბობენ, პრეციოზის 6-7 მილიონის აღება სურს და იმ სიტუაციას გამოყენებას ცდილობს, რომ ნეაპოლიტანელებს ფეხბურთელი იანვარშივე სჭირდებათ.

## ჩაბი ალონსოს ფიქრები

31 წლის **ჩაბი ალონსო** მადრიდის „რეალისგან" ახალ ორწლიან კონტრაქტს ელოდება. როგორც ირკვევა, სხვა სახის შემოთავაზებით ნახევარმცველი არც ისე ბედნიერი იქნება. გარდა ამისა, მას ხელფასის 4,5 მილიონიდან 5 მილიონამდე გაზრდა ნდომებია. ვნახოთ, რამდენად დააკმაყოფილებს ტრავმებისკენ მიდრეკილი ვეტერანის მოთხოვნებს „სამეფო გუნდის" ხელმძღვანელობა.

გიორგი კაკაბაძე

## განსხვავებული ინფორმაცია

რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ „არსენალი" **ტომაშ როსიცკისთან** ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელებას გეგმავდა. გუშინდელმა „დეილი ექსპრესმა" განსხვავებული ინფორმაცია გაავრცელა. გამოცემის მტკიცებით, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ 33 წლის ჩეხი ზაფხულზე ლონდონურ კლუბს დატოვებს. ამბობენ, რომ როსიცკის გადაბირებას „ვესტ ჰემი" გეგმავს, ვისაც ტომაში ნამდვილად გამოადგება, რადგან მოკლე სათადარიგოთა სკამი სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა. ტორნეო ინისიალი. XVI ტური



პიატი და კორეა „სან ლორენსოს" მორიგ გოლს აღნიშნავენ

# რომის პაპი კმაყოფილია: სან ლორენსო გალიდერდა

**ოლ ბოისი–ლანუსი 2:3**

**გოლები:** 1:0 მატოსი (7-პენ), 2:0 მატოსი (25), 2:1 ს. სილვა (53), 2:2 ს. სილვა (75), 2:3 ლ. აკოსტა (79)

**გოდოი კრუსი–ესტუდიანტესი 2:1**

**გოლები:** 1:0 კურბელო (21-პენ), 1:1 ვერხინი (71), 2:1 გრიმი (85)

**კილმესი–რასინგი 1:1**

**გოლები:** 1:0 კანეო (41), 1:1 დინენო (49)

**სან ლორენსო–ბელგრანო 4:2**

**გოლები:** 1:0 ე. მასი (3), 2:0 ა. კორეა (10), 2:1 ს. პერეირა (28), 2:2 ალვარადო (60-საკ. კარში), 3:2 ი. პიატი (63-პენ), 4:2 სეტო (72)

**როსარიო–ველესი 2:3**

**გოლები:** 0:1 რ. კასერესი (11), 0:2 რ. კასერესი (46), 0:3 რ. კასერესი (54), 1:3 ვ. აკუნია (87), 2:3 კასტილიეხოსი (90)

**რივერი–ოლიმპო 1:3**

**გოლები:** 1:0 სიმეონე (9), 1:1 პერეს გუედესი (44), 1:2 ფურიოსი (66), 1:3 დ. ვეგა (79)

**არსენალი–ბოკა 3:2**

**გოლები:** 1:0 ნ. აგირე (15), 2:0 კარალიო (27), 2:1 კარუსო (50), 3:1 კარერა (55), 3:2 რიანიო (76)

**ტიგრე–ნიუელსი 2:1**

**გოლები:** 0:1 ფ. მუნიოსი (20), 1:1 რუსკულიედა (35), 2:1 გ. დიასი (64-პენ)

**გაძევება:** ორსანი (90. ნიუელს ოლდ ბოისი)

**ხიმნასია–არ. ხუნიორსი 0:0**

**კოლონი–ატლ. რაფაელა გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ლორენსო | 16 | 9 | 3 | 4 | 27-15 | 30 |
| 2. ნიუელსი | 16 | 8 | 5 | 3 | 23-15 | 29 |
| 3. ლანუსი | 16 | 8 | 4 | 4 | 28-14 | 28 |
| 4. არსენალი | 16 | 7 | 7 | 2 | 19-13 | 28 |
| 5. ბოკა | 16 | 8 | 3 | 5 | 22-19 | 27 |
| 6. ველესი | 16 | 6 | 6 | 4 | 20-15 | 24 |
| 7. გოდოი კრუსი | 16 | 6 | 6 | 4 | 16-12 | 24 |
| 8. ატლ. რაფაელა | 15 | 7 | 3 | 5 | 20-19 | 24 |
| 9. არ. ხუნიორსი | 16 | 7 | 3 | 6 | 15-15 | 24 |
| 10. ესტუდიანტესი | 16 | 5 | 8 | 3 | 15-12 | 23 |
| 11. როსარიო | 16 | 6 | 4 | 6 | 19-21 | 22 |
| 12. ხიმნასია | 16 | 5 | 6 | 5 | 17-21 | 21 |
| 13. ბელგრანო | 16 | 5 | 5 | 6 | 21-19 | 20 |
| 14. ტიგრე | 16 | 5 | 4 | 7 | 15-18 | 19 |
| 15. კილმესი | 16 | 5 | 4 | 7 | 10-18 | 19 |
| 16. რივერი | 16 | 4 | 5 | 7 | 10-12 | 17 |
| 17. ოლ ბოისი | 16 | 3 | 7 | 6 | 14-17 | 16 |
| 18. ოლიმპო | 16 | 3 | 5 | 8 | 16-25 | 14 |
| 19. რასინგი | 16 | 2 | 3 | 11 | 8-23 | 9 |
| 20. კოლონი | 15 | 3 | 3 | 9 | 8-20 | 6* |

**შენიშვნა:** „კოლონს" - 6 ქულა

**ბომბარდირები:** 8 - მატოსი (ოლ ბოისი); 7 - ჟიგლიოტი (ბოკა ხუნიორსი), ს. პერეირა (ბელგრანო), ს. სილვა (ლანუსი), დ. ვერა (ატლეტიკო რაფაელა); 6 - ფურჩი (არსენალი), ი. პიატი (სან ლორენსო), მაქსი როდრიგესი (ნიუელს ოლდ ბოისი)

**არგენტინის ჩემპიონატში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. „ნიუელს ოლდ ბოისის" წაგების შემდეგ, ჩემპიონობის შანსი ერთბაშად ექვს გუნდს აქვს შერჩენილი, რომელთაგანაც საუკეთესო პოზიციაში „სან ლორენსო" იმყოფება, ვინც მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და პირველ პოზიციაზე გადავიდა...**

## სან ლორენსომ და ნიუელსმა ადგილები გაცვალეს

**ხუან ანტონიო პიცის** გუნდი „პოულ პოზიციაზეა" - დარჩენილი სამი მატჩის მოგების შემთხვევაში, „სან ლორენსო" არგენტინის ჩემპიონი გახდება. მომდევნო ტურში ალმაგროელები იმ „ატლეტიკო რაფაელას" სტუმრობენ, რომელიც ლიდერს, პოტენციურად, მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

ტორნეო ინისიალის მე-16 ტურში კი „სან ლორენსომ" „ბელგრანოს" უმასპინძლა და 4:2 მოუგო. მასპინძლებისთვის შეხვედრა იდეალურად დაიწყო და ათი წუთის შემდეგ უკვე 2:0 იყო - ანგარიში მარცხენა მცველმა **ემანუელ მასმა** გახსნა, რამდენიმე წუთში კი თავისი მორიგი, მეოთხე გოლი 18 წლის **ანხელ კორეამაც** გაიტანა. სტუმრებმა სხვაობის შემცირება პირველივე ტაიმში შეძლეს, მეორე ნახევრის დასაწყისში კი **პაბლო ალვარადომ** საკუთარ კარში გაიტანა და ანგარიში გათანაბრდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა, მასპინძლები არ დაბნეულან და დაწინაურება ზუსტად სამ წუთში შეძლეს - **იგნასიო პიატიმ** 11-მეტრიანი გამოიყენა, შეხვედრას კი წერტილი კიდევ ერთმა მცველმა, **მაურო სეტომ** დაუსვა, რომელმაც ლეანდრო რომანიოლის პასი გამოიყენა - 4:2.

ხუან ანტონიო პიცის ხელმძღვანელობით, „სან ლორენსომ" 41 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 5 წააგო. დარჩენილ სამ ტურში რომის პაპის საყვარელ გუნდს იოლი მატჩები არ ელის („ატლეტიკო რაფაელა", „ესტუდიანტესი", „ველეს სარსფილდი"), მაგრამ ალმაგროელები მხოლოდ საკუთარ თავზე არიან დამოკიდებულნი. გეტყვით, რომ 1908 წელს დაარსებული კლუბი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს 14-ჯერ (სამოყვარულო ჩემპიონატების ჩათვლით) ფლობდა, ბოლოს კი არგენტინის ჩემპიონი 2007 წელს (კლაუსურა) გახდა.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, „ნიუელსმა" „ტიგრესთან" წააგო და პირველობა დათმო. „ძველ ბიჭებს" ნაკრებში გამოძახებული **მაქსი როდრიგესი** არ ჰყავდათ, გარდა ამისა, შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია **გაბრიელ ჰაინცეს**. მიუხედავად ამისა, **ალფრედო ბერტის** გუნდს მოგების ძალიან კარგი შანსი ჰქონდა - პირველი ტაიმის მიწურულს, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, **გასტონ დიასმა** საჯარიმოში ხელით ითამაშა და მასპინძლების კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, რომელიც **დავიდ ტრეზეგემ** (პენალტი სწორედ მან მოიპოვა) ვერ გამოიყენა. შედეგად, „ნიუელსი" დაისაჯა და მეორე ტაიმში პენალტი უკვე მის კარში დაინიშნა, რომელიც გოლად იმავე **გასტონ დიასმა** აქცია.

„ნიუელსის" მოუგებელი სერია უკვე ხუთი ტურია გრძელდება. დარჩენილ სამ ტურში, **ალფრედო ბერტის** სამწყსოს საკმაოდ რთული მატჩები ელის: შინ „არსენალთან", სტუმრად „ოლ ბოისთან" და ბოლო ტურში, შინ „ლანუსთან". როგორც ხედავთ, სამი მატჩიდან ორი „ძველ ბიჭებს" უშუალო კონკურენტებთან აქვთ.

## ლანუსის საოცარი შემოტრიალება

„ლანუსი" დუბლისთვის იბრძვის. **გილერმო ბაროს შელოტოს** გუნდი კოპა სუდამერიკანას 1/2 ფინალშია გასული, არგენტინის ჩემპიონატში კი მესამე ადგილზეა და ლიდერს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. ამ ტურში ბუენოს აირესელებმა ისეთი გამარჯვება მოიპოვეს, მხოლოდ საჩემპიონო გუნდებისთვის რომ არის დამახასიათებელი. პირველი ტაიმის შემდეგ, „ოლ ბოისი" გუნდის და უკვე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, **მაურო მატოსის** დუბლით იგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში ყველაფერი თავდაყირა დადგა. გასაგები იყო, რომ „ლანუსი" მარტივად არ დანებდებოდა, მაგრამ მისი მხრიდან მატჩის შემოტრიალება და გამარჯვების მოპოვება მაინც ძალიან მოულოდნელი გახლდათ.

„ბოკა ხუნიორსის" ყოფილი მწვრთნელის, **ხულიო სესარ ფალსიონის** გუნდი ასევე ყოფილმა „ბოკელებმა", **სანტიაგო სილვამ** და **ლაუტარო აკოსტამ** დაამარცხეს - პირველმა დუბლი შეასრულა, მეორემ კი გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. საბოლოოდ, 2:3 და „ლანუსმა" ზედიზედ მოპოვებული მეხუთე გამარჯვების წყალობით, ჩემპიონობის საკმაოდ კარგი შანსი შეინარჩუნა, ფალსიონიმ კი მატჩის დასრულებისთანავე „ოლ ბოისის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.

## არსენალმა შანსი დაიტოვა

ტურის ცენტრალური მატჩი სარანდის „არსენალსა" და „ბოკა ხუნიორსს" შორის გაიმართა. მასპინძლებს, ჩემპიონობის შანსის შესანარჩუნებლად მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ, სტუმრები კი გამარჯვების შემთხვევაში თანალიდერები გახდებოდნენ.

**კარლოს ბიანკის** რამდენიმე ლიდერი აკლდა: **აგუსტინ ორიონი** ნაკრებში იყო მიწვეული, **ხუან სანჩეს მინიოს** და **ფერნანდო გაგოს** კი ტრავმა აწუხებდათ. ამ ფეხბურთელების არყოფნა გუნდს აშკარად დაეტყო და „ბოკამ" პირველი ტაიმი პირწმინდად წააგო. მასპინძელთა რიგებში ერთი გოლი **ნიკოლას აგირემ** გაიტანა, მეორე კი **მილტონ კარალიოს** ანგარიშზეა, რომელმაც ბოლო 5 შეხვედრაში თავი 4-ჯერ გამოიჩინა. მეორე ტაიმში ბიანკიმ ნაცნობ ხერხს მიმართა და სათადარიგოთა სკამზე ვინც კი შემტევი ჰყავდა (**მარტინესი, პარედესი, რიანიო**) ყველა მოედანზე შეუშვა. შედეგად, „ბოკამ" მეორე ტაიმი კი მოიგო, მაგრამ შეხვედრა მაინც წააგო - 2:3.

მარცხის მიუხედავად, „ბომბონერას" ბინადრებს დაკარგული არაფერი აქვთ - ლიდერთან სხვაობა ხომ მხოლოდ სამი ქულაა. „არსენალს" კი სულაც ჰეთთრიქის შესრულების შანსი აქვს. **გუსტავო ალფაროს** გუნდმა ცოტა ხნის წინ არგენტინის თასი მოიგო, სადაც ფინალში „სან ლორენსოს" სძლია, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი სარანდელები ქვეყნის სუპერთასისთვის წინა სეზონის ჩემპიონს, „ველეს სარსფილდს" დაუპირისპირდებიან.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## ჯორჯევიჩი მოიფიქრებს

„ნანტის" ფორვარდს **ფილიპ ჯორჯევიჩს** ამ სეზონში 8 გოლი აქვს გატანილი და ლიგა 1 ბომბარდირთა დავაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს. ისინი მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩებიან **რადამელ ფალკაოსა** და **ედინსონ კავანის**. თავადაც ხედავთ, თუ რა მარაქაშია გარეული 26 წლის თავდამსხმელი, რომელიც მართლაც ჩინებულად გამოიყურება. მისით სერია A-ს არაერთი კლუბი დაინტერესდა, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, მსურველები პრემიერლიგიდანაც გამოუჩნდნენ. არჩევანი თავად სერბზეა, რომელიც არ იჩქარებს და კარგად მოიფიქრებს, თუკი ვინმეს ეჩქარება, ეს ნანტელთა ხელმძღვანელები არიან, რადგან მხარეებს შორის მოქმედი კონტრაქტი ივლისში იწურება. შესაბამისად, „იადონთა" უფროსობა ყველაფერს იზამს, რომ ფეხბურთელი იანვარში გაასხვისოს.

## ინტერის ინტერესები

მილანის „ინტერში" ახალი ხელმძღვანელის გამოჩენისთანავე გუნდის სამომავლო ტრანსფერებზე საუბარი გაათმაგდა. როგორც ჩანს, „ნერაძური" პირველ რიგში დაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს. იტალიურ კლუბს მიზანში „პორტუს" ბრაზილიელი მცველი **ალექს სანდრო** ამოუღია. მისი საბაზრო ღირებულება დაახლოებით 15 მილიონი ევროა, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, მარცხენა მცველს „დრაკონები" ასე ადვილად შეელიონ. „ინტერის" ინტერესის კიდევ ერთი ობიექტი **მარტინ მონტოიაა**. 22 წლის მცველი „ბარსელონასთან" ახალ კონტრაქტს ალბათ აღარ გააფორმებს. თუმცა მონტოიაში მილანელებს შემცილებლებიც ჰყავთ - „ვალენსია" და „იუვენტუსი".

## ელ კლასიკო ვიდალისთვის

„ბარსელონა" რომ ნახევარმცველის დამატებას გეგმავს, ძველი ამბავია. დიდი ხანია საუბრობენ „ატლეტიკოს" **კოკეზე**, რომელიც ამჟამად პრიმერადივიზიონის საუკეთესო მეპასეა და ოქტომბრის თვის ფეხბურთელიც გახდა. ასევე ახსენებდნენ **რამირესს**, „ჩელსის" დაუღალავ და ძალიან სასარგებლო ბრაზილიელს. ახლა კი კატალონიელებს ახალი კანდიდატი შეურჩევიათ - **არტურო ვიდალი**. ექსლევერკუზენელი „იუვენტუსში" საუცხოოდ გამოიყურება და ჩილელის გადაბირება მადრიდის „რეალსაც" სურდა, მაგრამ ტურინული კლუბისგან უარი მიიღო. „სამეფო გუნდი" მაინც არ ნებდება და აი, ჰორიზონტზე „ბარსაც" გამოჩნდა...

## ლასოგა ადგილზე რჩება

„ჰერტადან" „ჰამბურგში" იჯარის წესით მოთამაშე **პიერ-მიშელ ლასოგა** შესაშურად გამოიყურება და 8 გოლით ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. ცხადია, 21 წლის ფეხბურთელს უმალვე ბევრი მსურველი გამოუჩნდა, როგორც გერმანიის მასშტაბით, ასევე მის ფარგლებს მიღმა. თუმცა „ჰამბურგის" გენერალურმა მენეჯერმა **ოლივერ კრუზერმა** ფანები დაამშვიდა და თქვა, სულ მინიმუმ სეზონის ბოლომდე ლასოგას არსად გავუშვებთო.

*„მე მას ვესაუბრე და ის სატრანსფერო მითქმა-მოთქმები სიმართლეს არ შეესაბამება. პიერ-მიშელი ჩვენთან რჩება და თავისი საქმის მშვენივრად კეთებას გააგრძელებს"* - თქვა კრუზერმა.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

# იტალიამ იდეალურ დუეტს მიაგნო?

**როგორც „გაძეტა დელო სპორტი“ წერს, ეს იყო იტალიის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მას შემდეგ, რაც გუნდს ჩეზარე პრანდელი ჩაუდგა სათავეში. დიახ, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ნიგერიასთან ფრედ დასრულებულ პაექრობას აპენინურ სპორტულ პრესაში ცალსახად დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. მართალია, ეს ქება-დიდება დაცვის ცენტრს არ ეხება, მაგრამ იტალიელებს კარგად ესმით, რომ არც ანდრეა რანოკია და არც ანჯელო ოგბონა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებად არ მოიაზრებიან...**

## იტალიური ტიკი ტაკა

ჩეზარე პრანდელიმ საწადელი აისრულა და შეტევის წინა ხაზზე **ჯუზეპე როსის** და **მარიო ბალოტელის** ტანდემი გაამწესა. მოედნის სიღრმიდან მათ **ანტონიო კანდრევა, ემანუელე ჯაკერინი, რიკარდო მონტოლივო** და **ტიაგო მოტა** ეხმარებოდნენ. ეს უკანასკნელი **ანდრეა პირლოს** პოზიციაზე გაამწესეს და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. მართალია, პირლოს მსგავსად 40-მეტრიანი გამჭოლი პასები ვერ აკეთა, მაგრამ იტალიელთა იერიშების წამომწყები სწორედ ის გახლდათ. მთლიანობაში, „სკუადრა აძურამ“ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა და „კრევინ კოტეჯზე“ შეკრებილ გულშემატკივრებს არაერთხელ დასტყუა ტაში. მოკლე და სწრაფი პასები, სამსვლიანი კომბინაციები, ბურთის ბრწყინვალე კონტროლი მეტოქის პრესინგის ფონზეც კი და რაც მთავარია, მწვავე და ეფექტური იერიშები. იტალიელებმა აურაცხელი რაოდენობის მომენტი შექმნეს ნიგერიელთა კართან და ალბათ, იმსახურებდნენ კიდეც გამარჯვებას. თავად განსაჯეთ, „სკუადრა აძურამ“ მეტოქის კარის მიმართულებით 17-ჯერ დაარტყა და აქედან 11-ჯერ ბურთი კარის ჩარჩოში წავიდა. როგორც „კორიერე დელო სპორტი“ წერს, ეს იყო იტალიური „ტიკი ტაკა“, რომელმაც გულშემატკივარს სიამოვნება მიანიჭა.

## ...მაგრამ გარღვეული დაცვა

თუ იტალიამ ასე დიდებულად ითამაშა, რატომ ვერ დაამარცხა ნიგერიის ნაკრები? - ეს კითხვა ნებისმიერს შეიძლება გასჩენოდა და ამ კითხვას აქვს თავისი პასუხი... ჩეზარე პრანდელიმ „სკუადრა აძურას“ ძირითადი მცველები დაასვენა და საქმეში რეზერვისტები: ანდრეა რანოკია და ანჯელო ოგბონა გამოსცადა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივემ ჩააგდო თამაში და სწორედ მათი ბრალია, რომ „აძურა“ მხოლოდ ფრეს დასჯერდა. გუნდი იგებს და გუნდი აგებს - ეს მარტივი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ცენტრალურ მცველთა სუსტი თამაში და შესაბამისად, ბრალეულობა მაინც თვალში საცემი გახლდათ. განსაკუთრებით ეს მაინც ოგბონაზე ითქმის, რადგან რანოკიამ რამდენიმე ეპიზოდში გამოავლინა ოსტატობა.

პირველ ტაიმში აფრიკელები ხეირიანად ორჯერ გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე და ორი გოლი გაიტანეს - ორივე თავით და ორივე ცენტრალურ მცველთა შეცდომის გამო. **ჩინედუ დიკემ** ანდრეა რანოკიას მოუგო საჰაერო ორთაბრძოლა, **შოლა ამეობიმ** კი ანჯელო ოგბონას. მეორე ნახევარში ნიგერიელებმაც უხშირეს შეტევებს და სწორედ მცველთა დაბნეული ქმედებების გამო, ხშირად ქმნიდნენ ხიფათს **სალვატორე სირიგუს** კართან. ვერ გეტყვით, რა დასკვნები გამოიტანა ჩეზარე პრანდელიმ, მაგრამ იტალიელი ჟურნალისტები თანხმდებიან, რომ ამ ეტაპზე, **ანდრეა ბარცალის, ლეონარდო ბონუჩის** და **ჯორჯო კიელინის** ალტერნატივა უბრალოდ არ ჰყავთ.



მარიო ბალოტელიმ და ჯუზეპე როსიმ ერთმანეთს კარგად გაუგეს

## ვინ გამოირჩა?

ცენტრალურმა მცველებმა რომ ჩააგდეს თამაში, უკვე აღვნიშნეთ და დროა „აძურას“ სხვა ფეხბურთელებზეც ვთქვათ. კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ პირველ ტაიმში ტიაგო მოტამ ბრწყინვალედ შეასრულა ანდრეა პირლოს ფუნქცია და ის თამამად შეგვიძლია განვიხილოთ მაესტროს ალტერნატივად. მოტა კარგი იყო ჩაშლაშიც და შექმნაშიც, შეცდომა კი პრაქტიკულად არ დაუშვია. კარგად გაისარჯა რიკარდო მონტოლივოც, ჩვეულად არიგა პასები და არც მცველთა დახმარებას თაკილობდა, აი ანტონიო კანდრევას კი გაცილებით უკეთ შეუძლია თამაში... „ლაციალე“ სწორხაზოვნად ირჯებოდა, ხშირად კარგავდა ბურთს და დარჩა შთაბეჭდილება, რომ ვერაფრით მოერგო „ფულჰემის“ საშინაო არენის თავისებურ, კოლორიტულ გარემოს. კანდრევა ამოვარდნილი იყო საერთო ანსამბლიდან, თუმცა ის უდავოდ რჩება მნიშვნელოვან ფიგურად იტალიის ნაკრებისთვის. აი, ემანუელე ჯაკერინიმ კი ტრადიციულად ბევრი ირბინა, ბევრი იშრომა და ჯილდოდ გოლი დაიმსახურა. პრანდელი ენდობა ემანუელეს და ნიგერიასთან მატჩის შემდეგ, ეს ნდობა უთუოდ გაღრმავდებოდა. გამოვარჩიოთ **მარკო პაროლოც**, რომელმაც დებიუტი კარგი თამაშით აღნიშნა - გატანის ორი შანსი ჰქონდა, ართმევაზე კი შეუდარებელი იყო...

ჯუზეპე როსიმ და მარიო ბალოტელიმ კარგად გაუგეს ერთმანეთს და გამოჭედეს კიდეც პირველი გოლი - სუპერმარიომ იოლად ჩამოიცილა ერთი მეტოქე, მეკარეს პირისპირ შეჰყარა როსი და ამ უკანასკნელმაც ბურთი ბადეში გაახვია. ფორვარდები სხვა ეპიზოდებშიც გამოირჩნენ და მთლიანობაში, კარგი მატჩი ჩაატარეს. ერთი კია, ბალოტელი ბოლო ფაზაში ულმერთოდ სცოდავდა და თამაში უგოლოდ დაასრულა მაშინ, როდესაც პოკერის შესრულება მაინც შეეძლო. უნდა შევაქოთ **ალესანდრო დიამანტი**, რომელმაც რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყა მეტოქის კარის მიმართულებით და ერთხელ ხარიხაც შეაზანზარა. მოკლედ, ფეხბურთელთა უმეტესობამ თავი კარგად წარმოაჩინა.

ჩეზარე პრანდელი (იტალიის ნაკრების მწვრთნელი): *„მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი ვარ და ვთვლი, რომ ჩვენმა გუნდმა მაღალ დონეზე ითამაშა. რა თქმა უნდა, იყო შეცდომებიც, მაგრამ ამხანაგური მატჩები სწორედ ხარვეზების გამოსააშკარავებლად ტარდება. აღფრთოვანებული ვარ ჯუზეპე როსის და მარიო ბალოტელის ტანდემით - პირველად ითამაშეს ერთად და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ძველი თანაგუნდელები არიან. ვფიქრობ, მათ ერთად ბევრის მიღწევა შეუძლიათ“.*

**ლაშა წიკლაური**

# არგენტინას კუნმა მოაგებინა

**არგენტინა–ბოსნია 2:0**

**გოლები:** 1:0 აგუერო (40), 2:0 აგუერო (66)

**არგენტინა (5-1-2-2):** რომერო - საბალეტა, ოტამენდი, ფ. ფერნანდესი, ბასანტა, როხო - მასკერანო - მაქსი როდრიგესი (72. ბილია), დი მარია (86. ა. ფერნანდესი) - აგუერო (77. ლამელა), პალასიო

**ბოსნია (4-4-2):** ბეგოვიჩი - ვრშაიევიჩი (73. შუნიჩი), ბიჩაკჩიჩი, სპაჰიჩი, კოლაშინაცი - პიანიჩი, მისიმოვიჩი (69. ჰაიროვიჩი), მედუნიანინი, ვიშჩა - ჯეკო, იბიშევიჩი (69. კვრჟიჩი)

**გაფრთხილება:** აგუერო

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 10-9; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 19-10 (7-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**არგენტინის** და ბოსნიის ნაკრებთა მატჩი აშშ-ში, კერძოდ სენტ ლუისში გაიმართა და „ალბისელესტეს“ გამარჯვებით დასრულდა - 2:0. ორივე გოლი „მანჩესტერ სიტის“ ფორვარდმა **სერხიო აგუერომ** გაიტანა, თუმცა გოლებს შორის აგუერო გაძევებას გადაურჩა, როდესაც **სეად კოლაშინაცის** წინააღმდეგ იუხეშა, მაგრამ არბიტრმა დაინდო და მხოლოდ ყვითელი ბარათი უჩვენა.

სხვათა შორის, გერმანიაში დაბადებული კოლაშინაცი ბოსნიის ნაკრებში თავის პირველ შეხვედრას ატარებდა.

მატჩი ძალიან მხიარულად დაიწყო და პირველ 10 წუთში რამდენიმე მომენტიც შეიქმნა. ანგარიშის გახსნა **როდრიგო პალასიოს** და იმავე აგუეროს შეეძლოთ, საპირისპირო კართან კი **ვედად იბიშევიჩმა** იაქტიურა, მაგრამ „შტუტგარტის“ თავდამსხმელმა **სერხიო რომეროს** ვერ აჯობა. ამის შემდეგ, გოლის გატანა აგუეროს თანაგუნდელ **ედინ ჯეკოს** შეეძლო, მაგრამ 28 წლის ფორვარდმა ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ააცილა. მე-40 წუთზე კი **დი მარია-პალასიოს** კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმით დასრულდა, ბურთი **ბეგოვიჩმა** კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას აგუერომ აჯობა და არგენტინა დაწინაურდა - 1:0.

მეორე ტაიმში „კუნმა“ დუბლი შეასრულა, როდესაც **მაქსი როდრიგესის** საგოლე პასი გამოიყენა, ბოლო წუთებზე კი ხელიდან ჰეთთრიქის შესრულების შანსიც გაუშვა. ასევე, საგოლე მომენტები ჰქონდათ პალასიოს და ცვლილებაზე გამოსულ **ერიკ ლამელას**, ბოსნიელთაგან კი საუკეთესო შანსი ისევ და ისევ ჯეკოს შეექმნა.

ექსპერიმენტული შემადგენლობით მოთამაშე გუნდებს საკმაოდ კარგი სპარინგი გამოუვიდათ, აგუერომ კი ნაკრებში თავისი მე-20 და 21-ე გოლები გაიტანა, რისი წყალობითაც **გონსალო იგუაინს** გაუსწრო. ამჟამად, არგენტინის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებში „სიტის“ ფორვარდი, **ხოსე სანფილიპოსთან** და **ერმინიო მასანტონიოსთან** ერთად მერვე ადგილს იყოფს. ბარემ, აქვე, მათ წინ მყოფ ფეხბურთელებს ჩამოგითვლით: 1. **გაბრიელ ბატისტუტა** - 56 გოლი, 2. **ლიონელ მესი** - 37 გოლი, 3. **ერნან კრესპო** - 35 გოლი, 4. **დიეგო მარადონა** - 34 გოლი, 5. **ლუის არტიმე** - 24 გოლი, 6-7. **ლეოპოლდო ლუკე** და **დანიელ პასარელა** - 22 გოლი.

**ტატო ბაციკაძე**

# აგუერო: სითის შეუძლია

ვარსკვლავი

"მანჩესტერ სიტი" მიმდინარე სეზონში პრემიერლიგის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია, თუმცა მისი პრობლემა თვალში საცემია. "ეტიჰადზე" არნახულად ძლიერ თამაშს გუნდი გასვლაზე უუნარო ასპარეზობით აბათილებს. სტუმრად ჩატარებულ 6 შეხვედრაში **მანუელ პელეგრინის** შეგირდებმა 18 ქულიდან მხოლოდ 4 აიღეს, რის გამოც ცხრილში მერვე პოზიციამდე დაქვეითდნენ და ლიდერს 6 ქულით ჩამორჩნენ. მიუხედავად ამისა, **სერხიო აგუერო** ოპტიმისტურად არის განწყობილი და აცხადებს, რომ "სიტის" ჯერ კიდევ შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია უმაღლეს საფეხურზე.

- ჩემი აზრით, სრული უფლება გვაქვს, ჩემპიონობაზე პრეტენზია გვქონდეს, რადგან საშინაო შეხვედრებში ძალიან ძლიერად ვთამაშობთ. ისღა დაგვრჩენია, გასვლით თამაშებში გავაუმჯობესოთ შედეგი.

პირადად კარგი პერიოდი მაქვს. სეზონი კარგად დავიწყე და ამავე დონეზე ვაპირებ გაგრძელებას. ჩემს შედეგიან თამაშზე უფრო მნიშვნელოვანი გუნდის შედეგებია. მიხარია, რომ ალვარო ნეგრედო იოლად გაუშინაურდა გუნდს. ჩვენ ერთმანეთის კარგად გვესმის. იმედი მაქვს, თამაშს კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ. წელს მთელი გუნდი კარგად თამაშობს. ამის თქმა თამამად შეიძლება სამირ ნასრიზე და დავიდ სილვაზე. ისინი "სიტის" უმნიშვნელოვანესი ფიგურები არიან. სწორედ მათი წყალობით ვახერხებთ ბურთის კონტროლს, რაც თავდამსხმელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის საგზური უკვე მოვიპოვეთ. გვესმის, თუ რამდენად დიდი კონკურენციაა ამ ტურნირში. მომდევნო მეტოქისთვის მზადებას მას მერე შევუდგებით, რაც მის ვინაობას შევიტყობთ. ვნახოთ, რამდენად შორს მოვახერხებთ წასვლას.

პელეგრინი ხშირად ურთიერთობს ჩვენთან. გვისვამს შეკითხვებს, გვაძლევს რჩევებს. მასთან ურთიერთობა საკუთარი ძალების რწმენას გვმატებს. პირადად მე, ვცდილობ, რომ მწვრთნელს უზარმაზარი ნდობისთვის მადლობა კარგი თამაშით გადავუხადო.

**ლევან ბიბილაშვილი**



„სიტის“ პრობლემების მიუხედავად, სერხიო აგუერო ოპტიმიზმს ინარჩუნებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. ევროპა. პლეი ოფი

# ფრანგებს ეს შეუძლიათ

## დეშამის მეორე დიდი დაბრუნება



ფრანკ რიბერი მასპინძელთა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო

**საფრანგეთი–უკრაინა 3:0**

**გოლები:** 1:0 სახო (22), 2:0 ბენზემა (34), 3:0 გუსევი (ს. კ. 72)

**საფრანგეთი (4-2-3-1):** ლორისი - დებუში (78. სანია), სახო, ვარანი, ევრა - მატუიდი, კაბაი - ვალბუენა, რიბერი, პოგბა - ბენზემა (82. ჟირუ)

**უკრაინა (4-4-1-1):** პიატოვი - მანძიუკი, რაკიცკი, ხაჩერიდი, შევჩუკი - ბეზუსი (64. გუსევი) - როტანი, ედმარი, კონოპლიანკა, იარმოლენკო - ზოზულია (76. სელეზნიოვი)

**გაფრთხილება:** სახო, ევრა, დებუში - როტანი, ხაჩერიდი, მანძიუკი

გაძევება: - ხაჩერიდი (47)

**კარში დარტყმა:** 27-6 (8-2) **კუთხური:** 9-7 **თამაშგარე:** 5-0 **ჯარიმა:** 22-22 **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 81 300

საფრანგეთისა და უკრაინის შეხვედრას უფრო მეტი ინტრიგა უძღოდა წინ, ვიდრე უბრალოდ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას ახლავს ხოლმე. კიევური მატჩის მოულოდნელი, თუმცა ლოგიკური შედეგის შემდეგ, მასპინძლებმა **დიდიე დეშამის** გუნდის გალიზიანება სცადეს და აშკარაა, რომ გამოუვიდათ კიდეც. ზოგადად ფრანგული ფეხბურთი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე ორბურთიანი ჩამორჩენის ალმოფხვრა მათთვის პირველი შემთხვევა არ ყოფილა. უშუალოდ დეშამმა კი ეს უკვე მეორედ მოახერხა. 2003/04 წლების ჩემპიონთა ლიგაში მისმა „მონაკომ“ ფავორიტ „რეალს“ ანალოგიური უპირატესობა წაართვა. აი, უკრაინაზე კი რა უნდა ითქვას? ამ ქვეყანამ მეხუთედ ითამაშა დიდი ტურნირების პლეი ოფებში და მეხუთედ დამარცხდა.

ფრანგებს ძირითადში ხუთი ახალი ფეხბურთელი ჰყავდათ. მოტივირებულმა მასპინძლებმა ჩამორჩენა პირველივე ტაიმში გააბათილეს. პირთამდე სავსე ტრიბუნების მხარდაჭერით, უმსგავსო მინდვრის საფარზე მათ **მიხაილ ფომენკოს** გუნდი საკუთარ ნახევარზე გამოკეტეს. უკრაინამ პირველი კონტრშეტევა მხოლოდ მე-18 წუთზე მოაწყო, სახიფათო მომენტი კი მხოლოდ ტაიმის ბოლო წამებზე შექმნა. იქამდე თამაში **ვალბუენასა** და **რიბერის** მიჰყავდათ. შესანიშნავად თამაშობდა **პოგბაც**.

შეუძლებელია, გვერდი აუარო მთავარი არბიტრის შეცდომებს. **დამირ სკომინამ** 31-ე წუთზე ბენზემას 100%-იანი გოლი არ ჩაუთვალა, ზუსტად 3 წუთში კი „რეალის“ თავდამსხმელზე ასევე ნალდი თამაშგარე არ დააფიქსირა, რითაც უკანასკნელმა ისარგებლა და ტრიბუნები ექსტაზში მოიყვანა. შეცდომები მეორე ნახევარშიც უხვად იყო. მაგალითად, ალოგიკური იყო 7-8-წუთიან მონაკვეთში **კაბაის, ედმარისა** და **მანძიუკისა** დაუსჯელობა. უკანასკნელმა მერე დაუმსახურებელი გაფრთხილება მიილო. შეხვედრის გადამწყვეტი ეპიზოდი სლოვენიელმა იდეალურად განსაჯა: ჯერ იყო და 45-ე წუთზე ხაჩერიდის კუთხურისას სახოსთან შელაპარაკების გამო პირველი ყვითელი უჩვენა, მეორე ნახევრის დებიუტში კი რიბერის წინაალმდეგ უხეშობისთვის მეორედ გააფრთხილა და გასახდელის გზას დროზე ადრე გაუყენა.

მეორე ტაიმის წმინდა საფეხბურთო ბატალიებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა: უპირატესობას ისევ ფრანგები ფლობდნენ, მაგრამ დაცვას შედარებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ, რისი წყალობითაც **ლორისის** კართან ხიფათი თითქმის არ შექმნილა. ერთადერთი მომენტის გახსენება შეიძლება, როცა მატჩის გმირმა **სახომ** კინალამ საკუთარ კარში ჩაჭრა. პიატოვის სამფლობელოსთან კი ხიფათი პერმანენტულად იქმნებოდა. კარგი მომენტები გაანიავეს ბენზემამ და რიბერიმ, **დებუშიმ** და კაბაიმ შორიდან. **ჟირუს** კი სტუმართა კარის დარაჯმა არნახულ ნახტომში აულო თავური დარტყმა.

სულ ბოლოს კი დასკვნას შემოგთავაზებთ: მიუხედავად უკრაინის ნაკრების მიმართ სიმპათიისა, უნდა ვაღიაროთ, რომ საფრანგეთი წუხელ უკეთესი გუნდი იყო. „მამლებმა“ მეტოქის 10-თამაშიანი წაუგებელი და ასევე მშრალად ჩატარებული თამაშების სერია შეწყვიტეს, თანაც დამაჯერებელი ანგარიშით.

**ლევან ბიბილაშვილი**

# აქ მხოლოდ მე ვარ!

## იბრამ სცადა, მაგრამ...

**შვედეთი–პორტუგალია 2:3 (0:1)**

**გოლები:** 0:1 რონალდო (50), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (68), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (72), 2:2 რონალდო (77), 2:3 რონალდო (79)

**შვედეთი (4-4-2):** ისაკსონი - ლუსტიგი, ანტონსონი, ნილსონი, ოლსონი - კაჩანიკლიჩი (82. კაჩანიკლიჩი), ელმი (46. ა. სვენსონი), ს. ლარსონი (90. გერნდტი), კალსტრიომი - იბრაჰიმოვიჩი, ელმანდერი.

**პორტუგალია (4-3-3):** პატრისიო - პერეირა, ბ. ალვეში, პეპე, კოენტრაო (52. ანტუნეში) - მოუტინიო,ველოზო, მეირელეში (73. უილიამი) - ნანი, უგო ალმეიდა (82. რ. კოშტა), რონალდო.

**არბიტრი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

**გაფრთხილება:** ოლსონი, ნანი, ა. სვენსონი, კალსტრიომი, ანტონსონი

**კუთხური:** 5-4 **ჯარიმა:** 10-14 **თამაშგარე:** 0-2 **კარში დარტყმა:** 10-16 (5-6) **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 49766

**აბა როგორ მოგეწონათ? ეს მატჩი ვინც ვერ ნახა, სტატისტიკის გადახედვისას მაინც დიდ სიამოვნებას რომ მიიღებს, აი ასეთი შეხვედრა იყო. აკი ვივარაუდეთ, ბევრი გოლი იქნება და რალაც განსაკუთრებული უნდა მოხდეს „ფრენდს არენაზე“-თქო და აგერ, ბატონო...**





რონალდომ ჰეთთრიკი შეასრულა

შეხვედრა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ორ ნახევრად დაიყო. ტაიმები რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. პორტუგალია თავიდანვე დაეუფლა ტერიტორიულ უპირატესობას და ნელ-ნელა სათამაშოში გადაზარდა. გატანა ჯერ **ბრუნო ალვეშს** შეეძლო, მერე **კრიშტიანო რონალდოს**. პირველ ეპიზოდში **ანდრეას ისაკსონმა** ითამაშა დიდებულად, მეორისას კი „რეალის“ ფორვარდმა გადააცილა სულ ცოტა. მომენტი ჰქონდა **ელდერ პოშტიგას** ნაცვლად ძირითადში დაყენებულ **უგო ალმეიდასაც**. **პაოლო ბენტოს** შეგირდებმა რამდენჯერმე შორიდანაც დაარტყეს და მოკლედ, ისე იქცეოდნენ, როგორც საკუთარ სახლში.

აშკარად ჩანდა, რომ დღეს პორტუგალია უკეთესი გუნდია, როგორც ფიზიკურად, ასევე მენტალურად და ტექნიკურად. პორტუგალია უფრო მზად იყო მუნდიალისთვის და აქ მეორე პლანზე გადადიოდა იბრაჰიმოვიჩი VS რონალდო, რადგან გამოჩნდა რომ სტუმრები გუნდად ჯობდნენ მასპინძლებს და ეს მთავარი გახლდათ.

მეორე ტაიმი იმავე სცენარით გაგრძელდა და 50-ე წუთზე ლოგიკურ შედეგამდე მივედით - **ჟოაო მოუტინიომ** მშვენიერი პასი გაუჭრა რონალდოს, სკანდინავიელთა დაცვა ჩავარდა, კრიშტიანომ კი გროსმაისტერულად იმოქმედა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ცოტა ხანში... პორტუგალიამ საქმე მომთავრებულად ჩათვალა და სულ ოდნავ მოეშვა. სწორედ ამ დროს მოვიდა ხასიათზე ზლატანი, რომელსაც ამ ორმატჩიანი დუელისას საათ-ნახევარზე მეტი ფეხბურთი არ ჰქონდა ნათამაშები და ასეთი ადვილი გამოსარჩევი რომ არ იყოს სხვებისგან, იმის შემჩნევაც კი გაგვიჭირდებოდა, იყო თუ არა ამ პერიოდში მინდორზე. ერთ-ორ პატარა გამონათებას თუ არ ჩავუთვლით.

შვედების მთავარმა იმედმა მართლაც იბრაკადაბრა გააკეთა და 4 წუთში ყველაფერი თავდაყირა დააყენა - ამიტომაც არის ზლატანი დიდი ფეხბურთელი.

იბრამ ჯერ **კიმ კალსტრიომის** კუთხურიდან ჩაწოდებული გადაგზავნა მეტოქის კარში, თანაც დამდგარმა, ისე, რომ ბრუნო ალვეში ყველანაირი ილეთით ცდილობდა მის შეჩერებას, მაგრამ ძვრა ვერ უყო. მერე კი საჯარიმოს ხაზთან დანიშნული ჯარიმა ისე ყუმბარისებულად დაარტყა, რომ კარის ბადეს ლამის ის დამართა, რითიც **შტეფან კისლინგს** უყვარს ხოლმე სარგებლობა.

შვედეთი თამაშში დაბრუნდა! იბრაჰიმოვიჩი დიდად არ იმჩნევდა, მოკრძალებულად აღნიშნა და **ერიკ ჰამრენის** ბიჭებიც დაფაცურდნენ... თუმცა სწორედ ამ დროს სცენაზე დაგვიბრუნდა „ისიც“. სულ 5 წუთი უცემდათ გული არანორმალური სიჩქარით შვედებს, სულ 5 წუთი იყვნენ ერთ ნაბიჯში ბრაზილიასთან. კრიშტიანო რონალდომ უგო ალმეიდასგან მიილო ბურთი, ცოტა შეიყოლა, კარგად დაამუშავა და... 2:2. კრიშტიანო რის კრიშტიანოა მომენტი თუ არ დაიჭირა - პორტუგალიელი შემოტრიალდა და როგორც კამერის, ასევე მისკენ გაქცეული თანაგუნდელების დასანახგასაგონად გამოთქმით, გამოკვეთილად და ცხადია, ჟესტიკულაციითურთ წარმოსთქვა: *„აქ, მხოლოდ მე ვარ!“*.

ისეთი სცენა იყო, ეს ორი ლერი პორტუგალიური რომ არ გცოდნოდა კაცს, იქვე, იმ მომენტში ისწავლიდი.

აქედან 2 წუთში რონალდომ ყოველგვარი ეჭვი და ილუზია გაფანტა და თავისი ბენეფისი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადა. მეპასედ კვლავაც მოუტინიო მოგვევლინა. მასპინძელთა მცველებს კი რალაც სჭირდათ. სამივე გოლისას მათ რონალდოს იმხელა სივრცე დაუტოვეს და ისე შეცდნენ, რომ არ ეპატიებათ და არც ეპატიათ.

ამის შემდეგ, შვედები ბოლომდე დაიშალნენ და იმავე რონალდოს სულ ცოტა კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ისიც ისეთი დაცლილი იყო ემოციებისგან, რომ მეტი ველარ შეძლო.

სკანდინავიელებს მარტო ზლატანის 15-წუთიანი ათამაშება, კიმ კალსტრიომის ფაფხური და ისაკსონის „სეივები“ კი არ ეყოთ.

იმდენი ვიძახეთ იბრაჰმოვიჩი და რონალდო, რომ ორმატჩიან დუელში გასული ექვსივე გოლი, ამ ორ დიდ მოთამაშეზე მოდის - მეტი რა ექნათ? დანარჩენი მუნდიალზე. სამწუხაროდ, იბრას გარეშე. სამაგიეროდ, რონალდოთი.

უკეთესმა გუნდმა მოიგო.

აბა ბრაზილიაში პორტუგალიის გარეშე მსოფლიოს ჩემპიონატი გაგონილა?

*P.S: რონალდოს სახელით პორტუგალიელმა ფანებმა ტრიბუნებიდან მოკითხვა შეუთვალეს* ***ზეპ ბლატერს****. მათ ტრანსპარანტი ეჭირათ წარწერით - comandante ronaldo.*

**გიორგი კაკაბაძე**

# ისლანდიის მაქსიმუმი ეს იყო

## ხორვატია კაცნაკლულიც ძლიერია

**ხორვატია–ისლანდია 2:0 (0:0)**

**გოლები:** 1:0 მანჯუკიჩი (27), 2:0 სრნა (47).

**ხორვატია (4-2-3-1):** პლეტიკოშა - სრნა, შიმუნიჩი, ჩორლუკა, პრანიჩი - მოდრიჩი (90. ლოვრენი), რაკიტიჩი - პერიშიჩი, კოვაჩიჩი (75. რებიჩი), ოლიჩი (81. იელავიჩი) - მანჯუკიჩი.

**ისლანდია (4-4-2):** ჰალდორსონი - სევარსონი, არნასონი, სიგურდსონი, ა. სკულასონი - გუდმუნდსონი, გუნარსონი (73. ალფრედსონი), სიგურდსონი, ბიარნასონი - ფინბოგასონი, გუონსენი (65. გისლასონი).

**გაფრთხილება:** შიმუნიჩი, ოლიჩი - სიგურდსონი, ალფრედსონი.

**გაძევება:** მანჯუკიჩი (38. ხორვატია).

**კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 15-7(10-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 40 000

**სენსაცია არ შედგა - ხორვატიის ნაკრებმა ორი უპასუხო გოლი გაუტანა ისლანდიას და მუნდიალის საგზური მოიპოვა. სკანდინავიელთა მაქსიმუმი სწორედ პლეი ოფში გასვლა იყო, ბრაზილიაში კი გაცილებით ძლიერი, ხორვატიის ეროვნული ნაკრები მიემგზავრება...**

### სრული დომინირება

თუ პირველ შეხვედრაში ხორვატიის ნაკრებმა 4-4-2 ტაქტიკით ითამაშა, საკუთარ კედლებში უფრო შემტევ სქემაზე გადაეწყო. **ნიკო კოვაჩმა** 4-2-3-1 აირჩია და ძირითად შემადგენლობაში ოთხი გამოკვეთილი შემტევი დააყენა. თუმცა, რატომ ოთხი - საყრდენად გამწესებული **ლუკა მოდრიჩიც** შემტევთა რიცხვს შეგვიძლია მჴვაკუთვნოთ. მოკლედ, ბალკანელები დიდი ძალებით ეკვეთნენ მეტოქის კარს და ტაიმის შუა წელს გახსნეს კიდეც ანგარიში - თავი **მარიო მანჯუკიჩმა** გამოიჩინა, 1:0. ამ ეპიზოდიდან დაახლოებით 10 წუთი იყო გასული, როდესაც მიუნხენის „ბაიერნის” ფორვარდმა წითელი ბარათი მიილო და თითქოს, ხორვატთა მუნდიალზე გამგზავრებას სერიოზული საფრთხე შეუქმნა... დიახ, თითქოს, რადგან დარჩენილმა დრომ სრულიად სხვა სურათი გვიჩვენა - მასპინძლებმა მშვიდად და აუღელვებლად გააგრძელეს თამაში, 47-ე წუთზე კი მეორე გოლიც გაიტანეს. აი აქ კი სტუმართა იმედებს ბოლო მოეღო, ხორვატია ორბურთიანი ფორის გამნიავებელი უბრალოდ არ იყო.



პლეტიკოშა, მოდრიჩი და ლოვრენი ზეიმობენ

საგულისხმოა, რომ ხორვატები მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში უტევდნენ სტუმრებს და ერთი წუთითაც არ უფიქრიათ, აქცენტის საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გადატანა. ბალკანელები მოქმედებდნენ პრინციპით: „საუკეთესო დაცვა შეტევაა“ და ამან გაამართლა კიდეც. აღვნიშნოთ ისიც, რომ მთლიანობაში, მატჩი მეტად უხეში გამოდგა - ფეხბურთელები ხისტად მოქმედებდნენ და რამდენჯერმე, გაწევ-გამოწევასაც ჰქონდა ადგილი; განსაკუთრებით მატჩის დასკვნით ნაწილში ჩამოცხა, როდესაც ისლანდიელებს ნერვებმა უმტყუნეს და განზრახ უხეშობაზე გადავიდნენ. მოკლედ, ამ მხრივ, ხორვატებმა მძიმე მატჩი გადაიტანეს, თუმცა ჩიტი ბრდღვნად ღირდა.

განვლილმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ხორვატებს პროგრესირებადი გუნდი ჰყავთ, რომელსაც ნამდვილად შეუძლია მუნდიალზე შორს წასვლა. ნიკო კოვაჩს ყველა რგოლში ჰყავს მაღალი დონის ფეხბურთელები და კონკურენციაც ისეთია, თქვენი მოწონებული. მატჩის შემდეგ, მწვრთნელმა შეგირდებს გადაუხადა მადლობა და დასძინა, რომ მისი გუნდი ბრაზილიაში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმპათიური გუნდი ჰყავს ისლანდიასაც და ამ გუნდს მომატებაც შეუძლია. ეს არ უნდა იყოს ესტონეთის შემთხვევა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გამოირჩა, პლეი ოფში გავიდა, მაგრამ უკვე მომდევნო ციკლში კვლავ პერიფერიას დაუბრუნდა.

ისლანდია იქით იყოს და ხორვატებისგან მუნდიალზე ბევრს უნდა ველოდოთ - ამ გუნდს ჰყავს **კოვაჩიჩი**, ამ გუნდს ჰყავს მოდრიჩი, ამ გუნდს ჰყავს მანჯუკიჩი, ამ გუნდს ჰყავს **ოლიჩი**, თუნდაც მობერებული...

**ლაშა ნიკლაური**

# გოროსიდისის სუპერგოლი... საკუთარ კარში

**რუმინეთი-საბერძნეთი 1:1 (1:3)**

**გოლები:** 0:1 მიტროღლუ (23), 1:1 ტოროსიდისი (55-საკ. კარში)

**რუმინეთი (4-1-4-1):** ტატარუშანუ - მატელი, გოიანი, კირიკეში, რაცი (26. ლატოვლევიჩი) - პობანი - ტორიე (56. მ. ნიკულაე), სტანჩუ (86. გროზავი), ტანასე, მაქსიმი - მარიკა

**საბერძნეთი (4-3-3):** კარნეზისი - ტოროსიდისი (72. ვინტრა), პაპასტატოპულოსი, სიოვასი (80. მანოლასი), ჰოლებასი - მანიატისი, კარაგუნისი (73. სამარისი), ციოლისი - სალპინგიდისი, მიტროღლუ, სამარასი

**გაფრთხილება:** - მიტროღლუ, ჰოლებასი, ციოლისი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 9-4 (4-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%

მაყურებელი: 52 000

**პირველი მატჩის შემდეგ ფავორიტად ქცეულმა საბერძნეთის ნაკრებმა სტატუსი გაამართლა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. სტუმრებს ორბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ და პრაქტიკულად არც უნერვიულიათ.**

რუმინელთა დამრიგებელმა **ვიქტორ პიცურკამ** წინა შეხვედრასთან შედარებით რამდენიმე ცვლილება განახორციელა. კარში **ბოგდან ლობონტის** ადგილი **ჩიპრიან ტატარუშანუმ** დაიკავა, დაცვის ცენტრში კი **გარდოშის** ნაცვლად **ვლად კირიკეში** დაბრუნდა. ცვლილებები შეეხო ნახევარდაცვასაც, სადაც **ბურჩეანუ** და **კოჩიში პობანმა** და **მაქსიმმა** შეცვალეს. **ფერნანდო სანტუშმა** კი მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეცვალა: 36 წლის **კარაგუნისმა** ტრავმირებული **კაცურანისის** (34 წლის) ადგილი დაიკავა.

ანგარიში 23-ე წუთზე გაიხსნა და გოლი, რა თქმა უნდა, **კოსტას მიტროღლუმ** გაიტანა, ვინც რამდენიმე დღის წინ ბოგდან ლობონტი ორჯერ დაამწუხრა. ამჯერად, „ოლიმპიაკოსის" ფორვარდის მსხვერპლი ტატარუშანუ გახდა - **ვასილის ტოროსიდისის** პასის შემდეგ, მიტროღლუ გოლკიპერთან პირისპირ დარჩა და საბერძნეთი წინ გაიყვანა.

მასპინძლებმა მეორე ტაიმი კარგად დაიწყეს და ანგარიშიც გაათანაბრეს, თუმცა გოლი არა რომელიმე რუმინელმა ფეხბურთელმა, არამედ ტოროსიდისმა გაიტანა. **ტანასეს** არაზუსტი პასის შემდეგ, ბურთი ბერძენთა საჯარიმოში აღმოჩნდა, მაგრამ მის სიახლოვეს ერთი რუმინელი ფეხბურთელიც არ იმყოფებოდა, ამ დროს კი ტოროსიდისმა, რატომღაც, გადაწყვიტა, რომ **კარნეზისის** მზადყოფნა შეემოწმებინა და მთელი ძალით საკუთარი კარის „ცხრიანისკენ" დაარტყა, მეკარემ რეაგირება კი მოასწრო, მაგრამ დარტყმა აუღებელი იყო და ანგარიშიც გათანაბრდა - 1:1.

დარჩენილ წუთებში მასპინძლებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ბერძნების კარში რომ გოლის გატანა ძალიან რთულია, ამას სტატისტიკაც მოწმობს: ელინებმა ბოლო 8 შეხვედრაში მხოლოდ ორი გოლი გაუშვეს (ორივე რუმინელებთან), თანაც ერთხელ საკუთარ კარში გაიტანეს.

საბოლოოდ, წყვილში უფრო ძლიერმა ნაკრებმა იმარჯვა და მუნდიალის საგზური ისტორიაში მესამედ მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე საბერძნეთმა პირველად 1994 წელს ითამაშა, მეორედ კი 2010-ში და ორივეჯერ ჯგუფში არგენტინასთან და ნიგერიასთან მოხვდა.

**ტატო ბაციკაძე**



ბერძნები მუნდიალზე მესამედ ითამაშებენ

## ამხანაგური მატჩები

# ფურია როხა დაიფრინეს

## ინგლისი, ეს უკვე შაყირია



ანდრეს ინიესტას და კომპანიას აფრიკელებმა აჯობეს

**ინგლისი-გერმანია 0:1**

**გოლი:** 0:1 მერტეზაკერი (39)

**ინგლისი (4-2-3-1):** ჰარტი - უოლკერი, იაგიელკა, სმოლინგი, ე. კოული (53. გიბსი) - ჯერარდი (56. ჰენდერსონი), კლევერლი (64. უილშირი) - ტაუნსენდი, რუნი (71. ბარკლი), ლალანა (76. ლამბერტი) - სტარიჯი

**გერმანია (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - ვესტერმანი (67. დრაქსლერი), მერტეზაკერი, ჟ. ბოატენგი (46. ჰუმელსი (65. ჰიოვედესი)), შმელცერი (46. იანსენი) - ს. ბენდერი, ლ. ბენდერი - გიოტცე, კროოსი, როისი (82. შიურლე) - კრუზე

გუშინ რამდენიმე ამხანაგური მატჩი გაიმართა, რომელთა შორის განსაკუთრებით დიდ ინტერესს ინგლისი-გერმანიის დაპირისპირება იწვევდა, თუმცა სხვა მატჩებზეც უნდა ვთქვათ: ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი აბსოლუტურად მოუმზადებელი ჩავიდა სამხრეთ აფრიკასთან და 0:1 დამარცხდა. მეტი უნდა ყოფილიყო! მასპინძლებმა მეკარეებთან (ჯერ **კასილიასთან,** მერე **ვალდესთან** და ბოლოს **რეინასთან**) პირისპირ გასვლები ვერ გამოიყენეს და **ბერნარდ პარკერის** ერთ გოლს დასჯერდნენ.

აღსანიშნავია, რომ სლოვაკეთის ნაკრებმა თითქმის დებიუტანტ გიბრალტარს ვერ მოუგო - 0:0, ხოლო ჰოლანდიამ ვერ დაამარცხა კოლუმბიის ნაკრები.

რაც შეეხება ლონდონურ მატჩს, ის **იოახიმ ლიოვის** გუნდის გამარჯვებით დასრულდა - ერთადერთი გოლის ავტორი კი ლონდონში მოთამაშე მცველი **პერ მერტეზაკერია.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**19 ნოემბერი**

**ავსტრალია-კოსტა რიკა 1:0**
გოლი: 1:0 ტ. კეჰილი (69)

**ყირგიზეთი-აზერბაიჯანი 0:0**

**რუსეთი-ს. კორეა 2:1**
გოლები: 0:1 კიმი (6), 1:1 სმოლოვი (12), 2:1 ტარასოვი (59)

**სლოვენია-კანადა 1:0**
გოლი: 1:0 ბირსა (53)

**ლიხტენშტაინი-ესტონეთი 0:3**
გოლები: 0:1 ზენიოვი (45), 0:2 ანიერი (61), 0:3 ანიერი (64)

**მალტა-ფარერები 3:2**
გოლები: 1:0 ფენეჩი (17), 2:0 მიფსუდი (20), 3:0 კარუანა (41), 3:1 ჰანსონი (79), 3:2 ბალდვინსონი (87)

**ნორვეგია-შოტლანდია 0:1**
გოლი: 0:1 ბრაუნი (61)

**თურქეთი-ბელარუსი 2:1**
გოლები: 1:0 უ. ბულუთი (5), 1:1 როდიონოვი (10), 2:1 ბ. ილმაზი (89)

**სლოვაკეთი-გიბრალტარი 0:0**

**ს. აფრიკა-ესპანეთი 1:0**
გოლი: 1:0 პარკერი (56)

**ჰოლანდია-კოლუმბია 0:0**
გაძევება: ლენსი (35. ჰოლანდია)

**ავსტრია-აშშ 1:0**
გოლი: 1:0 იანკო (33)

**პოლონეთი-ირლანდია 0:0**

**ბელგია-იაპონია 2:3**
გოლები: 1:0 მირალიაში (15), 1:1 კაკიტანი (37), 1:2 ჰონდა (53), 1:3 ოკაზაკი (63), 2:3 ალდერვეირელდი (79)

## აფრიკა. პლეი ოფი



ეგვიპტე-განა

# ეგვიპტე შავი ისრებით განიგმირა

## განა და ალჟირი მუნდიალზე არიან

**ეგვიპტე-განა 2:1 (1:6)**

გოლები: ზაკი (25), 2:0 გედო (85), 2:1 კ. ბოატენგი (89)

**ალჟირი-ბურკინა ფასო 1:0 (2:3)**

გოლი: 1:0 ბულერა (49)

**აფრიკიდან მუნდიალის მონაწილეთა სია შეივსო, ბოლო ორი საგზური განის და ალჟირის ნაკრებებმა მოიპოვეს...**

უცნაური ნაკრებია ეგვიპტე - აფრიკის თასზე თითქმის ყოველთვის ღირსეულად გამოდის, მაგრამ როგორც კი მსოფლიოს ჩემპიონატს ახსენებ... თითქოს ფარაონებისა და პირამიდების ძალა ეგვიპტელებს მხოლოდ თავიანთ კონტინენტზე ჰყოფნით და მუნდიალისკენ არც კი იყურებიან. ეგვიპტეს ყველაზე მეტჯერ (7) აქვს მოგებული აფრიკის თასი, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე სულ ორჯერაა ნამყოფი - 1934 და 1990 წლებში.

ამჯერად, ეგვიპტელებს **ბობ ბრედლის** იმედი ჰქონდათ, ამერიკელი სპეციალისტის, რომელმაც წინა მუნდიალზე ეროვნული ნაკრები ჩაიყვანა აფრიკაში. თუმცა უცხოელი მწვრთნელის მოწვევამ ვერ გაამართლა... ამ დაპირისპირების ბედი პირველსავე შეხვედრაში გადაწყდა, როდესაც ჯეიმს კვასი აპიას „შავმა ისრებმა" 15 ოქტომბერს „ბაბა იარა სტედიუმზე" 6:1 მოიგეს.

კაიროში მასპინძლებმა ერთადერთი იმით მოიფხანეს გული, რომ მოკრძალებულად მოიგეს და ბოლომდე არ შერცხვენენ. თუმცა საერთო ანგარიში - 3:7 - ძალიან ცუდად კი ხვდება თვალს.

როგორც ჩანს, ეგვიპტეს რაღაც მაგიური კავშირი აქვს „ჰალ სიტისთან", რადგან პირველი გოლი „ვეფხვების" ყოფილმა შემტევმა, თქვენთვის კარგად ნაცნობმა **ამრ ზაკიმ** გაიტანა, ხოლო მეორე დაშავებული **კაჰრაბას** ნაცვლად მინდორზე გამოსულმა **მოჰამედ ნაგი აფაშმა** ანუ უბრალოდ **გედომ,** რომელიც ამჟამადაა „ჰალის" ფეხბურთელი. გედომ ანგარიში 2:0 გახადა, მაგრამ არანაირი ილუზია რაიმე შანსზე და 5:0-ზე არავის ჰქონია, ეს მხოლოდ 85-ე წუთზე მოხდა. თანაც 89-ეზე შეცვლაზე 10 წუთის გამოსულმა **კევინ-პრინს ბოატენგმა** უგოლოდ ვერ მოისვენა, **ასამოა გიანის** პასი შეირგო და საბოლოო ანგარიში - 2:1 დააფიქსირა.

აი ასე, ცალი ფეხით მოიპოვა განამ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური და სავსებით დამსახურებულად, რადგან მეტოქეს აშკარად ჯობდა და ფინალურ ეტაპზეც ხელწამოსაკრავი არავისთვის იქნება. ალბათ გახსოვთ განელთა კარგი თამაში და დრამატული მარცხი ურუგვაისთან სკანდალურ შეხვედრაში - აფრიკელებს ძალიან არ გაუმართლათ თორემ განა კონტინენტის პირველი წარმომადგენელი გახდებოდა, რომელიც ნახევარფინალს უწევდა. მაშინ, „შავ ისრებს" გარდა თავიანთი არაზუსტი გასროლებისა **ლუის სუარესის** „ღმერთის ხელის" ცრუ და მოდერნიზებულმა ვარიანტმა გადაუღობათ გზა.

ასე რომ, კოტდ'ივუარისა არ იყოს, განა ზედიზედ მესამედ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. 2006 წლამდე ვერც ერთი ეს ნაკრები ვერ ახერხებდა მუნდიალზე მოხვედრას.

ყველაზე უიღბლო კაცი კი მთელ ამ ისტორიაში ვინ არის, იცით? საწყალი ბობ ბრედლი, რომლის სიმპათიური ამერიკა ჯერ სამხრეთ აფრიკაში დამარცხდა განასთან მძიმე ბრძოლაში, ახლა კი ამერიკელი განელებმა აქაც არ გაახარეს. თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბრედლის თუ აქამდე არც ერთი ქვეყანა არ სძულდა, ამიერიდან შესძულდება.

■ ■ ■

მოგვიანებით ალჟირის ნაკრებმა 1:0 მოუგო ბურკინა ფასოს და მუნდიალის საგზური სტუმრად გატანილი გოლების წყალობით მოიპოვა. გამარჯვების გოლის ავტორი **მაჯიდ ბუღერაა.**

**გიორგი პაპაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# მედალოსნებს სამინისტროში უმასპინძლეს



ანაპაში ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის პირველობაზე ქართველმა სპორტსმენებმა თითო ოქრო-ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვეს, რამაც ჩვენს ნაკრებს გუნდური მესამე ადგილი მოუტანა. განსაკუთრებით, როგორც გაუწყეთ, 66 კილოში **გიორგი ხარაბაძემ** (მწვრთნელი **ანატოლი ცქიფურიშვილი**) ისახელა თავი - ყველა მეტოქეს დამაჯერებლად სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ხარაბაძისთვის ანაპაში გამართული ტურნირი წლეულს მესამე საერთაშორისო შეჯიბრება იყო: გაზაფხულზე კიევში მეოთხედფინალური შეხვედრა დათმო უზბეკ მოკრივესთან, მერე ბაქოში ალიევის ტურნირზე ყველას აჯობა.

ბაქოში მესამე ადგილი დაიკავა **რატი ტლაშაძემ** (75 კგ) - ნახევარფინალი უკრაინელ ანდრეი პანკოვთან წააგო. ქართველმა მოკრივემ მასთან რევანში ანაპის პირველობის ნახევარფინალში აიღო, თუმცა ფინალში არ უასპარეზია, რადგან გადამწყვეტი პაექრობისთვის რინგზე გასვლის უფლება ხელის ტრავმის გამო ექიმებმა არ დართეს, ჩვენებურიც ვერცხლს დასჯერდა. ოქროს ჯილდო უბრძოლველად ფრანგ ლუი ტოტის ერგო. საგულისხმოა, რომ მსგავს პირველობაზე ტლაშაძემ შარშანაც მოსინჯა ძალები და მაშინ მესამე ადგილზე გავიდა.

ფოთელმა **გიორგი ჩარგაზიამ** (46 კგ) შარშან მოსწავლეთა ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, წლეულს ბაქოს და კიევის ტურნირზეც იასპარეზა, ანაპაში კი ნახევარფინალში აზერბაიჯანელ რუფათ ჰუსეინოვთან დამარცხდა და მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. ფოთელი მოკრივე დღეიდან ჭაბუკთა საქართველოს პირველობაში ჩაებმება, რომელსაც ახალქალაქი უმასპინძლებს.

საქართველოს დელეგაციას (ხელმძღვანელი - საქართველოს კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **დავით ონიანი**, ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კუკური შავგულიძე**, მწვრთნელები - **თემურ ლორთქიფანიძე** და **გოჩა რუსია**) მეოთხე ჯილდო 52 კილოში **უჩა მაისურაძემ** მოუტანა. იგი მსგავსი შეჯიბრებების დებიუტანტი გახლდათ და სასიამოვნოა, რომ უცხოეთში პირველი გასვლა მედლით დააჭაშნიკა.

ანაპიდან დაბრუნებულ მედალოსნებს, მათს მწვრთნელებსა და კრივის ფედერაციის მესვეურებს გუშინ სპორტის სამინისტროში შეხვედრა მოუწყვეს. ევროპის ჩემპიონსა და პრიზიორებს მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე** და სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე** მიესალმნენ.

**თამაზ თევზაძე:** კრივი საქართველოში ყოველთვის იყო ერთ-ერთი წარმატებული სპორტის სახეობა. სასიამოვნოა, რომ ტყავის ხელთათმანის ოსტატები ტრადიციას ღირსეულად განაგრძობენ. ორმაგად სასიხარულოა, რომ გამარჯვებებს ახალგაზრდები აღწევენ - ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ სპორტს წარმატებული მომავალი აქვს.

**ვლადიმერ ახალკაცი**, კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, AIBA-ს დელეგატი, ანაპის ევროპის პირველობის ჟიურის თავმჯდომარე: შეჯიბრებაში 28 ქვეყნის 187 მოკრივე მონაწილეობდა. ამგვარ კონკურენციაში მოპოვებული 4 მედალი და გუნდური მესამე ადგილი ქართული კრივის დიდი გამარჯვებაა. ანაპაში ევროპის პირველობაზე შარშანწინაც ვიყავით. ადგილობრივი გულშემატკივრების ჩვენდამი დამოკიდებულება ამჯერად რადიკალურად განსხვავებული იყო. მაყურებლები ქართველი ბიჭების თითოეულ გამარჯვებას ოვაციებით ხვდებოდნენ. ერთი ეპიზოდიც მინდა გავიხსენო: ვლადიკავკაზის საბაჟოს ერთი ცხინვალელი თანამშრომელი ქართულად გამოგველაპარაკა, მედალოსნებს გადაეხვია და თვალცრემლიანმა მიულოცა წარმატება.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ევროპის პირველობაზე საუკეთესო რეფერად ფოთელი ზურაბ ტიბუა აღიარეს. ჩვენი ბიჭების მიერ მოპოვებული მედლები იმის დასტურია, რომ ქართული კრივი სწორი გზით მიდის - მთავარი აქცენტის ჭაბუკებსა და ახალგაზრდებზე გადატანამ გაამართლა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის სპორტის სამინისტროს, რომელმაც არა მარტო ანაპაში გასამგზავრებელი, არამედ ნაკრების ორი საწვრთნელი შეკრების სახსრებიც გამოგვიყო. თუ ამგვარი თანადგომა იქნება, მომავალში უკეთეს შედეგებს მივაღწევთ.

**დავით კვაჭაძე**, საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი: აღარც მახსოვს, ქართველ მოკრივეებს ამგვარი წარმატება ბოლოს როდის გვქონდა. ორმაგად დასაფასებელია ეს გამარჯვება, რადგან უამრავი პრობლემა გვაწუხებს, განსაკუთრებით ეს ინფრასტრუქტურას შეეხება. ალბათ, გახსოვთ, თბილისში ორი სპეციალიზებული სკოლა რომ გავხსენი, მაგრამ წინა მთავრობამ ორივე დახურა, დარბაზები გაყიდა. ფასიანმა ჯგუფებმაც საგრძნობლად შეამცირა, საერთოდ, სპორტში მომეცადინეთა რიცხვი. დარწმუნებული ვარ, პრობლემები მალე მოგვარდება და ჩვენი წარმატებებიც იმრავლებს. მართალია, მთავარი შეჯიბრებები მოვილიეთ, მაგრამ მომავალი სეზონისთვის მზადებას დღეიდანვე ვიწყებთ. ახალქალაქში ჭაბუკი მოკრივეები საქართველოს პირველობაში ჩაებმებიან, დეკემბერში კი ჩვენი ახალგაზრდები აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ ძალებს. იქ, ალბათ, მეორე-მესამე ნომრებს გავგზავნით, რომ საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის საშუალება ყველას მივცეთ და ნაკრებში მოსახვედრად ჯანსაღი კონკურენცია შევინარჩუნოთ.

**ვაჟა დანელია**
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

სოჭი-2014

# მაია ფანჯიკიძემ პარლამენტში სოჭის ოლიმპიადაზე ისაუბრა

სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობა გადაწყვეტილი საკითხია, თუმცა ის შესაძლოა გადაიხედოს. „ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი მოვლენები საქართველოსთვის შეურაცხმყოფლად განვითარდება, ან თუ მოხდება ისეთი რამ, რაც ჩვენთვის მიუღებელია. ეს არ არის გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიძლება, რომ გადაიხედოს", განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა **მაია ფანჯიკიძემ** საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე.

რაც შეეხება ოლიმპიადაზე საქართველოდან სახელისუფლებო დელეგაციის ჩასვლის საკითხს, ფანჯიკიძის თქმით, აღნიშნული თემა გუნდში განხილვის საგანი ჯერ არ ყოფილა.

**ინტერპრესნიუსი**

ინფრასტრუქტურა



# განახლდა...

**დიღუბეში, წერეთლის გამზირზე მძლეოსნობის სასახლის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია დასრულდა**

მძლეოსნობის განახლებული სპორტული კომპლექსი 18 ნოემბერს, თბილისის მერმა - **გიგი უგულავამ**, 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ და მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა - **ალექსი ახვლედიანმა**, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა - **ლერი ხაბელოვმა** და მათთან ერთად საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჰანს იორგ ვირცმა**, ასევე ბულგარეთის, ესტონეთის, ბელორუსის, ლატვიის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტებმა გახსნეს და დაათვალიერეს.

თბილისის მერიის ოფიციალური ვებსაიტის ინფორმაციით, სამუშაოების ფარგლებში, შენობა სრულად განახლდა, გარემონტდა და საჭირო ინვენტარით აღიჭურვა სატრენაჟორო, ტანვარჯიშისა და მოსათელი დარბაზები, კეთილმოეწყო ტრიბუნა, განახლდა საშხაპე და გასახდელი ოთახები, გამოიცვალა კარფანჯარა და შენობის სახურავი, ელექტრო და საკანალიზაციო სისტემები, დამონტაჟდა თანამედროვე ვენტილაცია და განათება, დაიგო ევროსტანდარტების შესაბამისი სარბენი ბილიკი, მოეწყო სამედიცინო პუნქტი, ბიბლიოთეკა და სასადილო. შენობაში გარემონტდა ასევე საოფისე ფართები და 120 სპორტსმენზე გათვლილი სასტუმრო. მოპირკეთდა შენობის ფასადი, კეთილმოეწყო და გამწვანდა მიმდებარე ტერიტორია.

დიღუბის მძლეოსნობის მანეჟის რეაბილიტაცია 2015 წლის თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ინფრასტრუქტურული მზადების ფარგლებში განხორციელდა.

**სპორტის სამინისტროს პრესსამსახური**

ხელბურთი

# ლიდერთა მორიგი ქულები

**სენაკი. 2013 წლის 19 ნოემბერი**

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. დასავლეთი ქვეჯგუფი. II ტური

**ბათუმი-ქუთაისი 46:28**

**ბათუმი:** სამყურაშვილი, ჯორბენაძე (11), გამზარდია (7), ქარდავა (7). ხუნჯუა (5), უ. მაისურაძე (4), წივწივაძე (4), ვინოგრადსკი (3), ქავთარაძე (2), ნარსია (1), ჭელიძე (1), გოგიჩაიშვილი (1), ჭანტურია, ნიტაიშვილი.

**ქუთაისი:** შიშინაშვილი, გულეიშვილი, ბოყოჩაძე (10), ჟვანია (5), გ. კვერნაძე (4), მათნაძე (3), ჯულელი (3), გობეჯიშვილი (3), ჩიხლაძე, ლომიძე, ახალაძე, ბახტურიძე, მამასახლისი, კობახიძე, ტულუში.

ხელბურთელ ვაჟთა წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში რვა გუნდი მონაწილეობს. ისინი ორ ჯგუფში არიან განთესილი. აღმოსავლეთი ჯგუფის ოთხმა წევრმა პირველი წრის პაექრობები უკვე დაასრულა. გუშინ სენაკში დასავლეთი ჯგუფის წარმომადგენლები ჩაებნენ ორთაბრძოლებში. ოთხი თამაშის შემდეგ ბათუმი და ქუთაისი მეწინავეთა შორის იყვნენ და გუშინდელი გამარჯვებით სალიდერო პოზიციები განიმტკიცეს. ზღვისპირელებმა მატჩის პირველი წუთებიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და ტაიმი 13 ბურთის სხვაობით მოიგეს. შესვენების შემდეგ შედარებით თანაბარი პაექრობა იყო, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ბათუმელებმა მაინც მოახერხეს დიდი ანგარიშით მოგება - 46:28.

**სამტრედია-ჭაბუკთა ნაკრები 39:25**

**სამტრედია:** ხონელიძე, გაგუა, თევზაძე (11), წითელიშვილი (6), გ. ნიკურაძე (6), ხვიჩია (4), ლალანიძე (3), ხაჟომია (3), ჯ. ნიკურაძე (2), ავალიანი (2), ელგანდაშვილი (1), ზურაბიანი (1), ქავზინაძე, გაგლოშვილი, ცხვარაძე, ბოცვაძე.

**ჭაბუკები:** ხანდოლიშვილი, ვათიაშვილი, ჰუსეინოვი (10), ბაინაზაშვილი (4), კბილაშვილი (3), ე. არსენაშვილი (3), ნ. მაისურაძე (2), ფერაძე (2), რუსტამოვი (1), ბიბილეიშვილი, დანელაშვილი, ნაზლაიძე, დოლმაზაშვილი, გაწერელია.

**მსაჯები:** ინა ჭკუასელი, ზურაბ ქოქოსაძე.

1998-1999 წლებში დაბადებული ხელბურთელები 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებიან, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. ეს ასაკი 2017 წელს 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატშიც მოსინჯავს ძალებს. ამ შეჯიბრების ფინალური ეტაპიც თბილისში გაიმართება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ გუნდის მომზადებას ხელბურთის ეროვნული ფედერაცია აქედანვე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ეროვნულ ჩემპიონატში მათი მონაწილეობაც ამით არის განპირობებული. სენაკში ჩასვლამდე ჭაბუკებს მხოლოდ 2 ქულა ჰქონდათ. გუშინდელ პაექრობაში მათ მონაგარს ვერაფერი შესძინეს - სამტრედიასთან 25:39 (10:20) წააგეს.

**20 ნოემბერი.** ჭაბუკები - ბათუმი; ქუთაისი - სამტრედია.

**21 ნოემბერი.** ქუთაისი - ჭაბუკები; ბათუმი - სამტრედია.

**ვაჟა დანელია**



ჭადრაკი

# ორი მარცხი და ერთი ყაიმი

საქართველოს ოთხი წარმომადგენელი მონაწილეობს ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც ოპატია (ხორვატია) მასპინძლობს. **თამარ ხმიადაშვილმა**, რომელიც ბოლო ორი ტურის განმავლობაში ერთპიროვნულად მეწინავეობდა, გუშინ მე-7 ტურში ელენა ანკუდინოვასთან (ყაზახეთი) წააგო და ლიდერობა აზიელ მეტოქეს დაუთმო. ტურნირის რეიტინგფავორიტი **ნონა გაფრინდაშვილი** შავი ფიგურებით სვეტლანა მედნიკოვას (რუსეთი) დაუზავდა, ხოლო **ნინო მელაშვილი** თეთრებით ელენა ფატალიბეკოვასთან (რუსეთი) დამარცხდა, გალინა სტრუტინსკაიამ (რუსეთი) ჰელენ მილიგანს (ახალი ზელანდია) აჯობა, ლარისა ხროპოვა (რუსეთი) და ტატიანა ბოგუმილი (რუსეთი) დაზავდნენ. ამდენად, შვიდი ტურის შემდეგ ლიდერებში ასეთი მდგომარეობაა: ანკუდინოვა-5.5, გაფრინდაშვილი, ხმიადაშვილი, ფატალიბეკოვა-5-5, მედნიკოვა, სტრუტინსკაია, ბოგუმილი, ხროპოვა4.5-4.5, მელაშვილი-4 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ფატალიბეკოვა-ანკუდინოვა, გაფრინდაშვილი-ხმიადაშვილი, მედნიკოვა-სტრუტინსკაია, ბოგუმილი-მელაშვილი, ბელცი-ხროპოვა.

მამაკაცებში შვიდი ტურის შემდეგ ბრანკო როგულის, კრუპოსლავ პულაკსა (ორივე-ხორვატია) და ანატოლი ვაისერს (საფრანგეთი) 6-6ქულა აქვთ. **სერგო ცომაიამ** 4 ქულას მოუყარა თავი.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ნაკრები

# ქართველები საჭიდაო გზაჯვარედინზე

## ბერძენ-რომაელები გაიყვნენ




მიმდინარე კვირის ბოლოს ბერძენ-რომაელებს ორი მნიშვნელოვანი ტურნირი ელოდებათ – პარასკევს მინსკში ოლეგ კარავაევის ხსოვნის მემორიალი ტარდება, 22-24 ნოემბერს კი ბაქო ტრადიციულად უმასპინძლებს ჰეიდარ ალიევის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ეტაპს. ამიტომ ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ ტატიშვილმა** შემადგენლობაც ორად გაყო. თუმცა ბაქოში მონაწილეობა კვოტირებულია – ამ კომერციულ ტურნირზე მოსახვედრად „ოქროს დიდ პრიზზე" (ასეთი სულ ორი ეტაპი იმართება სეზონში) უნდა მოიპოვო ლიცენზია. ეტყობა, ტატიშვილი გუნდის მოსამზადებლად უფრო მეტ მნიშვნელობას კარავაევის მემორიალს ანიჭებს, რადგან ის გუნდური შეჯიბრებაა და იქ სპორტსმენს, მინიმუმ, 6 შეხვედრის გამართვა მოუწევს (ეს – ტურნირის წლევანდელი ფორმატიდან გამომდინარე ანუ რამდენი გუნდი მონაწილეობს შეჯიბრებაში), ბაქოში კი, სადაც პირადი პირველობაა, შეიძლება, პირველივე წრეში წააგო და საერთოდ გავარდე, საშეჯიბრო პრაქტიკის გარეშე დარჩე. ამიტომ მწვრთნელმა უფრო ძლიერები და პირველ ნომრებად მოაზრებული ფალავნები მინსკში წაიყვანა. მათ შორის - ისეთებიც, ვისაც ბაქოში გამოსასვლელი ლიცენზია მოპოვებული ჰქონდა. ტატიშვილმა ისინი სათადარიგოებით ჩაანაცვლა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთაშორისო ფედერაცია დაგვაჯარიმებდა. თუმცა მთლად ისეც არ გამოვიდოდა, იქ მხოლოდ მეორე ნომრები გაეშვა – ფილა მსგავსი ფორმატის შეჯიბრებებზე დასწრებას მკაცრად აკონტროლებს. მით უფრო, ტატიშვილი თავს ვერც იმართლებდა, თუ ზუსტად იმ პერიოდში ეს ლიდერები მინსკში იჭიდავებდნენ. ამიტომ ბაქოში რამდენიმე ტიტულოვანი ფალავანიც გამოვა, რაც ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულაც არ ნიშნავს, რომ თითქოს მათ ლიდერებად არ მოვიაზრებთ.

ჩვენი გუნდი უკვე გაემგზავრა ბაქოში ასეთი შემადგენლობით: **გიორგი ლომინაძე** (55), **ლაშა გოგიტაძე** (60), **რევაზ ლაშხი, გიორგი დავითაია** (ორივე – 66), **მანუჩარ ცხადაია, უშანგი ჩიტაშვილი** (74), **გიორგი ცირეკიძე, რევაზ ნადარეიშვილი, გაგა კილასოვი** (სამივე – 84), **ირაკლი ქაჯაია, მიხეილ ქაჯაია, ბექა როყვა** (96), **გურამ ფერსელიძე, იაკობ ქაჯაია, შოთა გოგისვანიძე** (120).

ბაქოსთვის სათადარიგოები ლომინაძე, დავითაია, კილასოვი, როყვა და გოგისვანიძე არიან, დანარჩენებს კი მოპოვებული ჰქონდათ საგზური. მისასალმებელია შემადგენლობაში ქაჯაიების ოჯახური ტრიოს ერთად გამოჩენაც – მოგეხსენებათ, ირაკლი და მიხეილი ძმები არიან, იაკობი კი მათი ბიძაშვილია. დიდი ხანია, მათ ერთად არსად უჭიდავიათ, და ვიმედოვნებთ, იაკობთან დაკავშირებით ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის. მოგეხსენებათ, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატზე ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ ფეხი იტკინა და თანატოლებში მსოფლიოს პირველობა გამოტოვა.

მინსკში გუნდურ ტურნირში ჩვენგან გამოვლენ: **ნიკა ცეცხლაძე** (55), **თორნიკე თურქიშვილი, საჩინო დავითაია** (ორივე – 66), **ზურაბ დათუნაშვილი, ილია გულბათაშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე, ვასილ იმერლიშვილი** (ორივე – 96), **ლევან არაბული, სერგო გოგისვანიძე** (120).

ამათ ბაქოში წასულებიდან ლაშხსა და ცხადაიას თუ დავუმატებთ, დავინახავთ, რომ ძირითადი შემადგენლობა აქაა. ოღონდ რამდენიმე წონაში გამოკვეთილი ლიდერი არაა და ტატიშვილს იქ ყველას კანდიდატი მიჰყავს.

მინსკში 12 გუნდი გამოვა: აშშ, კუბა, ყაზახეთი, ლიტვა, უკრაინა, აზერბაიჯანი, უნგრეთი, პოლონეთი, რუსეთი, საქართველო და ბელარუსის ორი ნაკრები. ისინი ორ ჯგუფად დაიყოფიან და გამარჯვებულები ოქროს მედლისთვის, მეორე ადგილებზე გასულები კი ბრინჯაოსთვის იჭიდავებენ.

### თავისუფალი ექვსეული ბაქოში

ბაქოში „თავისუფალთა" ტურნირში ჩვენგან მხოლოდ 6 კაცი იჭიდავებს, რადგან მეტს ლიცენზია არც მოუპოვებია. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი „თავისუფლები" „ოქროს დიდი პრიზის" იმ ორი სალიცენზიო ტურნირიდან მხოლოდ ერთში გამოვიდნენ – მაისში, იტალიურ სასარიში (სწორედ იქ იყო, **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** მსოფლიოს პუერტორიკოელი ვიცე-ჩემპიონი **ფრანკლინ გომესი** უზადოდ რომ გამოცელა და იტალიელ კომენტატორებს სულ „გრანდე კლასსე ჯორჯიანო" აძახებინა), იანვარში, კრასნოიარსკში გასამართ ივან იარიგინის სახელობის მემორიალში კი, რომელიც იმავე კატეგორიისაა, ძველი ინერციით, ვერც ახლა წავიდნენ. მოგეხსენებათ, რუსეთის ტერიტორიაზე ქართველ სპორტსმენებს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, წინა ხელისუფლება პოლიტიკური მოსაზრებებით არ უშვებდა. მათ შორის იარიგინის მემორიალიც იყო. ახლა ვითარება კი გამოსწორდა და წინა თვეში ჩვენები იაკუტსკშიც იყვნენ საჭიდაოდ და – გროზნოშიც (აქ იმ შეჯიბრებებზე ვლაპარაკობთ, სადაც მონაწილეობა ნებაყოფლობითია, თორემ ხასავიურტში გამართულ საკონტინენტთაშორისო თასზე გამოსვლა, როგორც – ბაქოში, სავალდებულოა და თავის არიდება ფინანსურად ისჯება), მაგრამ შარშან დეკემბერში მოსულმა ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობამ იანვარში მათი დაფინანსება ვერ მოახერხა.

მწვრთნელ **ალექსანდრე კახნიაშვილს** ბაქოში **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, გიორგი ედიშერაშვილი** (ორივე – 60), **მალხაზ ზარქუა** (66), **დავით მარსაგიშვილი** (84), **დავით ქერაშვილი** (96) და **გიორგი საკანდელიძე** (120) მიჰყავს.

ედიშერაშვილი სასარიში 60-ში გამოვიდა და ბრინჯაოს მედალთან ერთად საგზურიც ამ წონაში მოიპოვა, თუმცა, შესაძლოა, ბაქოში თავის წონაში, 55-ში იჭიდაოს. ეს ადგილზე გადაწყდება – შეხედავენ, შეძლებს თუ ვერა უმტკივნეულოდ დაკლებას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენმა ფედერაციამ თავი დაიზღვია, და ფილას მიმართა თხოვნით, მისთვის 55-ში გამოსვლის ნება დაერთო და დაითანხმა კიდეც.

საინტერესოა მარსაგიშვილის საკითხიც, რომელსაც იქით სასარიში საერთოდ არ უჭიდავია, შესაბამისად, არც ლიცენზია მოუპოვებია, აქეთ კი ჩვენი ფედერაცია ემუქრება ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით. თუმცა ლუკა კურტანიძის ეს გადაწყვეტილება 15 დეკემბრამდე ანუ ალმასკომის სხდომამდე ვერ ამოქმედდება და ისიც მხოლოდ ალმასკომის თანხმობის შემთხვევაში შევა ძალაში, მანამდე გასამართ ტურნირებში გამოსვლაში კი ხელს ვერ შეუშლის. ბაქოს შეჯიბრებაც და საქართველოს ჩემპიონატიც ამ სიაში ხვდება, თუმცა ბაქოში მის დასაშვებად ჩვენს ფედერაციას ფილასთან მოციქულობა და მიმოწერა დასჭირდა. საბედნიეროდ, ისინი ამაზეც დაითანხმეს.

ბაქოში შეჯიბრება სამ დღეს გაგრძელდება და თითო საჭიდაო სახეობას თითო დღე დაეთმობა. ტურნირში თავდაპირველად ბერძენ-რომაელები ჩაებმებიან – 22 ნოემბერს და ყველა წონა იმავე დღეს იასპარეზებს. 23-ში ქალთა შეჯიბრებაა, თუმცა იქ მონაწილე არ გვეყოლება, 24-ში კი თავისუფალ სტილში მოჭიდავე ვაჟები იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

სამბო



# საბრძოლო სამბოშიც გამოვლენ

■ **სანკტ-პეტერბურგის ქუჩებში, ტრანსპორტში, მეტროს სადგურებში, ერთ კვირაზე მეტია გამოკრულია აფიშები და ბილბორდები, რომლებიც იუწყებიან სამბოში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებას.**

22-23-24 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგის „იუბილეინის" 7-ათასიან სპორტდარბაზი მსოფლიოს 37-ე ჩემპიონატს უმასპინძლებს სამბოში, სადაც ყველა კონტინენტის წარმომადგენლები, მათ შორის ქართველებიც გამოვლენ.

წლეულს სამბოს 75 წლის იუბილეა. სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატებიც საიუბილეოა. 40 წლის წინათ, 1973 წელს, პირველი თეირანში დაიწყო. დღემდე კი სულ 36 ჩემპიონატი გაიმართა. 1976-1977-1978 და 1980 წლებში სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ასპარეზობა ჩავარდა.

მოახლოებულ საიუბილეო ჩემპიონატზე საქართველოს სამბისტთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: **გივი ნადარეიშვილი** (52 კგ), **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57 კგ), **უშანგი კუზანაშვილი** (62 კგ), **ლევან ნახუცრიშვილი** (68 კგ), **კახა მამულაშვილი** (74 კგ), **ნიკო კუცია** (82 კგ), **გიორგი ბაინდუროვი** (90 კგ), **ლაშა გურული** (100 კგ), **ნოდარ მეტრეველი** (+100 კგ).

ქალები: **შორენა შარაძე** (60 კგ), **ნინო ოძელაშვილი** (72 კგ), **ირინე ლეონიძე** (+80 კგ).

მსოფლიოს ჩემპიონატზე სპორტული სამბოს პარალელურად პირველად იასპარეზებს ჩვენი ორი სპორტსმენი საბრძოლო სამბოშიც. ესენი არიან: გორელები **დავით ჭაბუკაშვილი** (82 კგ) და **ნიკო ბიბილაშვილი** (100 კგ).

22 ნოემბერს იჭიდავებენ: 52-68-90 კგ. 23 ნოემბერს - 57-74-100 კგ. 24 ნოემბერს - 62-82- +100 კგ.

ქალები: 22 ნოემბერს - 60-72 კგ, 24 ნოემბერს - +80 კგ. საბრძოლო სამბო - 22 ნოემბერს 100 კგ. 23 ნოემბერს 82 კგ.

ცნობისთვის: საქართველო სამბოში მსოფლიოს 19 ჩემპიონს მოითვლის. გვეყოლება თუ არა მეოცე ჩემპიონი, ეს სანკტ-პეტერბურგში გახდება ცნობილი.

2011-2012 წლებში კი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ: **ავთანდილ ცინცაძე** (52 კგ) და **გიორგი ბაინდუროვი** (90 კგ).

**გაბრიელ ბარჯაძე**

სპორტი ყველასათვის

# სასკოლო თამაშები გორში



ამას წინათ გორში, ადგილობრივი სპორტის სამსახურის (ხელმძღვანელი **თეა კეჩხუაშვილი**) ინიციატივით მთელი კვირა მიმდინარეობდა სასკოლო თამაშები გორის თორმეტივე საჯარო სკოლის მონაწილეობით სპორტის შვიდ სახეობაში. საუკეთესოები გამოვლინდნენ ძიუდოში, ფრენბურთში, ფეხბურთში, კალათბურთში (გოგონები, ვაჟები), ხელბურთში, ჭადრაკსა და ცურვაში. ყველაზე უკეთ იასპარეზეს მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (სპორტის მასწავლებელი **დავით ახალბედაშვილი**). ისინი საუკეთესონი იყვნენ ცურვაში, ხელბურთში (ვაჟები), კალათბურთში (ვაჟები) და ძიუდოში გუნდურ ჩათვლაში. კალათბურთში გოგონათა შორის და ფეხბურთში (ვაჟები) ყველას მე-5 სკოლელებმა (**იზოლდა მემარნიშვილი**) აჯობეს. ფრენბურთში და ხელბურთში გოგონათა შორის პირველ ადგილზე გავიდა მე-7 სკოლა (**მერაბ მუზიაშვილი**). ჭადრაკში - მე-2 სკოლა (**ქეთევან ცეცვაძე**).

„ეს თამაშები ტრადიციული გახდება და ყოველი წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე გაიმართება. ინტერესი დიდია. მოსწავლეებიც მრავლად დადიოდნენ თანასკოლელების საგულშემატკივროდ. მადლობა ყველა სკოლას, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეჯიბრებებში. ვინც თავი შეიკავა, მინდა მოვუწოდო სამომავლოდ მეტი აქტიურობისკენ. საქმე ეხება ჯანმრთელი ცხოვრების წესის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ზერელედ არავინ უნდა ეკიდებოდნენ ამ საკითხს" - გვითხრა თეა კეჩხუაშვილმა.

შეჯიბრების დასკვნით ეტაპებს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. გამარჯვებულები თასებითა და სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

სუმო. კიუშუს ბაშო. 10-24 ნოემბერი

# მარცხი მონღოლ არწივთან



წლის უკანასკნელი, კიუშუს ბაშოს 2/3 მიილია და ელიტის ერთადერთ ქართველს, **გაგამარუს** (**თეიმურაზ ჯუღელი**), ისევ ისეთი ბალანსი აქვს, როგორიც სტარტზე - ნულოვანი: 5-5.

მე-10 დღეს გაგამარუმ წააგო მონღოლ „არწივ" **ტამავაშისთან**, რომელიც მისთვის ერთობ უხერხული მეტოქეა - 9 ორთაბრძოლიდან 8 მოუგო. გაგამარუს მომდევნო მეტოქე **ტაკარაფუჯია** (5-5).

ბაშოზე დაუმარცხებლები არიან დიდი ჩემპიონები **ჰაკუჰო** და **ჰარუმაფუჯი**. სავარაუდოდ, იმპერატორის თასის ბედი მათ შორის ბრძოლაში გადაწყდება, რომელიც წლის უკანასკნელი აკორდი იქნება.

**X დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტოჩინოვაკა (ოშიტაოში), ჰარუმაფუჯი-აოიამა (უვატენაგე), კაკურიუ-ტოჩიოძანი (ოშიდაში), კისენოსატო-შოჰოზანი (იორიკირი), ტამავაში-**გაგამარუ** (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა**

**10-0**: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა)

**8-2**: კაკურიუ (ოძეკი), კისენოსატო (ოძეკი), ჩიოტაირიუ (მაეგაშირა 6)... **5-5**: **გაგამარუ** (მაეგაშირა 13)

**XI დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ტოჩიოძანი, ჰარუმაფუჯი-გოეიდო, კისენოსატო-აოიამა, კაკურიუ-ჰომაშო, **გაგამარუ**-ტაკარაფუჯი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# შენგელიას 43



**თორნიკე შენგელიამ** „ბრუკლინ ნეთსის“ მაისურით NBA-ს მიმდინარე სეზონში მეორე მატჩი ჩაატარა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იმდენი სათამაშო დრო ერგო, მატჩის ბედის გადაწყვეტა შეეძლო - მწვრთნელი **ჯეისონ კიდი** 43 წამით ენდო.

ამ შეხვედრაში გუნდს დაუბრუნდნენ **კევინ გარნეტი** და **პოლ პირსი**, მაგრამ ვერც მათი მონდომება გასწვდა „ბრუკლინის“ გამარჯვებას. „ნეთსმა“ „პორტლენდთან“ 98:108 წააგო.

ბრუკლინელებს სადღეისოდ 10-დან 3 მატჩი აქვთ მოგებული და აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-13 ადგილზე არიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# თურქეთსა და ისრაელში

გუშინ თურქეთში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) **ეკატერინე გორგოძემ** წყვილებში მარტინა პრადოვასთან (ჩეხეთი) ერთად იოლად სძლია მასპინძლებს - გიზემ მელისა ატესსა და ირემ ტალია კოკენს - 6:0, 6:3. მეოთხედფინალში ქართულ-ჩეხური წყვილი ბიანკა ნინკუსა (რუმინეთი) და კიოკა ოკამურას (იაპონია) დაუპირისპირდება. საგულისხმოა, რომ გორგოძე ერთეულთა თანრიგის ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან სწორედ ოკამურას ძლევით მოხვდა, აქ კი პირველ წრეში დარია საპოგოვას (ბელარუსი) შეხვდება. სამწუხაროდ, შეჯიბრებას გამოეთიშა მერვე ნომერი **სოფიო ქვაცაბაია** - ჩვენებური რუმინელ დიანა ბუზეანუსთან 2:6, 2:6 დამარცხდა.

■ ■ ■

ისრაელში ჭაბუკ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს თბილისელი **ალექსანდრე ბაკში.** პირველ წრეში მან მასპინძელი რამ კარაში დაამარცხა - 6:2, 7:6. მეორე წრეში იგი მოგვარეს - ედან ბაკშის (ისრაელი) შეხვდება. ამ უკანასკნელმა უკრაინელი ვლადისლავ კრამაროვი ჩამოიშორა გზიდან - 7:6, 6:4. ბაკშები ნლეულს აზერბაიჯანის ტურნირში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ჩვენებურმა ორ სეტში გაიმარჯვა - 6:3, 6:1.

ალექსანდრე ბაკში წყვილთა პაექრობაში უფრო შორს წავიდა: პოლონელ ჰუბერტ ჰურკაჟთან შეამხანაგებულმა თბილისელმა ჩოგბურთელმა სტარტზე ეტაი ჰაროშისა და იდო ზონდერის (ისრაელი) დუეტი დაამარცხა - 6:2, 6:0, შემდეგ მათ გზას გაუყენა მიხალ დემბეკი (პოლონეთი) და ვლადისლავ კრამაროვი (უკრაინა) - 6:3, 1:6, 11:9. ნახევარფინალში ბაკში და ჰურკაჟი ლოდ ჰარისისა (სამხრეთ აფრიკა) და მასონ რეკის (დიდი ბრიტანეთი) ტანდემს გაუწევენ მეტოქეობას. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ითამაშებენ: ალექსანდრ ბუბლიკი (რუსეთი), ოლექსეი კოლისნიკი (უკრაინა) - ედამ ლეშემი (ისრაელი), ანდრეა პელეგრინო (იტალია).

**ვაჟა დანელია**



ალექსანდრე ბაკში

კალათბურთი. სუპერლიგა 2013-14. საუკეთესონი

# ისევ ქედუგანი

ბათუმელებს საწყისი სამი ტურის შემდეგ ორი მარცხი ჰქონდათ. მათ ჯერ „არმიასთან“ შინ დათმეს, შემდეგ სტუმრად - „დინამოსთან“.

| V ტური | |
|---|---|
| შსს აკადემია-ქუთაისი | 64:75 |
| ოლიმპი-არმია | 73:96 |
| მაქაბი-დინამო | 61:95 |
| ბათუმი-სოხუმი | 68:67 |

## რეკორდები

**ქულა**

31 - ლევან რევაზაშვილი (მაქაბი)
2-ქულ 4/14; 3-ქულ 6/11; საჯ 5/5
09.11.13 მაქაბი-არმია

**მოხსნა**

21 - აკაკი დვალიშვილი (ქუთაისი)
(მეტოქ: 10; საკუთ: 11)
01.11.13 ქუთაისი-მაქაბი

**პასი**

14 - სანდრო მეგენეიშვილი (მაქაბი)
01.11.13 ქუთაისი-მაქაბი

**ჩაჭრა**

4 - ირაკლი მიქელაძე (ოლიმპი), ლევან ცეკვავა (ქუთაისი), მიხეილ ბერიშვილი (არმია), ზურაბ მაჭავარიანი (რუსთავი), ლევან ხმელიძე (რუსთავი), ჯეიმი ჯექსონი (სოხუმი).

**დაფარება**

5 - გიორგი ჯგერენაია (არმია)
25.10.2013 ბათუმი-არმია
5 - ჯეიმი ჯექსონი (ბათუმი)
14.11.13 ბათუმი-სოხუმი

მას მერე ზღვისპირელებმა ორ საშინაო შეხვედრაში ჩემპიონატის ფავორიტებს უმასპინძლეს და მათთან ბრძოლებში დაგვანახეს, რომ ოქროს მაძიებელთა რიგებში უნდა ჩავწეროთ.

ბათუმელებმა მეოთხე ტურში „ქუთაისი“ დაამარცხეს, ხოლო მეხუთეში - „სოხუმი“. ამ უკანასკნელთან აჭარლებმა ნაგებული თამაში შემოატრიალეს - ბოლო წუთისთვის 4 ქულის სხვაობით აგებდნენ და საბოლოოდ 68:67 იმარჯვეს. გადამწყვეტი ხუთი ქულა „ბათუმს“ გამთამაშებელმა **ჯუნიორ ქედუგანმა** მოუტანა. სწორედ ამიტომ დავასახელეთ იგი ტურის საუკეთესო კალათბურთელად. არც კანადელის სტატისტიკა გვიშლიდა ხელს - 26 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი.

ბოლოსწინა წუთზე სოხუმელმა **ნიკა მეტრეველმა** გამოიდო თავი და სწორედ მან დააწინაურა თანაგუნდელები ხუთი ქულით, თუმცა ჯუნიორმა შრომა წყალში ჩაუყარა. ორმაგდუბლოსანი (12 ქულა, 11 მოხსნა) მეტრეველის სიმბოლურში ხილვაც არ უნდა გაგვიკვირდეს.

ბათუმურ მატჩში მარგი ქმედების კოეფიციენტით საუკეთესო **ჯეიმი ჯექსონი** იყო (23), რომელმაც 19 ქულა, 12 მოხსნა და 5-5 ჩაჭრა-დაფარება მიითვალა. იგი სიმბოლურ ნაკრებში მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე მოხვდა. რადგან გადამწყვეტ მომენტში ქედუგანმა აიღო ლიდერობა და გუნდს მოაგებინა, ჯექსონზე წინ წავწიეთ და ტურის საუკეთესოდაც ის დავასახელეთ.

ქუთათურებს თბილისში ფიცხელი ბრძოლა გაუჩაღეს „შსს აკადემიას“ ახალგაზრდა კალათბურთელებმა. მათი გუნდური მოქმედების წყალობით მეოთხე პერიოდამდე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, თუმცა ბოლო რაუნდში იმერლებმა იძალეს, რომლებსაც რუსთაველი **აკაკი დვალიშვილი** გაუძლვათ. კაკიმ 12-დან 10 ორქულიანი ჩააგდო და მატჩი 22 ქულითა და 9 მოხსნით დაასრულა. აკადემიელთა რიგებიდან **მერაბ ბოქოლიშვილი** გამოვარჩიეთ და ვირტუალურ ნაკრებში სწორედ იგი გავამწესეთ მსროლელის პოზიციაზე (14 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი).



**ვაჟა სიმონიშვილი**

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჯუნიორ ქედუგინი | ბათუმი-რსუ | 5 | 119 | 23.8 |
| 2 | ლევან რევაზაშვილი | მაქაბი | 5 | 111 | 22.2 |
| 3 | ძიენ კარტერი | დინამო | 4 | 80 | 20 |
| 4 | გიორგი ფერიაშვილი | მაქაბი | 5 | 99 | 19.8 |
| 5 | ჯეიმი ჯექსონი | ბათუმი-რსუ | 5 | 99 | 19.8 |
| 6 | ჯერემი სეფოლდი | ბათუმი-რსუ | 5 | 96 | 19.2 |
| 7 | აკაკი დვალიშვილი | ქუთაისი | 5 | 95 | 19 |
| 8 | გიორგი შარაბიძე | არმია | 5 | 77 | 15.4 |
| 9 | ბექა ჩიკვილაძე | შსს აკადემია | 4 | 61 | 15.25 |
| 10 | სტევან მილოშევიჩი | დინამო | 4 | 59 | 14.75 |
| 11 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 4 | 57 | 14.25 |
| 12 | გიორგი ხანიაშვილი | ოლიმპი | 4 | 57 | 14.25 |
| 13 | მერაბ ბოქოლიშვილი | შსს აკადემია | 4 | 57 | 14.25 |
| 14 | ბესიკ ლეჟავა | დინამო | 4 | 55 | 13.75 |
| 15 | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 4 | 52 | 13 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.ს. | მ.მ. | მ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აკაკი დვალიშვილი | ქუთაისი | 5 | 29 | 30 | 59 | 11.8 |
| 2 | სტევან მილოშევიჩი | დინამო | 4 | 14 | 28 | 42 | 10.5 |
| 3 | ჯერემი სეფოლდი | ბათუმი-რსუ | 5 | 18 | 31 | 49 | 9.8 |
| 4 | ჯეიმი ჯექსონი | ბათუმი-რსუ | 5 | 22 | 26 | 48 | 9.6 |
| 5 | დავით უგრეხელიძე | შსს აკადემია | 4 | 17 | 21 | 38 | 9.5 |
| 6 | ნიკა მეტრეველი | სოხუმი | 4 | 9 | 27 | 36 | 9 |
| 7 | გიორგი ფერიაშვილი | მაქაბი | 5 | 18 | 27 | 45 | 9 |
| 8 | სიმონს ჯერომე | სოხუმი | 4 | 12 | 24 | 36 | 9 |
| 9 | გიორგი ჯგერენაია | არმია | 5 | 18 | 22 | 40 | 8 |
| 10 | რევაზ ათანელიშვილი | ოლიმპი | 4 | 12 | 19 | 31 | 7.75 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | დინამო | 3 | 29 | 9.67 |
| 2 | სანდრო მეგენეიშვილი | მაქაბი | 5 | 38 | 7.6 |
| 3 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 5 | 34 | 6.8 |
| 4 | ჯუნიორ ქედუგინი | ბათუმი-რსუ | 5 | 33 | 6.6 |
| 5 | რევაზ როგავა | შსს აკადემია | 4 | 24 | 6 |
| 6 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 5 | 26 | 5.2 |
| 7 | ბექა წიწივაძე | არმია | 5 | 25 | 5 |
| 8 | ბექა ჩიკვილაძე | შსს აკადემია | 4 | 15 | 3.75 |
| 9 | ბესიკ ლეჟავა | დინამო | 4 | 15 | 3.75 |
| 10 | ტარიელ თავართქილაძე | ოლიმპი | 3 | 11 | 3.67 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჯეიმი ჯექსონი | ბათუმი-რსუ | 5 | 13 | 2.6 |
| 2 | ჯერემი სეფოლდი | ბათუმი-რსუ | 5 | 12 | 2.4 |
| 3 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 5 | 12 | 2.4 |
| 4 | გიორგი გამყრელიძე | დინამო | 3 | 6 | 2 |
| 5 | ჯუნიორ ქედუგინი | ბათუმი-რსუ | 5 | 10 | 2 |
| 6 | ბექა ჩიკვილაძე | შსს აკადემია | 4 | 8 | 2 |
| 7 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 5 | 9 | 1.8 |
| 8 | ირაკლი მიქელაძე | ოლიმპი | 4 | 7 | 1.75 |
| 9 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 4 | 7 | 1.75 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი ჯგერენაია | არმია | 5 | 11 | 2.2 |
| 2 | ჯეიმი ჯექსონი | ბათუმი-რსუ | 5 | 11 | 2.2 |
| 3 | სტევან მილოშევიჩი | დინამო | 4 | 6 | 1.5 |
| 4 | გიორგი ფერიაშვილი | მაქაბი | 5 | 7 | 1.4 |
| 5 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 4 | 4 | 1 |
| 6 | გიორგი შარაბიძე | არმია | 5 | 4 | 0.8 |
| 7 | რევაზ ათანელიშვილი | ოლიმპი | 4 | 3 | 0.75 |
| 8 | რევაზ როგავა | შსს აკადემია | 4 | 3 | 0.75 |
| 9 | ნიკა მეტრეველი | სოხუმი | 4 | 3 | 0.75 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლევან რევაზაშვილი | მაქაბი | 5 | 23 | 4.6 |
| 2 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 5 | 21 | 4.2 |
| 3 | სანდრო მეგენეიშვილი | მაქაბი | 5 | 21 | 4.2 |
| 4 | რევაზ როგავა | შსს აკადემია | 4 | 15 | 3.75 |
| 5 | ნიკა მეტრეველი | სოხუმი | 4 | 15 | 3.75 |
| 6 | ილია ლონდარიძე | შსს აკადემია | 3 | 11 | 3.67 |
| 7 | გიორგი გამყრელიძე | დინამო | 3 | 11 | 3.67 |
| 8 | დავით არწივიძე | რუსთავი | 4 | 14 | 3.5 |
| 9 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 4 | 14 | 3.5 |
| 10 | გიორგი ტეტელაშვილი | მაქაბი | 5 | 16 | 3.2 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია ვარჯიში

# ჰეიგი და მისი რაზმი სამოასთვის ემზადება

ამერიკასთან ნაწვნევი მწარე მარცხის შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა გუნდმა ერთი დღე დაისვენა და ორშაბათიდან სამოას უძლიერეს ნაკრებთან გასამართი ტესტმატჩისთვის მზადება დაიწყო. ჩვენი მომავალი მეტოქე მსოფლიოს რეიტინგში მერვე პოზიციას იკავებს და სარაგბო თვალსაზრისით დიდ ძალას წარმოადგენს.



კონსტანტინე მიქაუტაძე აუტის მოსაგებად ემზადება

23 ნოემბერს, „ბორჯღალოსნების" მიერ „მებრძოლი" სამოას დამარცხება შესაძლოა გარდამტეხ მომენტადაც იქცეს ქართული რაგბისთვის, ვინაიდან ელიტარული ნაკრების დამარცხებით არის შანსი, გზა გაგვეხსნას მაღალი ეშელონის ნაკრებებთან რეგულარულად სათამაშოდ.

საქართველოს ნაკრებმა სამშაბათს ტრადიციული ღია ვარჯიში გამართა, რომელსაც ორიოდე ტელევიზია და ხუთიოდე სპორტული ჟურნალისტი ესწრებოდა. ქვეყანაში, სადაც ასეთი პოპულარობით სარგებლობს რაგბი და გულშემატკივარი „ბორჯღალოსნებისაგან" პირველი ოცეულის ნაკრებების რეგულარულ დამარცხებას ითხოვს, წესით, ღია ვარჯიშს დიდი გამოხმაურება უნდა მოჰყოლოდა, თუნდაც ახალგაზრდა თაობის მხრიდან, რომელსაც უნიკალური შანსი ეძლეოდა ახლო დისტანციიდან თვალი მიედევნებინა მორაგბეებისთვის, რომელთა ავტოგრაფებზე ნადირობა საფრანგეთშიც კი რთულია...

ვარჯიში დილის 11 საათზე დაიწყო და თითქმის ორ საათს გასტანა. არ უვარჯიშია **ვიტო კოლელიშვილს**, რომელსაც ერთთვიანი დისკვალიფიკაცია აქვს, ინდივიდუალური პროგრამით დაიტვირთა „ბორჯღალოსანთა" კაპიტანი **ირაკლი მაჩხანელი**.

ტრადიციული გახურების შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** შერკინება და უკანა ხაზი მოედნის საპირისპირო მხარეებზე განალაგა და სტატიკური მდგომარეობებიდან ბურთის სწრაფ გათამაშებაზე ავარჯიშა. მორკინალები აუტიდან და შერკინებიდან სხვადასხვა კომბინაციებს ამუშავებდნენ, ხოლო უკანახაზელები ცდილობდნენ, ერთი შეხებით გადაეწოდებინათ თანაგუნდელისთვის პასი და კიდიდან კიდემდე სწრაფად ჩაეთამაშებინათ ბურთი.

ნახევარი საათის შემდეგ გუნდი ორ ნაწილად გაიყო. მოედნის ერთ მხარეს ამერიკასთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში გამწესებული მორაგბეები განლაგდნენ და დაცვასა თუ შეტევაში საკონტაქტო ბალიშების დახმარებით ივარჯიშეს ნაკრების დანარჩენი წევრების დახმარებით. გამონაკლისი იყო **თედო ზიბზიბაძე**, რომელიც „მეორე გუნდის" რიგებში ირჯებოდა, „პირველი გუნდის" შემადგენლობაში კი გარემარბის პოზიციაზე **გიორგი შკინინი** და **ბექა წიკლაური** ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ვარჯიშის მიწურულს უკანახაზელებმა ფეხით დარტყმაზე წაივარჯიშეს, ხოლო მორკინალებმა რაქის სწრაფ განმენდაზე და მოლის დაყენებაზე.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ მომავალი მატჩის სამზადისზე და მეტოქეზე „ბორჯღალოსნებმა" ისაუბრეს.

**დავით ქუბრიაშვილი:**

*„ძალიან დიდი პატივია ისეთი დონის ნაკრების მასპინძლობა, როგორიც სამოას ნაკრებია. ბოლო წლების განმავლობაში აშკარაა მათი პროგრესი და მსოფლიო რეიტინგშიც საკმაოდ წინ წაიწიეს. მძიმე მატჩს ველით. სამოელები ხომ გამოირჩევიან უხეში და აგრესიული სათამაშო სტილით, რისთვისაც ვემზადებით კიდეც. ძალიან საინტერესოა ასეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ თამაში და ეს შეხვედრა შეგვიძლია საზომად გამოვიყენოთ რამდენად მივუახლოვდით ევროპის ელიტარულ სარაგბო დონეს."*

**თედო ზიბზიბაძე:**

*„საინტერესო და დაძაბული მატჩი გველის. ასეთი მაღალი დონის ნაკრებთან თბილისში ჯერჯერობით არ გვითამაშია და იმედი გვაქვს, რომ წარმატებას მივაღწევთ. შევეცდებით ჩვენი სათამაშო სტილი მოვახვიოთ მეტოქეს თავს და მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოვიპოვოთ."*

**ვაჟა ხუციშვილი:**

*„საქართველოს ნაკრები ყოველთვის მოსაგებად გადის მოედანზე და მჯერა რომ ჩვენც შეგვიძლია სამოას ძლიერი ნაკრების დამარცხება. ცხადია, ეს რთული შესასრულებელი იქნება, მაგრამ მეტოქისთვის გარკვეულ სიურპრიზებს ვამზადებთ."*

**თამაზ მჭედლიძე:**

*„ძალიან კარგია ელიტარული დონის ნაკრებთან დაპირისპირება. სწორედ ასეთი მაღალი კლასის გუნდებთან ხშირი თამაში მოგვიტანს დიდ გამოცდილებას, რაც ასე გვჭირდება. შევეცდებით კიდევ ერთხელ გავახაროთ სტადიონზე მოსული გულშემატკივარი და სანახაობრივი რაგბი შევთავაზოთ."*



მამუკა გორგოძე (ცენტრში) კაპიტნის ამპლუაში



დიდიე ბესი მორკინალებს მითითებებს აძლევს

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი:** დავით ხინჩაგიშვილი (მეტრო რასინგი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ზურაბ ჟვანია, დავით ქუბრიაშვილი (ორივე-სტად ფრანსე), სიმონ მაისურაძე (ბაგნერე), შალვა მამუკაშვილი (არმია), რეზო ბელქანია (ლელო), ლევან ჩილაჩავა (ტულონი).

**მეორე ხაზი:** კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (ტარბი)

**მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), გიორგი თხილაიშვილი (არმია), გიორგი ჩხაიძე (ტარბი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე), ლაშა ხმალაძე (ლელო),

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ბურგ ან ბრესი), დავით კაჭარავა (ენისეი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14:** გიორგი შკინინი (არმია), თამაზ მჭედლიძე (ბურგ ან ბრესი).

**№15:** ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი).

**გიორგი ბარბაქაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*



ვარჯიშის დასაწყისი



ბურთით ლაშა ხმალაძე

# ზამთრის ოლიმპიადების ისტორია 1924-2010

VIII ოლიმპიური თამაშები. 18-28 თებერვალი. 1960. სქვო-ველი (აშშ)

# ერთი კაცის პირადი ოლიმპიადა




## სქვო-ველი

არამუნიციპალური ტერიტორია პლეისერის ოლქში (კალიფორნიის შტატი, აშშ). სქვო-ველი მდებარეობს სიერა-ნევადას მთებში, ტაჰოს ტბის დასავლეთით, ზღვის დონიდან 1900 მეტრზე.

ქალაქი პოპულარულია სპორტის ზამთრის სახეობების მოყვარულებში: სამთო თხილამურები, თხილამურებით რბოლა, ფიგურული სრიალი და სხვა. საბაგიროების დახმარებით, მოთხილამურეები 2700 მეტრ სიმაღლეზე ადიან. შესაძლებელია ფრირაიდში შეჯიბრება.

ზაფხულში კარგი პირობებია ჩოგბურთისთვის, ცურვისა და ცხენით ჯირითისთვის.

## ქალაქის არჩევანი

მეორედ ზამთრის ოლიმპიური თამაშები აშშ-ში, კალიფორნიის შტატში გაიმართა, ამჯერად, სიერა-ნევადას მთებში. სპორტული ბატალიების ჩატარების ადგილად აირჩეს ინდიელთა ველი, რომელიც უოშოს ინდიელთა ტომის ძველ მიწაზე მდებარეობდა, ზღვის დონიდან დაახლოებით 2 ათასი მეტრის სიმაღლეზე.

სქვო-ველი ზამთრის VIII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი იმის გამო გახდა, რომ ამერიკელი მილიონერი ალექსანდრ ქაშინგი "დაავადდა" ოთხწლეულის მთავარი სტარტის ჩატარების იდეით და მაქ-


ალექსანდრ ქაშინგი

სიმუმი გააკეთა თამაშების მასპინძლობის მისაღებად. 60-იან წლებში, სქვო-ველი ნაკლებად ცნობილი, მოკრძალებული სამთო-სათხილამურო კურორტი იყო, სადაც მხოლოდ სამი საბაგირო მუშაობდა, ხოლო მთავარი ღირსშესანიშნაობა იყო 50-ადგილიანი სასტუმრო. ქაშინგი, ფაქტობრივად პატარა ქალაქის ერთადერთი მუდმივი მაცხოვრებელი და შეიძლება ითქვას, ერთადერთი მფლობელი იყო.

ქაშინგი ბრძოლაში აქტიურად ჩაება. მოქმედებდა ენერგიულად და დაამყარა კავშირები საჭირო ადამიანებთან, მათ შორის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ოლიმპიურ კომიტეტებთან, რომლებსაც, საერთო ჯამში, ნაკლებად აინტერესებდათ ზამთრის ოლიმპიური თამაშები. 1960 წლის ოლიმპიადის ორგანიზებისთვის სქვო-ველიმ ორრაუნდიანი არჩევნები მოუგო ევროპულ კურორტებს - სანკტ-მორიტცს, გარმიშ-პარტენკირხენსა და ინსბრუკს. ეს უკანასკნელი მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ფინალურ კენჭისყრაში 30:32 დამარცხდა.

ამ გადაწყვეტილების გამო, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მკაცრად გააკრიტიკეს: პირველ რიგში, რთული კლიმატური პირობებისა და სათხილამურო და სამთო-სათხილამურო ტრასების რთული რელიეფის, თავად სქვო-ველის ძალიან მოუხერხებელი მდებარეობისა და თითქმის არარსებული ინფრასტრუქტურის გამო. მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა.

## თამაშებისთვის მზადება

უნდა ითქვას, რომ ქაშინგმა ძალიან მოინდომა და პრაქტიკულად, ნულიდან ააშენა ზამთრის ოლიმპიური ცენტრი. აიგო გადახურული სტადიონი, რომლის ტრიბუნებიდან მოჩანდა არა მხოლოდ ჰოკეის არენა, არამედ მოციგურავეთა მოედანი, ტრამპლინი და ყველა სამთო-სათხილამურო ტრასა. არენა ექსპლუატაციაში 1959 წელს შევიდა. ეს იყო ძალიან ლამაზი და თანამედროვე მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც 8500 მაყურებელზე იყო გათვლილი, მაგრამ, როცა იქ გაიმართა ჰოკეის მატჩები აშშ-სა და სსრკ-ს, ასევე აშშ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის, ტრიბუნებზე 10 ათასი მაყურებელი დაეტია. სტადიონის სახელწოდება იყო - Blyth Memorial Arena და მისი შემქმნელები 1958 წელს, არქიტექტურის დარგში კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ.

მთავარი არენის გვერდით დაავეს 400-მეტრიანი ხელოვნური საციგურაო ბილიკი. სამწუხაროდ, ორგანიზატორებმა ბობსლეის ტრასაზე ფულის ეკონომია გადაწყვიტეს, რადგან ამ სახეობაში გამოსვლის სურვილი მხოლოდ რვა ქვეყანამ გამოთქვა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ბობსლეი არ შეიტანეს ოლიმპიურ პროგრამაში.

ზამთრის თამაშების ისტორიაში პირველად, სქვო-ველიში აშენდა ოლიმპიური სოფელი - თანამედროვე საცხოვრებელი მიკრორაიონი, რომლის ძირითადი ნაწილი იყო ათლეტთა ცენტრი (საცხოვრებელი, სტადიონები, სასადილო და კაფეტერია, ტელეგრაფი, ფოსტა, ბანკი, საუნა, თეატრის დარბაზი, ადმინისტრაციული ოფისები, თარჯიმანთა ბიურო, საინფორმაციო და სამედიცინო ცენტრები, ქიმწმენდა, საპარიკმახერო, სილამაზის სალონი, მაღაზიები და ა. შ.). ეს იყო ერთიანი არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც ახლოს მდებარეობდა სპორტულ ობიექტებთან. 30 ქვეყნის დელეგაციებისთვის (დაახლოებით 1200 ადამიანი) აშენდა ოთხი სამსართულიანი სასტუმრო (ერთ-ერთი სასტუმრო ქალებისთვის იყო განკუთვნილი).

ასევე სქვო-ველიში პირველად დანერგეს საინფორმაციო სისტემა გამოთვლითი ტექნიკის საფუძველზე, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა ოლიმპიადის ჩატარება.

## მონაწილე ქვეყნები და სახეობები

VIII ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 665-მა სპორტსმენმა (144 ქალი, 521 მამაკაცი) 30 ქვეყნიდან. სპორტის რვა სახეობაში გათამაშდა მედლების 27 კომპლექტი.

პირველად ზამთრის თამაშების ისტორიაში, ოლიმპიურ პროგრამაში მოხვდა ბიატლონი. უკვე ვთქვით იმის შესახებ, რომ არ გამართულა ბობსლეის სტარტები. პირველად ისტორიაში სტარტზე ვიხილეთ ციგურებით მორბენალი ქალები - მათ მედლები გაითამაშეს 500, 1000, 1500 და 3000 მეტრზე.

## ჩირაღდნის ესტაფეტა

ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა სკანდალით აღინიშნა. პირველად მოხდა თავდასხმა ოლიმპიურ ცეცხლზე. სოდა სპრინგსში უცნობებმა გაძარცვეს ესტაფეტის თანმხლები მანქანა. მაგრამ მთავარი ჩირაღდანი იქ არ აღმოჩნდა და მძარცველებმა თან წაიღეს ოთხი სათადარიგო ჩირაღდანი, აგრეთვე კინოფირი, რომელზეც ასახული იყო ესტაფეტის მიმდინარეობა. რაც შეეხება მთავარ ოლიმპიურ ცეცხლს, ის სასტუმროში ინახებოდა, რის შესახებაც მძარცველებმა არაფერი იცოდნენ.


ოლიმპიადის მთავარი არენა

## გახსნის ცერემონია

გახსნის გრანდიოზული ცერემონია 18 თებერვალს გაიმართა. ზეიმის ორგანიზება დაევალა ჰოლივუდის ლეგენდარულ კინოპროდიუსერს, მიკი მაუსის "მამას" **უოლტ დისნეის**, რომლის ფანტაზიასაც საზღვარი არ ჰქონდა. შოუს მუსიკალურ გაფორმებას უზრუნველყოფდა 2645 მომღერალი და 1285 მუსიკალური ინსტრუმენტი. ასევე პროგრამაში გათვალისწინებული იყო 2000 მტრედის გაშვება, ოლიმპიური ფოიერვერკი და რვა არტილერიული გასროლა (მერვე ოლიმპიური თამაშების საპატივცემულოდ). სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლი **მეიდ ლოურენსმა** მიიტანა - ის მთიდან დაეშვა რვა მოთხილამურის თანხლებით.


ჟან ვიუარნე

სტადიონზე მთავარი ოლიმპიური ცეცხლი ოსლოს 1952 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა, მოციგურავე **კენეტ ჰენრიმ** დაანთო. ოლიმპიური ფიცი წარმოთქვა 20 წლის **კეროლ ჰეისმა**, რომელიც შემდეგ ჩემპიონი გახდა ფიგურულ სრიალში.

თამაშები გახსნა აშშ-ის 37-ე პრეზიდენტმა **რიჩარდ ნიქსონმა**. სხვათა შორის, მან დააგვიანა გახსნის ცერემონიაზე. საქმე ისაა, რომ სქვო-ველის ოლიმპიადის ჩატარებას საფრთხე დაემუქრა, რადგან მთელი ზამთარი კურორტზე თოვლი არ იყო. მაგრამ გახსნის ცერემონიის წინ, ძლიერი ციკლონი გავრცელდა და სქვო-ველიში დიდი რაოდენობით თოვლი მოვიდა, რამაც გადაადგილების პრობლემა შეუქმნა ნიქსონს.


ვეიკო ჰაკულინენი

1958 წელს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაამტკიცა ოფიციალური ოლიმპიური ჰიმნი და ის პირველად სწორედ სქვო-ველიში შესრულდა.

## სტარტები

**სამთო თხილამურები.** სამთო თხილამურებში ყველაზე დრამატული იყო შეჯიბრება სწრაფდაშვებაში მამაკაცებს შორის. სქვო-ველიში ხან სითბო იყო, ხან კი დიდი რაოდენობით თოვლი მოდიოდა, რის გამოც, ორგანიზატორებს რამდენიმეჯერ მოუწიათ ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენება ტრასებზე ზვავის ჩამოწოლის თავიდან ასაცილებლად.

ფრანგი მოთხილამურე **ჟან ვიუარნე** გახდა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, რომელიც არა ხის, არამედ მეტალის თხილამურებით გამოდიოდა და ტრასა იქამდე ყველასთვის უცნობი აეროდინამიკური დგომით გაიარა, რომელსაც შემდეგ "კვერცხი" უწოდეს. ტრასის ცალკეულ მონაკვეთებზე ფრანგი იმ დროისთვის სარეკორდო სიჩქარეს (115 კმ/სთ) ანვითარებდა, რითაც, სხვათა შორის, არღვევდა შტატის კანონს, რომლის მიხედვითაც, მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე საათში 100 კილომეტრს უდრიდა. ვუარნეს საჯაროდ ბოდიშის მოხდამაც კი მოუწია საგზაო წესების დარღვევისთვის!

თავად ფრანგს მიაჩნდა, რომ მის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი მწვრთნელმა ითამაშა. თურმე მათ მოილაპარაკეს, რომ მწვრთნელი დათქმულ ადგილას მკვეთრი ფერის ქურთუკში გამოწყობილი გარკვეულ პოზაში იდგებოდა. თუ დგომა ჩვეულებრივი იქნებოდა, ე. ი. ვიუარნე გრაფიკის გადაჭარბებით მოძრაობდა და რისკი საჭირო არ იყო. მაგრამ მწვრთნელმა მოატყუა შეგირდი და ჩაიმუხლა, რაც სიჩქარის მომატების აუცილებლობას ნიშნავდა. შედეგი - ოლიმპიადის ოქროს მედალი.

საინტერესოა, რომ სამთო თხილამურების წყალობით, 1960 წელს დაიბადა სატელევიზიო გამეორების იდეა. სლალომში, ერთ-ერთი მოთხილამურის გამოსვლისას, მსაჯები დარწმუნებულნი არ იყვნენ - გამოტოვა თუ არა სპორტსმენმა ერთ-ერთი კარი. ამიტომაც მათ დახმარებისთვის ტელეკომპანია CBC-ს მიმართეს და ჩანაწერის ნახვა ითხოვეს. ამის შემდეგ, ვიდეოგამეორებების პრაქტიკა ნორმა გახდა.

**ბიატლონი.** როგორც ვთქვით, ბიატლონი პირველად იყო შეტანილი ოლიმპიურ პროგრამაში. გათამაშდა მედლების ერთადერთი კომპლექტი მამაკაცებს შორის 20 კილომეტრზე.

ჩემპიონი გახდა შვედი **კლას ლესტანდერი**, რომელმაც უშუალოდ სათხილამურო რბოლაში მხოლოდ მე-14 დრო აჩვენა, მაგრამ ოცივე გასროლა მოარტყა მიზანში და ამის წყალობით მოიგო ოქროს მედალი.

**ციგურებით სირბილი.** ისევე, როგორც ოთხი წლის წინ კორტინა დ'ამპეცოში, ამჯერადაც ფურორი მოახდინეს საბჭოთა მორბენლებმა - რვა დისციპლინიდან ექვსში მათ ოქროს მედლები მოიპოვეს.

**ევგენი გრიშინმა** ისევ მოიგო 500 და 1000-მეტრიანი დისტანციები და ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. 20 წლის **ლიდია სკობლიკოვამ** კი სწორედ აქედან დაიწყო თავისი გზა ყველა დროის საუკეთესო მორბენლამდე. მან ორი ოქრო მოიპოვა 1500 და 3000 მეტრებზე, თანაც ერთხელ მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა.

საბჭოელმა ქალებმა მხოლოდ 500 მეტრზე ვერ მოიგეს - პირველობა დაუთმეს გერმანელ **ჰელგა ჰაააზეს**. კაცებში კი ერთადერთი არასაბჭოთა ჩემპიონი იყო შვედი **კნუტ იოჰანსენი**, რომელმაც 10 ათას მეტრზე მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა.

თამაშების დახურვის დღეს გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები "რეკორდების გაუმჯობესებაზე". გრიშინმა არა მარტო გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი 500 მეტრზე, არამედ ისტორიაში პირველად გამოვიდა 40 წამიდან (39.6 წამი).

**სათხილამურო რბოლა.** სპორტის ამ სახეობაში გათამაშდა მედლების ექვსი კომპლექტი და საუკეთესოები გახდნენ შვედი მოთხილამურეები, რომლებმაც 2 ოქრო, 2 ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს.

ყველა განაცვიფრა ფინელმა **ვეიკო ჰაკულინენმა** - ოსლოსა და კორტინა დ'ამპეცოს ჩემპიონმა. თავის მესამე ოლიმპიადაზე 35 წლის მოთხილამურემ კოლექცია სამი მედლით შეავსო - ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მისი ფინიში ესტაფეტაში. ბოლო, მეოთხე ეტაპზე ის ლიდერ ნორვეგიელთან **ჰააკონ ბრუსვენისთან** 20-წამიანი ჩამორჩენით გაეშურა, მაგრამ ფინიშამდე 100 მეტრით ადრე გაუსწრო კონკურენტს და პირველობა მოიპოვა.


კეროლ ჰეისი

**ფიგურული სრიალი.** ისევე როგორც ოთხი წლის წინ, ინდივიდუალურ სრიალში, ამერიკელმა მოციგურავეებმა მოიგეს ოქროს მედლები, წყვილებში კი კანადელები იყვნენ საუკეთესონი.

ამერიკელმა მოციგურავემ **დევიდ ჯენკინსმა** ძმისგან - **ჰეიზ ალან ჯენკინსისგან** (1956 წლის ოლიმპიური ჩემპიონი) ჩაიბარა ესტაფეტა და ჩემპიონი გახდა.

ქალებს შორის ბრწყინავდა ამერიკელი კეროლ ჰეისი - 1956 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. სწორედ მან წარმოთქვა ოლიმპიური ფიცი სქვო-ველის ოლიმპიადაზე. თავისი გამოსვლისთვის ჰეისმა ცხრავე მსაჯისგან უმაღლესი შეფასება მიიღო.

საინტერესოა, რომ 1956 წლის ოლიმპიადის შემდეგ, ჰეისი მოყვარულებიდან პროფესიულ შოუში გადასვლას აპირებდა. მაგრამ დედამისმა, რომელიც მძიმედ იყო ავად, 1956 წელს, სიკვდილის წინ, ქალიშვილს სამოყვარულო სპორტში დარჩენა და მისთვის ოქროს მედლის მოგება სთხოვა.

კეროლ ჰეისი ჰეიზ ალან ჯენკინსის მეუღლე გახლდათ. სამოყვარულო სპორტიდან წასვლის შემდეგ, მან მთავარი როლი ითამაშა ფილმში - Snow White and the Three Stooges.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოკეის მატჩი სსრკ-სა და აშშ-ს შორის

ჰოკეი. სქვო-ველიში ჰოკეის ტურნირი ისეთივე ფორმატით გაიმართა, როგორც ოთხი წლის წინ, კორტინა დ'ამპეცოში. ცხრა გუნდი სამ ჯგუფად დაიყო და ორ-ორი საუკეთესო შემდეგ ეტაპზე გადიოდა.

A ჯგუფში გაიმარჯვეს კანადამ და შვედეთმა, იაპონიამ კი თავისი მატჩები საერთო ანგარიშით - 1:38 წააგო. B ჯგუფიდან შემდეგი ეტაპის საგზურები მოიპოვეს სსრკ-მა და გერმანიამ. მათ ფინეთს აჯობეს. C ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი და მეორე ადგილი აშშ-მა და ჩეხოსლოვაკიამ მიიღეს, ავსტრალიამ კი მათთან წააგო საერთო ანგარიშით - 2:30.

ფინალურ რაუნდში ექვსმა საუკეთესო გუნდმა ერთი ჯგუფი შეადგინა და მათ წრიული სისტემით ითამაშეს. გერმანიამ ყველა მატჩი წააგო. შვედეთმა ქულები აართვა სსრკ-ს (2:2), მაგრამ მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში დამარცხდა ჩეხოსლოვაკიასთან (1:3). საპრიზო სამეული შეადგინეს კანადამ, სსრკ-მა და აშშ-მა. მოქმედმა ჩემპიონმა სსრკ-მა წააგო კანადასთან (5:8) და ამერიკასთან (2:3). ოქროს მედლებისთვის ბრძოლა აშშ-მა მოიგო, რომელმაც მთავარ მატჩში კანადას 2:1 მოუგო და პირველად გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები გახდნენ: აშშ-ის მეკარე **ჯეკ მაკკარტენი**, სსრკ-ის ნაკრების მცველი **ნიკოლაი სოლოგუბოვი** და შვედეთის ნაკრების თავდამსხმელი **ნისე ნილსონი**. საუკეთესო ბომბარდირი გახდა კანადელი **ფრედ ეტჩერი** - 21 ქულა (9+12).

### ბიატლონი

**20 კმ. მამაკაცები.** 1. კლას ლესტანდერი (შვეიც) - 1:33.21,6 (0); 2. ანტი ტირვიაინენი (ფინ) - 1:33.57,7 (4); 3. ალექსანდრ პრივალოვი (სსრკ) - 1:34.54,2 (6)...

### ციგურებით სირბილი

**500 მ. მამაკაცები.** 1. ევგენი გრიშინი (სსრკ) - 40,2; 2. უილიამ დისნეი (აშშ) - 40,3; 3. რაფაელ გრაჩი (სსრკ) - 40,4...

**1 500 მ. მამაკაცები.** 1. ევგენი გრიშინი (სსრკ) - 2.10,4; 1. როალდ ოსი (ნორ) - 2.10,4;3. ბორის სტენინი (სსრკ) - 2.11,5...

**5 000 მ. მამაკაცები.** 1. ვიქტორ კოსიჩკინი (სსრკ) - 7.51,3; 2. კნუტ იოჰანსენი (ნორ) - 8.00,8; 3. იან პესმანი (ჰოლ) - 8.05,1...

**10 000 მ. მამაკაცები.** 1. კნუტ იოჰანსენი (ნორ) - 15.46,6; 2. ვიქტორ კოსიჩკინი (სსრკ) - 15.49,2; 3. კიელ ბიოკმანი (შვედ) - 16.14,2...

**500 მ. ქალები.** 1. ჰელგა ჰააზე (გერ) - 45,9; 2. ნატალია დონჩენკო (სსრკ) - 46,0; 3. ჯინ ეშუორტი (აშშ) - 46,1...

**1000 მ. ქალები.** 1. კლარა გუსევა (სსრკ) - 1.34,1; 2. ჰელგა ჰააზე (გერ) - 1.34,3; 3. ტამარა რილოვა (სსრკ) - 1.34,8...

**1500 მ. ქალები.** 1. ლიდია სკობლიკოვა (სსრკ) - 2.25,2; 2. ელვირა სეროჟინსკა (პოლ) - 2.25,7; 3. ჰელენ პილეიჩიკი (პოლ) - 2.27,1...

**3000 მ. ქალები.** 1. ლიდია სკობლიკოვა (სსრკ) - 5.14,3; 2. ვალენტინა სტენინა (სსრკ) - 5.16,9; 3. ევი ჰუტონენი (ფინ) - 5.21,0...

### სათხილამურო ორჭიდი

**ინდივიდუალური. მამაკაცები (15 კმ+ტრამპლინი).** 1. გეორგ ტომა (გერ) - 457,952 ქულა (59.23,8; 69 მ და 67,5 მ); 2. ტორმოდ კნუტსენი (ნორ) - 453 (59.31,0; 64,5 და 67); 3. ნიკოლაი გუსაკოვი (სსრკ) - 452 (58.29,4; 64,5 და 66)...

### სათხილამურო რბოლა

**15 კმ. მამაკაცები.** 1. ჰააკონ ბრუსვენი (ნორ) - 51.55,5; 2. სიქსტენ იენრბერგი (შვედ) - 51.58,6; 3. ვეიკო ჰაკულინენი (ფინ) - 52.03,0...

**30 კმ. მამაკაცები.** 1. სიქსტენ იენრბერგი (შვედ) - 1:51.03,9; 2. როლფ რემგორდი (შვედ) - 1:51.16,9; 3. ნიკოლაი ანიკინი (სსრკ) - 1:52.28,2...

**50 კმ. მამაკაცები.** 1. კალევი ჰიამიალიაინენი (ფინ) - 2:59.06,3; 2. ვეიკო ჰაკულინენი (ფინ) - 2:59.26,7; 3. როლფ რემგორდი (შვედ) - 3:02.46,7...

**ესტაფეტა (4x10 კმ). მამაკაცები.** 1. ფინეთი (ტოიმო ალატალო, ერო მიანტირანტა, ვიაინო ჰუტალა. ვეიკო ჰაკულინენი) - 2:18.45,6; 2. ნორვეგია (ჰალგეირ ბრენდენი, ჰარალდ გრიონინგენი, აინარ ოსტბი, ჰააკონ ბრუსვენი) - 2:18.46,4; 3. სსრკ (ანატოლი შელიუხინი, გენადი ვაგანოვი, ალექსეი კუზნეცოვი, ნიკოლაი ანიკინი) - 2:21.21,6...

**10 კმ. ქალები.** 1. მარია გუსაკოვა (სსრკ) - 39.46,6; 2. ლიუბოვ ბარანოვა-კოზირევა (სსრკ) - 40.04,2; 3. რადია ეროშინა (სსრკ) 40.06,0

**ესტაფეტა (3x5 კმ). ქალები.** 1. შვედეთი (ბრიტ სტრანდბერგი, ირმა იოჰანსონი, სონია ედსტრიომი) - 1:04.21,4; 2. სსრკ (ლიუბოვ ბარანოვა-კოზირევა, მარია გუსაკოვა, რადია ეროშინა) - 1:05.02,6; 3. ფინეთი (ევა რუოპა, ტოინი პიოისტი, სირი რანტანენი) - 1:06.27,5...

### ტრამპლინიდან ხტომა

**K90 ინდივიდუალური (70 მ). მამაკაცები.** 1. ჰელმუტ რეკნაგელი (გერ) - 227,2 ქულა (93,5 მ და 84,5 მ); 2. ნიილო ჰალონენი (ფინ) - 222,6 (92,5 და 83,5); 3. ოტო ლეოდოლტერი (ავსტრია) - 219,4 (88,5 და 83,5)... 9. კობა წაქაძე (სსრკ) - 211,1 (89 და 79,5)...

### სამთო თხილამურები

**კაცები. სლალომი.** 1. ერნსტ ჰინტერზეერი (ავსტრია) - 2.08,9; 2. მატიას ლაიტნერი (ავსტრია) - 2.10,3; 3. შარლ ბოზონი (საფ) - 2.10,4...

**კაცები. გიგანტური სლალომი.** 1. როჟე შტრაუბი (შვეიც) - 1.48,3; 2. იოზეფ შტიგლერი (ავსტრა) - 1.48,7; 3. ერნსტ ჰინტერზეერი (ავსტრია) - 1.49,1...

**კაცები. სწრაფდაშვება.** 1. ჟან ვიუარნე (საფ) - 2.06,0; 2. ჰანს-პეტერ ლანიგი (გერ) - 2.06,5; 3. გაი პერიია (საფ) - 2.06,9...

**ქალები. სლალომი.** 1. ენი ჰეგტვეიტი (კან) - 1.49,6; 2. ბესტი სნაიტი (აშშ) - 1.52,9; 3. ბარბი ჰენებერგერი (გერ) - 1.56,6...

**ქალები. გიგანტური სლალომი.** 1. ვიიონ რიუეგი (შვეიც) - 1.39,9; 2. პენელოპა პიტუ (აშშ) - 1.40,0; 3. ჯულიანა მინუცო კენალი (იტა) - 1.40,2...

**ქალები. სწრაფდაშვება.** 1. ჰაიდი ბიბლი (გერ) - 1.37,6; 2. პენლოპა პიტოუ (აშშ) - 1.38,6; 3. ტრუდ ჰეჰერი (ავსტრია) - 1.38,9...

### ფიგურული სრიალი

**მამაკაცები.** 1. დევიდ ჯენკინსი (აშშ) - 1440,2/10; 2. კაროლ დივინი (ჩეხოსლოვაკია) - 1414,3/22; 3. დონალდ ჯექსონი (კან) - 1401/31...

**ქალები.** 1. კეროლ ჰეისი (აშშ) - 1490,1/9; 2. შაუკი დეიქსტრა (ჰოლ) - 1424,8/20; 3. ბარბარა როულსი (აშშ) - 1414,9/26...

**სპორტული წყვილები.** 1. ბარბარა ვაგნერი/რობერტ პაული (კან) - 80,4/7; 2. მარიკა კილიუსი/ჰანს-იურგენ ბოიმლერი (გერ) - 76,8/19; 3. ნენსი ლადინგტონი/რონალდ ლადინგტონი (აშშ) - 76,2/27,5...

### ჰოკეი

**მამაკაცები.** 1. აშშ (ჯეკ მაკკარტენი, ლორენს პალმერი, ჯონ კირეინი, რობერტ ოუენი, როდნი პაჟოლა, უილიამ ქლირი, უილიამ კრისტიანი, როჯერ კრისტიანი, ტომას უილიამსი, რობერტ კლირი, პოლ ჯონსონი, უელდონ ოლსონი, რობერტ მაკვი, რიჩარდ როდენჰაიზერი, იუჯინ გრაცია, რიჩარდ მერედიტი); 2. კანადა (დონალდ ჰედი, ჰაროლდ ჰარლი, ჰარი სინდენი, ჯეკ დუგლასი, მო ბენუა, დერილ სლაი, ფრედ ეტჩერი, რობერტ ეტერსლი, ჯორჯ სამოლენკო, ფლოიდ მარტინი, რობერტ რუსო, ჯეიმს კონელი, დონალდ როუპი, რობერტ ფორენი, კენეტ ლოფმენი, კლიფ პენინგტონი, რობერტ მაკნაიტი); 3. სსრკ (ნიკოლაი პუჩკოვი, ევგენი იორკინი, ჰენრიხ სიდორენკოვი, ალფრედ კუჩევსკი, იური ბაულინი, ნიკოლაი სოლოგუბოვი, ნიკოლაი კარპოვი, ვენიამი ალექსანდროვი, იური ციცინოვი, ვლადიმერ გრებენიკოვი, ევგენი გროშევი, ალექსანდრ ალმეტოვი, ვიქტორ იაკუშევი, მიხაილ ბიჩკოვი, კონსტანტინ ლოკტევი, სტანისლავ პეტუხოვი, ვიქტორ პრიაჟნიკოვი).

**ყველა მედალი**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. სსრკ | 7 | 5 | 9 | 21 |
| 2. გერმანია | 4 | 3 | 1 | 8 |
| 3. აშშ | 3 | 4 | 3 | 10 |
| 4. ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 6 |
| 5. შვედეთი | 3 | 2 | 2 | 7 |
| 6. ფინეთი | 2 | 3 | 3 | 8 |
| 7. კანადა | 2 | 1 | 1 | 4 |
| 8. შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 2 |
| 9. ავსტრია | 1 | 2 | 3 | 6 |
| 10. საფრანგეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 11. პოლონეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 11. ჰოლანდია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 13. ჩეხოსლოვაკია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 13. იტალია | 0 | 0 | 1 | 1 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**მს. ჩემპიონატი**

**პლეი ოფი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-საბერძნეთი | 1:1 (1:3) |
| ხორვატია-ისლანდია | 2:0 (0:0) |
| შვედეთი-პორტუგალია | 2:3 (0:1) |
| საფრანგეთი-უკრაინა | 3:0 (0:2) |
| ეგვიპტე-განა | 2:1 (1:6) |
| ალჟირი-ბურკინა ფასო | 1:0 (2:3) |

**ევრო 2014**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| მოლდოვა-ლიტვა | 3:0 |
| ინგლისი-სან მარინო | 9:0 |
| ბულგარეთი-სლოვენია | 1:5 |
| ანდორა-დანია | 0:2 |
| რუსეთი-ესტონეთი | 1:0 |
| ხორვატია-ლატვია | 3:1 |
| ჩერნოგორია-ირლანდია | 0:0 |
| რუმინეთი-გერმანია | 2:2 |
| პოლონეთი-საბერძნეთი | 3:1 |
| შვედეთი-მალტა | 5:0 |
| მაკედონია-ნორვეგია | 1:3 |
| სერბეთი-იტალია | 1:0 |
| ჩრ. ირლანდია-კვიპროსი | 1:0 |
| ბელარუსი-სომხეთი | 0:1 |

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| ნორვეგია-პორტუგალია | 2:3 |
| სან მარინო-ლუქსემბურგი | 0:4 |

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| თურქეთი-ჩრ. ირლანდია | 2:0 |
| ლუქსემბურგი-ლატვია | 0:2 |

**ინგლისის თასი**

**I რაუნდი**

| | |
|---|---|
| ბერი-კემბრიჯი | 0:0 |
| კარლაილი-ბორეჰამი | 2:1 |
| ქრიუ-უოკომბი | 0:2 |
| ნიუპორტი-ბრენტრი | 1:0 |
| სკანთორფი-გრიმსბი | 1:2 |
| ვულვზი-ოლდჰემი | 1:2 |
| იორკი-როვერსი | 2:3 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| დარტფორდი-რექსჰემი | 1:5 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ავსტრია-კოსტა რიკა | 1:0 |
| ყირგიზეთი-აზერბაიჯანი | 0:0 |
| ინდოეთი-ნეპალი | 2:0 |
| რუსეთი-კორეა | 2:1 |
| სლოვენია-კანადა | 1:0 |
| ლიხტენშტაინი-ესტონეთი | 0:3 |
| მალტა-ფარერები | 3:2 |
| ნამიბია-მოზამბიკი | 0:0 |
| ნორვეგია-შოტლანდია | 0:1 |
| თურქეთი-ბელარუსი | 2:1 |
| გიბრალტარი-სლოვაკეთი | 0:0 |
| ს. აფრიკა-ესპანეთი | 1:0 |
| ჰოლანდია-კოლუმბია | 0:0 |
| ავსტრია-აშშ | 1:0 |
| პოლონეთი-ირლანდია | 0:0 |
| ბელგია-იაპონია | 2:3 |
| ინგლისი-გერმანია | 0:1 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩ-ა)**

| | |
|---|---|
| ცვიკაუ-მაგდებურგი | 0:2 |

**უელსი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| კარმარტენი-კემბრიანი | 3:2 |

**უნგრეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| კეჩმეკეტი-ბეკეშჩაბა | 0:2 |
| პუშკაში-სეგლედი | 3:0 |
| დიორმოტი-ჰალადაში | 2:3 |
| აიკა-ლომბარდი | 0:1 |

**ბულგარეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლიტექსი-სოზოპოლი | 6:0 (2:1) |

**არგენტინა**

**ნასიონალი B**

| | |
|---|---|
| ვილია სან კარლოსი-ბანფილდი | 0:3 |

**აზიის თასი**

**შესარჩევი**

| | |
|---|---|
| სირია-ომანი | 0:1 |
| ლიბანი-ირანი | 1:4 |
| ქუვეითი-ტაილანდი | 3:1 |
| ჩინეთი-ს. არაბეთი | 0:0 |
| ინდონეზია-ერაყი | 0:2 |
| მალაიზია-კატარი | 0:1 |
| ბაჰრეინი-იემენი | 2:0 |
| ჰონგ კონგი-უზბეკეთი | 0:2 |
| საემიროები-ვიეტნამი | 5:0 |

### კალათბურთი

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ცედევიტა-ბილბაო | 89:79 |
| ბუდუჩნოსტი-პაოკ | 69:75 |
| შალონი-შარლერუა | 91:77 |
| ვალენსია-პარიზი | 98:52 |
| მონსი-სარაგოსა | 65:104 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| რილსკი-ტიგრუ | 70:68 |
| კატაია-ლეიდენი | 77:63 |
| ატომეროშუ-კრ. კრილია | 56:89 |
| ტარტუ-სიოდერტალე | 99:65 |
| კორმენდი-კიევი | 103:99 (ო) |
| თოფასი-კრკა | 81:72 |
| გაზიანთეფი-ორადია | 69:74 |
| ვენა-ვენტსპილსი | 71:78 |
| დიჟონი-დენ ბოში | 83:64 |
| რეჯო ემილია-გრონინგენი | 78:61 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ლიმოჟი-ნანსი | 71:74 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ამური-დინამო (მ) | 1:4 |
| ადმირალი-ვიტიაზი | 0:1 |
| მეტალურგი (ნ)-აკ ბარსი | 0:2 |
| სიბირი-ტორპედო | 3:1 |
| მეტალურგი (მ)-სპარტაკი | 3:2 |
| ს. იულიაევი-დინამო (მნ) | 5:2 |
| ტრაქტორი-ზაგრები | 5:1 |
| ნეფტიხიმიკი-დონბასი | 2:0 |
| ცსკა-იუგრა | 3:4 (ო) |
| დინამო (რ)-ავტომობილისტი | 3:1 |
| ლევი-ბარისი | 2:3 (ო) |
| სლოვანი-ავანგარდი | 3:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 0:3 |
| ინგოლშტადტი-კიოლნი | 2:3 (ბ) |
| კრეფელდი-მიუნხენი | 3:2 |
| მანჰაიმი-აუგსბურგი | 2:1 |
| ნიურნბერგი-იზერლონი | 2:1 |
| შვენინგერი-დიუსელდორფი | 5:4 |
| შტრაუბინგი-აისბარენი | 3:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| რუნგსტედი-ჰერლევი | 0:4 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ფრისკ ასკერი-სტავანგერი | 5:1 |
| სპარტა-ლილეჰამერი | 7:5 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კერპეტი-ლუკო | 7:4 |
| ტაპარა-ჰპკ | 2:0 |
| ტპს-იუვიასკიულა | 3:4 (ბ) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-კლადნო | 2:3 |
| ზლინი-ხომუტოვი | 7:1 |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 2:1 |
| პლზენი-სლავია | 4:2 |
| ლიბერეცი-პარდუბიცე | 0:2 |
| კრალოვე-ვიტკოვიცე | 2:1 (ო) |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბერნი-სერვეტი | 3:4 (ო) |
| ბილი-ცუგი | 2:1 (ბ) |
| დავოსი-ციურიხი | 2:1 |
| ლოზანა-რაპერსვილი | 2:1 |
| ფრიბურგი-კლოტენი | 6:3 |

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ქვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად გამოაცხადა "ლოს ანჯელეს კინგზის" მეკარე **ბენ სკრივენსი**. მან ოთხიდან სამი მატჩი მოიგო, საშუალოდ 0.66 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 97.7 პროცენტი მოიგერია. გასულ კვირას, სკრივენსი ტრავმირებულ **ჯონათან კუიკს** ცვლიდა და ორ მატჩში "შათაუტი" შეასრულა - "ნიუ ჯერსისთან" 26 დარტყმა მოიგერია, "რეინჯერსთან" - 37 დარტყმა. ამ მომენტისთვის, სკრივენსის "მშრალი" სერია 155 წუთსა და 2 წამს უტოლდება.

მეორე ვარსკვლავი გახდა "დალას სტარტზის" ფორვარდი **ტაილერ სეგუინი**, რომელმაც ხუთი გოლი გაიტანა და შვიდი შედეგიანი გადაცემა შეასრულა, რითაც თავის გუნდს სამიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ექსბოსტონელმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი "კალგარისთან" 7:3 მოგებულ მატჩში, როცა ოთხი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა "მინესოტა უაილდის" მეკარე **ჯოშ ჰარდინგმა**. მისმა გუნდმაც სამიდან სამი მატჩი მოიგო, თავად გოლკიპერმა კი საშუალოდ 1.38 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 93.9 პროცენტი მოიგერია.

**კაროლინა-ბოსტონი 1:4**

1:2, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 რ. სმიტი-3 (სოდერბერგი-6, ლ. ერიქსონი-6), 0:2 სოდერბერგი-2 (საიდენბერგი-6, რ. სმიტი-10), 1:2 ტ. რუუტუ-1 (ე. სტაალი-7, ბოუმენი-2), 1:3 ბოიჩაკი-1, 1:4 ლუჩიჩი-9 (იგინლა-8).

**პიტსბურგი-ანაჰაიმი 3:1**

0:0, 0:0, 3:1

**გოლები:** 1:0 გიბონსი-1 (მალკინი-16, გლასი-4), 2:0 ბ. სატერი-4 (მაატა-3, გიბონსი-1), 2:1 გეტცლაფი-11 (ლავჯოი-2, პერი-12), 3:1 კროსბი-10 (მალკინი-17, ვიტალე-5).

**ვინიპეგი-კალგარი 4:5 (ბ)**

0:0, 1:2, 3:2, 0:0

**გოლები:** 0:1 კამალერი-9 (სტემპნიაკი-6, მონეჰანი-6), 1:1 ფროლიკი-5 (კლიტსომი-5, ბაფლინი-12), 1:2 ბროდი-2 (რასელი-8, კამალერი-4), 2:2 ო. იოკინენი-4 (სეტოგუჩი-7, კლიტსომი-6), 2:3 ბუმა-2 (სტაიანი-6), 3:3 ბაფლინი-5 (ველერი-9, ლიტლი-9), 3:4 ჰუდლერი-7 (ბროდი-4, ბაერტჩი-7), 4:4 ლიტლი-12 (ე. კეინი-7, ველერი-10).

**ბულიტები გაიტანეს:** კოლბორნი (კალგარი), ლედი (ვინიპეგი), ველერი (ვინიპეგი), სტემპნიაკი (კალგარი), მონეჰანი (კალგარი).

გვერდები მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ბენ სკრივენსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA
რეგულარული ჩემპიონატი



გრიფინი და ლებრონი

# ქვირის მოთამაშეები

"მაიამი ჰიტისა" და "ლოს ანჯელეს კლიპერსის" ფორვარდები - **ლებრონ ჯეიმსი და ბლეიკ გრიფინი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეიმსი გასულ შვიდ დღეს ლიგის საუკეთესო ბომბარდირი იყო - საშუალოდ მატჩში 34.0 ქულას აგროვებდა და თავის გუნდს სამიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ლებრონი სამივე შეხვედრაში თავისი გუნდის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო. თამაშიდან 70.2 პროცენტი სიზუსტით ისროდა და სამქულიანების 62.5 პროცენტს ათავსებდა კალათში.

ბლეიკ გრიფინის კარგი თამაშის წყალობით, "კლიპერსმა" გასულ კვირას სამიდან სამი მატჩი მოიგო. ამ შეხვედრებში ბლეიკის მონაგარი იყო - 25.7 ქულა, 11.3 მოხსნა, 4.7 შედეგიანი პასი და 1.0 ჩაჭრა. გრიფინმა სამივე შეხვედრაში ორმაგი დუბლის შესრულება შეძლო.

**ჯეიმსის კვირა**

**12 ნოემბერი. მაიამი-მილუოკი 118:95.** 33 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი.

**15 ნოემბერი. მაიამი-დალასი 110:104.** 39 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი.

**16 ნოემბერი. შარლოტი-მაიამი 81:97.** 30 ქულა, 4 მოხსნა, 7 პასი.

გრიფინის კვირა

**11 ნოემბერი. კლიპერსი-მინესოტა 109:107.** 25 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი.

**13 ნოემბერი. კლიპერსი-ოკლაჰომა 111:103.** 22 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი, 3 ჩაჭრა.

**16 ნოემბერი. კლიპერსი-ბრუკლინი 110:103.** 30 ქულა, 12 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი მოთამაშეები აცხადებდნენ პრეტენზიას: ჯეფ ტიგი ("ატლანტა"), ლუოლ დენგი ("ჩიკაგო"), ტაი ლოუსონი ("დენვერი"), კლეი ტომპსონი ("გოლდენ სტეიტი"), ჯერემი ლინი ("ჰიუსტონი"), კევინ ლავი ("მინესოტა"), კევინ დურანტი ("ოკლაჰომა"), რასელ უესტბრუკი ("ოკლაჰომა"), არონ აფლალო ("ორლანდო") და ლამარკუს ოლდრიჯი("პორტლენდი").

**ბრუკლინი-პორტლენდი 98:108**

40:31, 23:25, 15:27, 20:25

**ბ:** ლივინგსტონი (23), გარნეტი (16+8 მოხსნა), ჯონსონი (13), პირსი (11), ანდერსონი (11), ბლეტჩი (10+5 მოხსნა).

**პ:** ოლდრიჯი (27+8 მოხსნა), მეტიუზი (24+6 მოხსნა), ლილარდი (19+9 პასი), უილიამსი (12+6 პასი+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ჩიკაგო-შარლოტი 86:81**

26:21, 14:23, 22:15, 24:22

**ჩ:** დენგი (21+8 მოხსნა), ბატლერი (14+5 მოხსნა), როუზი (12+5 პასი), ბუზერი (12+17 მოხსნა), ნოა (11+7 მოხსნა).

**შ:** ტეილორი (20+5 მოხსნა), ჰენდერსონი (16+8 მოხსნა+6 პასი), მაკრობერტსი (11+6 მოხსნა+5 პასი).

**ოკლაჰომა-დენვერი 115:113**

28:39, 32:24, 23:29, 32:21

**ო:** დურანტი (38+8 მოხსნა+6 პასი), უესტბრუკი (30+12 მოხსნა+7 პასი), ჯექსონი (14+7 მოხსნა).

**დ:** ლოუსონი (29+8 პასი), ჰიქსონი (18+19 მოხსნა), ფურნიე (12), ფოიე (11), რობინსონი (10).

**დალასი-ფილადელფია 97:94**

18:21, 25:26, 31:24, 23:23

**დ:** ელისი (24+10 პასი), ნოვიცკი (20+10 მოხსნა), მერიონი (20+7 მოხსნა), კალდერონი (14).

**ფ:** ტერნერი (26+9 მოხსნა+7 პასი), როტენი (19+5 ჩაჭრა), ანდერსონი (14+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), იანგი (12+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰოიესი (10+11 მოხსნა+3 დაფარება).

**იუტა-გ. სტეიტი 87:98**

19:22, 17:37, 29:19, 22:20

**ი:** ჰეივორდი (18+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), უილიამსი (16+8 მოხსნა), ფეივორსი (10+7 მოხსნა+3 დაფარება), კლარკი (10).

**გ-ს:** კარი (22+8 პასი+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტომპსონი (17+5 მოხსნა), ბარნსი (17+5 მოხსნა), ლი (14+14 მოხსნა), იგუოდალა (11+7 მოხსნა), ბოგუტი (8+13 მოხსნა+4 დაფარება).

**კლიპერსი-მემფისი 102:106**

20:29, 31:23, 30:29, 21:25

**კ:** გრიფინი (23+11 მოხსნა), პოლი (18+11 პასი+9 მოხსნა), რედიკი (12), ბარნსი (12), ჯორდანი (8+16 მოხსნა+3 დაფარება).

**მ:** რენდოლფი (26+15 მოხსნა), გასოლი (23+9 მოხსნა+8 პასი), კონლი (15+5 პასი), კუფოსი (10+9 მოხსნა+4 დაფარება).

● ჭადრაკი

## მეექვსე ყაიმი ჩენაიში

ერთ-ნახევარი ქულა აშორებს ნორვეგიელ დიდოსტატს **მაგნუს კარლსენს** მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულამდე. გუშინ, ჩენაიში საჩემპიონო მატჩის მერვე პარტია გაიმართა, რომელშიც სკანდინავიელი თეთრი ფიგურებით თამაშობდა და 33-ე სვლაზე დაუზავდა ინდოელ **ვიშვანათან ანანდს**. ეს იყო მატჩში მეექვსე ყაიმი.

შემდეგი პარტია ხუთშაბათს, 21 ნოემბერს გაიმართება.

● კალათბურთი/ფეხბურთი

# დევიდი და ლებრონი გაერთიანდნენ

თანამედროვე სპორტის ორმა სუპერვარსკვლავმა - ყოფილმა ფეხბურთელმა **დევიდ ბექჰემმა** და კალათბურთელმა **ლებრონ ჯეიმსმა** თანამშრომლობის იდეა განიხილეს. ისინი MLS-ში (ევროპული ფეხბურთის ლიგა ჩრდილოეთ ამერიკაში) ახალი პროექტის ჩაშვებას აპირებენ.

ბექჰემი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ დაასრულა აქტიური კარიერა, დიდი ხანია ფიქრობს საკუთარი საფეხბურთო კლუბის შექმნაზე. ამასთან, ინგლისელის მზერა მიპყრობილია ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროსკენ. იქ კი ბრწყინავს მეორე სუპერვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი, რომელიც დიდ პატივს სცემს ევროპულ ფეხბურთს. ორშაბათს, მათ პრივატული საუბარი ჰქონდათ და თითქოს, შეხების წერტილები იპოვეს.

*„ინტერესი ორივე მხრიდან არსებობს,* - ამბობს „მაიამი ჰიტის" ლიდერი. - *ბოლო წლებში, დევიდი ჩემი კარგი მეგობარი გახდა. ვფიქრობ, მაიამისთვის კარგი იქნება, თუ საკუთარი საფეხბურთო კლუბი ეყოლება. აქ ბევრი კარგი ფეხბურთელია, არიან ნიჭიერი მოთამაშეები. მე ბევრი რამ ვისწავლე სპორტის ამ საინტერესო სახეობის შესახებ. და ჩემს შვილებსაც ის ძალიან მოსწონთ".*

ვარაუდობენ, რომ პროექტის დასაწყებად, თავდაპირველად საჭირო იქნება 25 მილიონი დოლარი. თუ ვარსკვლავები გაიღებენ ამ თანხის ნაწილს და სპონსორებსაც მოიძიებენ, უკვე შემდეგი სეზონიდან, MLS-ში ითამაშებს საფეხბურთო კლუბი მაიამიდან.



დევიდ ბექჰემი და ლებრონ ჯეიმსი

● ჩოგბურთი



ნოვაკ ჯოკოვიჩი

## ჯოკოვიჩი ხუთი საათი აწამეს

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** შაბათს, დევისის თასის ფინალში წყვილთა მატჩის დროს, ხუთი საათი გაატარა დოპინგ-კონტროლზე. როგორც სერბების გუნდის ექიმი ამბობს, პროცედურა „ნამდვილი წამება" იყო.

ჯოკოვიჩმა ოთხჯერ ჩააბარა ბიოლოგიური ანალიზი იმისთვის, რომ სინჯი მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს სტანდარტების შესაბამისი ყოფილიყო. დოპინგ-კონტროლის გამო, ნოვაკმა ვერ უქომაგა თავის გუნდს წყვილთა მატჩის დროს.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ნოვაკ ჯოკოვიჩმა მკვეთრად გააკრიტიკა ანტისადოპინგო სააგენტო სერბ ჩოგბურთელ ვიქტორ ტროიცკის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გამო.

● ფორმულა 1

## ბერნის არავინ დაინდობს

ფორმულა 1-ის კომერციული უფლებების მფლობელი კომპანიის - CVC-ის დამფუძნებელმა **დონალდ მაკენზიმ** განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია უყოყმანოდ გაანთავისუფლებს ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერს **ბერნი ექლსტოუნს** იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ბრიტანელს დამნაშავედ ცნობს ყოფილი ბანკირისთვის **გერჰარდ გრიბოვსკისთვის** ქრთამის გადაცემაში.

ამასთან, მაკენზიმ უარყო ჟურნალისტთა ვარაუდი იმის შესახებ, რომ CVC ექლსტოუნს თანამდებობას ბიზნესზე მისი გავლენის გამო უნარჩუნებდა.

*„თუ დამტკიცდება, რომ მისტერ ექსლტოუნი რაიმე კრიმინალურს სჩადიოდა, ჩვენ მას გავათავისუფლებთ",* - განაცხადა მაკენზიმ.

CVC-ის დამფუძნებელი იმასაც ამბობს, რომ 2011 წლის იანვარში ექლსტოუნმა მას მოუყვა, რომ გრიბოვსკის ფული გადაუხადა.

*„მან ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ დაავიწყდა ამის მოყოლა. ბერნის თქმით, მას მე არასოდეს მოვუტყუებივარ. თუმცა ჩემთვის ძნელი დასაჯერებელია ის, რომ მას დაავიწყდა, ვიღაცას 40 მილიონი დოლარი როგორ გადაუხადა",* - მოჰყავს მაკენზის სიტყვები სააგენტო „როიტერს".



ბერნი ექლსტოუნი

## შუმი: ფეტელი გამასწრებს!

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს, გერმანელ **მიხაელ შუმახერს** მიაჩნია, რომ **სებასტიან ფეტელს** შეუძლია გააუმჯობესოს მისი რეკორდი კარიერაში მოპოვებული ტიტულების რაოდენობით.

*„როცა უყურებ სებასტიანის სტაბილურ ფორმას და იმას, თუ რამდენს მიაღწია ახალგაზრდა ასაკში, გესმის, რომ მისი მიღწევები უკვე უნიკალურია. დღეს ფორმულა 1-ში რამდენიმე ბრწყინვალე პილოტი გამოდის, მაგრამ ბევრი ვერ ახერხებს ერთად შეკრიბოს ყველა საჭირო ასპექტი, როგორც ამას ფეტელი აკეთებს.*

*დარწმუნებული ვარ, როცა სებასტიანი პატარა ბიჭი იყო, ტელევიზორის ეკრანთან ცდილობდა იმის გაანალიზებას, რასაც მე ტრასაზე ვაკეთებდი. კარგია, რომ სები დღემდე მირეკავს და კითხვებს მისვამს.*

*პირადად მე ყოველთვის მიმაჩნდა - რეკორდები იმისთვის დაამყარეს, რომ ისინი გააუმჯობესონ. ცხადია, სებასტიანს შეუძლია გახდეს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი. ის ჯერაც ახალგაზრდაა და არ მოჰბეზრებია გამარჯვებები. მან შეიძლება გამისწროს კიდეც ტიტულების რაოდენობით. ძალიან მინდა, ფეტელმა მომავალშიც მიაღწიოს წარმატებებს",* - განაცხადა შუმახერმა ტელეარხ RTL-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.



მიხაელ შუმახერი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი
და გამომცემელი
შპს
გამომცემლობა
ლელო

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა
ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge;* მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე
ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; *leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ინდექსი **66435 INDEX**. სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608